გოჩა ხუნდაძე
ვლადიმერ კიკილაშვილი

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან

თბილისი 2012

UDC(უაკ)327(479.22:100)+327(479.22:470)+821.353.1.091:821.1/9
კ-496

სამეცნიერო რედაქტორი - პროფ. ე. კოპალიანი
რეცენზენტი - მ. შენგელია
ტექსტის ამწყობი - დ. ფახურიძე
დიზაინი - ლ. პაპალაშვილი

ანოტაცია

უძველესი დროიდან ქართველი ხალხი ურთიერთობდა, როგორც უშუალო მეზობელ, ასევე შორეულ სახელმწიფოებთანაც. ქართულ-უცხოური ურთიერთობები უმეტეს შემთხვევაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ იყო მიმართული. წინამდებარე ნაშრომის ავტორები წლების განმავლობაში მუშაობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე კავკასიოლოგიის მიმართულებით. ნაშრომი დაწერილია თანამედროვე ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებების მიღწევათა დონეზე, რომელშიც გამოყენებულია თბილისის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ოდესისა და სხვა ქალაქებში მოძიებული საარქივო მასალა. რუსეთის იმპერია, სწორედ ბედისწერა აღმოჩნდა საქართველო-ბოლონეთის ურთიერთობებში. XIX საუკუნიდან ორივე ხალხის ურთიერთობა ერთი იმპერიის ფარგლებში ხდებოდა. ამიტომ დღევანდელი გადასახედიდან ნაშრომში განხილულია არა მარტო ისტორიული, არამედ წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გადმოცემული საინტერესო ეპიზოდები და კოლონიური უღელის ქვეშ მყოფი ხალხების ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტები.

წიგნი სარგებლობას მოუტანს ქართული კულტურისა და გეოპოლიტიკით დაინტერესებულ მკვლევარებს, სტუდენტ ახალგაზრდობას და საერთოდ მკითხველ საზოგადოებას.

მადლობას მოვახსენებთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობის განყოფილების თანამშრომლებს თანადგომისათვის წიგნზე მუშაობის პერიოდში - ლ. საყვარელიძეს, თ. შუბითიძეს, ნ.კაციტაძეს, ნ. ნადირაძეს.

ISBN 978-9941-0-4829-6

სარჩევი

შესავალი 5

თავი I

„საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის წარსულიდან“ 18

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა XVII-XVIII სს. 32

თავი II

„საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში“

საქართველო XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. პირველ მესამედში 40

პოლონეთი XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მესამედში 47

თავი III

„ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობა XIX ს. I მესამედში 60

თავი IV

„საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა XIX ს. 20-30-იან წლებში

1832 წლის შეთქმულებაში პეტრე ზავილეისკის მონაწილეობის საკითხისათვის 78

პეტრე დემიანის-ძე ზავილეისკი საქართველოში და საქართველოს გარეთ 91

ქ. ტორუნში კოპერნიკის ძეგლის ისტორიისათვის 105

თადეუშ ლადა-ზაბლოცკი საქართველოში 109

დასკვნა 117

გამოყენებული ლიტერატურა 123

შ ე ს ა ვ ა ლ ი

უძველესი დროიდან ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა როგორც მეზობელ, ასევე შორეულ სახელმწიფოებთანაც. ქართველი და უცხოელი მკვლევარების წინაშე ხშირად წამოჭრილა კარდინალური კითხვა – რას გაუძლო, როგორ გაუძლო საქართველომ და რამ გადაარჩინა ქართველი ერი. ქართულ-უცხოური ურთიერთობები უმეტეს შემთხვევაში თავისუფლებისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისაკენ იყო მიმართული და ეს მომენტი მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ერის, მისი თავისთავადობისა და თავისებურებების აღსაქმელად. ევროპა-აზიის გასაყარზე მდგომი უძველესი კულტურული ერი არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით იყო საინტერესო – მისი მფლობელი ევრაზიის ეკონომიკურ ბერკეტსა და ურთიერთობათა მთელი სისტემის გასაღებს ფლობდა. მრავალი დამპყრობელი მოსულა კავკასიაში სხვადასხვა მეთოდებით: ფარისევლობა, ეშმაკობა თუ ძალადობა ყველა დამპყრობლის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა; მათი კარნახით ხშირად წარიმართებოდა ხოლმე ქართული სახელმწიფოს ბედ-იღბალი. თუმცა პოლიტიკის არაჩვეულებრივი შეგრძნების ძალისხმევით გადამწყვეტ მომენტში განთავისუფლებულა ხოლმე და ყოველთვის იდგა „ვით, გოდოლი შეურყვნეველი“. ქართველი ხალხი არ გაფანტულა უბედურების ჟამს, არ მიუტოვებია თავისი მამული – ეს თვისება იმ ფსიქოლოგიურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც მსოფლიო ხალხთა მახასიათებელ ატრიბუტიკაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. უშუალობა და უცხოსთან კონტაქტში შესვლის სიადვილე ეროვნულობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლადაც გვევლინება. ქართველ პოლიტიკოსთა სწორედ ეს მახასიათებელი ვლინდებოდა არა მარტო მეზობელ ხალხებთან ურთიერთობებში, არამედ იმ ხალხებთანაც, რომლებიც გეოგრაფიულად შორეულ ქვეყნებს წარმოადგენდნენ და დაკავშირება ანუ ურთიერთობა უხდებოდათ სტრატეგიული პარტნიორობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ყოველთვის დღის წესრიგში მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საგარეო-პოლიტიკური კურსის სტრატეგიული პარტნიორისა და ორიენტაციის განსაზღვრა.

კონსტანტინოპოლის დაცემამ მსოფლიო-ისტორიული პროგრესი დააჩქარა. მაგრამ მიუხედავად ამისა, კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და მის კულტურულ განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა, ვინაიდან იგი კულტურულადაც და ეკონომიკურადაც დასავლურ-ევროპულ კულტურას მოსწყდა და მაჰმადიანურ სახელმწიფოთა გარემოცვაში აღმოჩნდა. ქართველი პოლიტიკოსები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა მტრული მაჰმადიანური გარემოცვა გაერღვიათ და ევროპასთან კავშირი აღედგინათ. ევროპული სახელმწიფოებიც იჩენენ განსაკუთრებით დიდ ინტერესს საქართველოს მიმართ, ვინაიდან ოსმალურმა დაპყრობებმა ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების ერთი ნაწილი პოლიტიკური, ხოლო მეორე ნაწილი ეკონომიკური კატასტროფის პირას მიიყვანა [ტაბაღუა, 1972, 1979; ჟუჟუნაძე, 1970]. ისინი საქართველოსა და ირანს, რომელთაც თურქეთის მზარდი იმპერია დაპყრობით ემუქრებოდა, თავიანთ პოტენციურ მოკავშირედ მიიჩნევდნენ. იმ ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც ქართული ელჩობა იგზავნებოდა, უშუალო მეკავშირედ მაინც ირანი ან ოსმალეთი მიაჩნდათ, ვინაიდან დასავლეთის დიპლომატიას აშინებდა მზარდი რუსული სახელმწიფოს აგრესიულობა. გამონაკლისს წარმოადგენდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომელთაც თურქეთის წინააღმდეგ მთავარ მეკავშირედ ქართულ სამეფოებს თვლიდნენ. საგარეო-პოლიტიკური მოვლენებიდან, რომლებმაც განაპირობეს იმხანად საქართველოს მომავალი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, ერთ-ერთი იყო ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება და სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა [გაბაშვილი, 1958: 61-62]. საქართველოსათვის მტრული გარემოცვის შექმნა კონსტანტინოპოლის დაცემით დაიწყო 1453 წელს, რითაც „აღმოსავლეთს გადაეკეტა ცივილიზაციის გზა“ და დამთავრდა ძირითადად თურქეთ-ირანს შორის 1555 წელს ამასიაში დადებული ზავით, როდესაც თურქეთმა და ირანმა საქართველო ფაქტიურად ორად გაიყვეს. ამ პერიოდიდან საქართველოს ბედი ორმა დიდმა მოვლენამ – სამეფო-სამთავროებად დაშლამ განსაზღვრა, რაც განპირობებული იყო თვით ქვეყნის სიღრმისეული ცენტრიდანული ძალების განვითარებით.

მტრული ძალების გარემოცვის რკალში მოხვედრამ, ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ და შავი ზღვის „თურქეთის ტბად“ გადაქცევამ დამაბრკოლებელი ზღუდე შექმნა ევროპული პროგრესისა და ცივილიზაციის გავრცელებისათვის აღმოსავლეთსა და კავკასიაში. ევროპაში ახლად ფეხადგმული სავაჭრო ბურჟუაზია იწყებს აღმოსავლეთში მოკავშირეების ძებნას თურქეთის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მოსაწყობად. ამ კოალიციაში ერთ-ერთ მთავარ როლს საქართველოს დაშლილი სამეფო-სამთავროებიც ასრულებენ. მაგრამ მიუხედავად ევროპული დიპლომატიისა, ქართველების ყველა ცდა ოსმალური საშიშროების თავიდან აცილებისა, მარცხით დამთავრდა. მოვლენების შემდგომი განვითარებით, ამ მტრული გარემოცვიდან საქართველომ თავის დაღწევის ოთხი გზა დაისახა: საკუთარი ძალებით, თურქეთ-ყირიმის სახანოს ან ირანის ვასალობით, ერთმორწმუნე რუსეთის, ან კათოლიკური ევროპის მფარველობაში შესვლით.

საკუთარი ძალებით ქვეყნის გაერთიანება და შემდეგ ამ მტრული გარემოცვიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი გახდა. საამისოდ არც სოციალ-ეკონომიკური პირობები იყო და მით უმეტეს – არც პოლიტიკური.

თურქეთ-ყირიმის სახანოს, ან ირანის გენოციდური პოლიტიკის გამო გამორიცხული იყო მათი ვასალობაც.

კათოლიკურმა ევროპამ საკუთარი გზა იპოვა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წყალობით აღმოსავლეთს სხვა გზებით დაუკავშირდა და საქართველო „დაივიწყა“. შექმნილ ისტორიულ ვითარებაში მხოლოდ რუსეთი აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც შორი ხედვიდან გარეგნულად პასუხობდა საქართველოს საშინაო და საგარეო ინტერესებს, და ამასთან ერთად ქმნიდა გარკვეულ ილუზიასაც მტრული გარემოცვიდან თავის დასაღწევად. „აქ, კავკასიაში, საქართველოში შემუშავდა იდეა, რომ აღმოსავლეთის განთავისუფლება მოვა არა კონსტანტინოპოლის გზით, არამედ ჩრდილოეთიდან დარუბანდის გზით. ეს უკვე მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ბარბაროსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ პროგრესისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხები გამარ-

ჯვების საბოლოო იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ“ [ნ. ბერძენიშვილი, 1965].

ევროპის ქვეყნებთან საურთიერთოდ რჩებოდა ერთადერთი გზა – რუსეთის გავლით. პირველი შეხება ქართველებისა პოლონეთთან სწორედ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ ხანაში ხდება, როგორც პოლიტიკური მოტივაცია ერთიანი კოალიციის შექმნისა თურქეთის წინააღმდეგ, და წერილი, რომელიც ვარშავის არქივსაცავშია დაცული, იქ სწორედ რუსეთის გზის გავლით უნდა მოხვედრილიყო. რუსეთის იმპერია სწორედ ბედისწერა აღმოჩნდა ამ ორ ხალხთან ურთიერთობაში, და თუ XV-XVIII სს. პოლონეთთან ქართველ პოლიტიკოსებს წმინდა პოლიტიკური მოტივაცია ამოძრავებდათ, XIX საუკუნიდან ორივე ხალხის ურთიერთობა ერთი იმპერიის ფარგლებში მოექცა. პოლონელი და ქართველი ხალხების ურთიერთობაში სწორედ ეს არის საინტერესო არა მარტო წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც. ამიტომ, დღევანდელი გადასახედიდან აქტუალური ჩანს ჩვენი წარსულისა და მისი შედეგების განხილვა, მით უმეტეს, თუ ეს ერთ ბედქვეშ მყოფი, ოდესღაც აყვავებული და ძლიერი სახელმწიფოების, XIX საუკუნიდან კი კოლონიური უღელქვეშ მყოფი ხალხების ურთიერთობას ეხება.

XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთმა „წარმატებით“ დააგვირგვინა პოლონეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია. საქართველო გუბერნიად აქცია, ხოლო აღმოსავლეთ პოლონეთს სამეფო სტატუსი მისცა. რუსული იმპერიული პოლიტიკა დაპყრობილ ქვეყნებში იმისკენ იყო მიმართული, რომ წყალი აემღვრია და ყველა სადავე ხელთ ჰქონოდა. რუსული ისტორიოგრაფია განსაკუთრებული მონდომებით ხაზს უსვამდა იმას, რომ XVIII ს. II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ქართული მოსახლეობა მცირერიცხოვნობის გამო გადაშენების პირას იყო მისული [პოპერი, 1935], და რომ არა რუსეთი, ქართველი ერი აღიგვებოდა პირისაგან მიწისა და გადაშენდებოდა. ამ საკითხს შეეხო მრავალი ქართველი ისტორიკოსიც, რომლებიც პრორუსულად იყვნენ განწყობილნი და რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას პროგრესულ მოვლენად

მიიჩნევდნენ. ამიტომ რუსულმა ადმინისტრაციამ „მზრუნველობა“ გამოიჩინა „უმცროსი ძმის“ მიმართ და მის ტერიტორიებზე შეუდგა მრავალი უცხო ტომის ჩამოსახლებას, მათ შორის – პოლონელებისაც. საქართველოში ჩამოსახლებულ პოლონელ ემიგრანტთა თუ გადმოსახლებულთა სხვადასხვა ფენა მთელი XIX საუკუნის I ნახევარში სხვადასხვა მიზეზების გამო აღმოჩნდა საქართველოში. თანამდებობრივ იერარქიაში მათ ეკავათ როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობები – გრაფი პასკევიჩი, ა. ს. გრიბოედოვ-გრჟიბოვსკი, პ. დ. ზავილეისკი, ასევე საინჟინრო პერსონალისა და რიგითი ჯარისკაცის როლშიც გვევლინებოდნენ.

ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობა სათავეს შორეული წარსულიდან იღებს [ცინცაძე, 1965]. ცნობილი იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა-ვალე 1627 წელს რომის პაპს წერდა: „ქართველმა მთავრებმა იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა, თითქმის იქამდე დაიცვეს საკუთარი თავისუფლება, რომ პოლშის ყაძახებს, რომელნიც ცხოვრობდნენ დნეპრის შავ ზღვასთან შესართავზე, დიდი სიყვარულით იღებდნენ თავიანთ ქვეყანაში... ეს ორი ხალხი ემოყვრებიან ერთმანეთს. თვითონ პოლშის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, აქვს ამ მთავრებთან მეგობრობა და მიწერ-მოწერა...“ [ზედგინიძე, 1971; 1965].

მართალია, ცნობილი მოგზაურის ამ ცნობაში პოლონეთი ანუ რჟეჩ-პოსპოლიტა და მისი ქვეშევრდომი უკრაინის დნეპრის კაზაკობა ერთმანეთშია აღრეული, ცნობას კონკრეტულობაც აკლია, მაგრამ იგი შეიცავს მითითებას მეტად საყურადღებო ფაქტზე ქართველი და პოლონელი ხალხის ისტორიიდან.

როგორც ცნობილია, XIX ს. დასაწყისიდან ორივე სახელმწიფო რუსული იმპერიის ფარგლებში მოექცა. საკითხის ირგვლივ არც პოლონურ, არც ქართულ ისტორიაში არათუ სპეციალური გამოკვლევა, რაიმე ცნობა და დოკუმენტიც კი არ გამოქვეყნებულა. თუმცა, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებზე არსებული გამოკვლევები და 1832 წლის შეთქმულების შესახებ გამოქვეყნებული დოკუმენტე-

ბი გარკვეულ მასალებს შეიცავს საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების შესახებ.

XIX საუკუნის I ნახევრის საქართველო-პოლონეთის ურთიერთობაზე უამრავი წყარო თუ დოკუმენტია გაბნეული ყოფილი რუსეთის იმპერიის მთავარ არქივსაცავებში [„ივერია“, 1879, №2; თამარაშვილი, 1995; თამარატი, 1910]. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება არავის უწარმოებია – ამდენად დოკუმენტების სპეციალური კრებულიც კი არ გამოქვეყნებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პროფ. გ. გოზალიშვილის სამტომიან პუბლიკაციას 1832 წლის შეთქმულების შესახებ [გოზალიშვილი, 1935; 1970; 1976].

ძირითადი მასალა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ორი ხალხის ურთიერთობაზე, მოსკოვის არქივებში ინახება. კერძოდ, სამხედრო-ისტორიულ [ЦГАОР СССР – ამჟამად Российский государственный архив – РГА], რუსეთის სახელმწიფო- ისტორიულ არქივში, სახელმწიფო-ისტორიულ მუზეუმში [ЦГИА СССР – ამჟამად Российский государственный исторический архив – РГИА, ასევე სანქტ-პეტერბურგის (ყოფილი ლენინგრადის) სახელმწიფო-ისტორიულ არქივში [ЦГИА СССР, г. Ленинград – ამჟამად Государственный исторический архив в Санкт-Петербурге], ლიტვის რესპუბლიკის ვილნიუსის სახელმწიფო-ისტორიულ არქივში [ЦГИА Литовской ССР, г. Вильнюс – ამჟამად რესპუბლიკა ლიტვის ცენტრალური ისტორიული არქივი], ოდესის სამხარეო არქივებსა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობაზე მრავალი საინტერესო ფაქტი თუ მასალაა გაბნეული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში [Акты 1866-1904], რომლებიც საარქივო დოკუმენტებთან ერთად ძირითად წყაროს წარმოადგენს ამ პერიოდის ურთიერთობათა შესწავლისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს გ. გოზალიშვილის მიერ გამოქვეყნებული სამტომიანი პუბლიკაცია 1832 წლის შეთქმულებაზე. აღნიშნული პუბლიკაციები საერთო წარმოდგენას გვიქმნის როგორც შეთქმულების მომზადებაზე, შეთქმულთა

პოლიტიკურ გეგმებზე, ასევე გარკვეულ მასალებს შეიცავს 1832 წლის შეთქმულებასთან პოლონელების კავშირის თაობაზე. თუმცა, მაშინდელი ცენზურის პირობებში ბუნებრივია, მასალები სრულად არ იქნებოდა გამოქვეყნებული. ამიტომ საჭირო გახდა საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში [სრცია] მუშაობა და ამ ფონდში დაცული მასალების სრულად შესწავლა. ამავე დროს მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში [ფონდი 1457, რვეულები 1-31], კავკასიის მთავარმართებელ ბარონ როზენის ფონდში ინახება 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული მასალები, რომლებიც უშუალოდ საგამომძიებლო კომისიის წევრებისა და მისი სპეციალური თავმჯდომარის, გენერალ ჩევკინის მოხსენებითი ბარათებია, საიდანაც ნათლად ჩანს 32-იანელთა პოლიტიკური მრწამსი და ამოცანები.

მრავალმხრივი მასალაა დაცული მემუარულ ლიტერატურაში. გადმოსახლებულმა პოლონელებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ საქართველოში, მრავალი კეთილი საქმე გააკეთეს, დატოვეს მოგონებები საქართველოში (კავკასიაში) ყოფნის დროს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ნაპოლეონის ომების მონაწილის სტანისლავ ნოვაცკის მოგონებები მისი აქ ყოფნის პერიოდში 1813-15 წლებში, რომელიც 1833 წელს პოლონეთში გამოვიდა [ЦГВИА РФ, Личный Фонд Барона Розена, чч. I-II, фф 287]. საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის ამსახველ დოკუმენტებში სტ. ნოვაცკის გვარი არსად ფიგურირებს, თუმცა, როგორც ვიცით, ამ გზის მშენებლობაში რუსეთის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პოლონელები იღებდნენ მონაწილეობას. არსებობს მოსაზრება, რომ მისი თანამოძმეებისაგან განსხვავებით იგი, თავისუფალი იყო.

აღსანიშნავია 1830-31 წლების პოლონეთის დიდი აჯანყების მონაწილის იგნაცი რადძიევსკის „1831 წლის აჯანყების მონაწილის მოგონება“ [Radriejowski, 1973]. წიგნი გამოვიდა ვარშავაში 1973 წელს ვლადისლავ კორბოვსკის რედაქციითა და შესავალი წერილით. თვით მოგონების ავტორი იგნაცი რადძიევსკი პოლონეთის მაღალ საზოგადოებას – შლიახტას განეკუთვნებოდა. თბილისში იგი ჩამოუყ-

ვანიათ ბადრაგით და გაუმწესებიათ რიგით ჯარისკაცად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, სადაც 1839 წლამდე დარჩენილა [Nowacki, 1833].

XIX საუკუნის I ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობაზე სპეციალური გამოკვლევა არ არსებობს. ამ მხრივ ფილოლოგიურ მეცნიერებაში უფრო კარგად გვაქვს საქმე. ქართველ მკვლევართა მიერ შესრულებული ნაშრომები მყარ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ,თუ როგორი ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობები იყო დამყარებული XIX საუკუნის ქართულ ინტელიგენციასა და გადმოსახლებულ პოლონელებს შორის. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია თბილისელი პოლონელის სტ. რავიჩის [Равич, 1971], ვ. ოცხელისა [Оцхели, 1975] და ჯ. ჭელიძის [ჭელიძე, 1975] ნაშრომები. პოლონურმა ისტორიოგრაფიამ ერთგვარად შეავსო ის ხარვეზი, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი წერილები და საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებული მონოგრაფიები შეიცავს ისეთ მასალებსა და ცალკეულ მოსაზრებებს, რომლებიც საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის საშუალებას იძლევა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი მოღვაწენი 1832 წლის შეთქმულთა მოღვაწეობის შეფასებისას ერთგვარი შეხედულებისანი არ იყვნენ. 1832 წლის შეთქმულების ისტორიოგრაფია შეიძლება პირობითად ორ პერიოდად დაიყოს: რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი ხანა. პირველი ოფიციალური შეფასება 1832 წლის შეთქმულებას ილია ჭავჭავაძემ მისცა, რომელიც შეთქმულების მონაწილეთა ბრძოლას დადებითად აფასებდა, თუმცა „...დამარცხებულნი სრულად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელს, ან დაიქსაქსნენ, თუმცა კი გულის ტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში“. ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა ბროშურა „ს. დოდაშვილი და ისტორია ფარული საზოგადოებისა“, რომელშიც შეთქმულების მეთაურად „ჰეგელიანელი“ და „დეკაბრისტი“ ს. დოდაშვილი გამოაცხადა [ჭავჭავაძე, 1953: 203-204]. ქართველ

სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ნ. ჟორდანიამ ეს მოძრაობა კლასობრივი პოზიციებიდან დაინახა და ქართული თავადაზნაურული ინტელიგენციის უნაყოფო ოცნებად მიიჩნია, რომელსაც არავითარი კვალი არ დაუმჩნევია ქართველთა ინტელექტუალური, სულიერი თუ პოლიტიკური ცხოვრებისათვის“ [ჭიჭინაძე, 1893: 6-7].

შეთქმულებას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ სათაურით: „პოლიტიკური რომანტიზმი“ [ჟორდანია, 1922: 104-105]. სათაურიდან ჩანს, რომ ავტორი შეთქმულთა მიზნებსა და საქმიანობას უნაყოფო ოცნებად მიიჩნევს. კ. აბაშიძემ გამოკვლევა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ VIII ტომში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე ააგო. „აქტებში“ კი უკვე დამთავრებული და კომისიის მიერ იმპერატორისადმი გასაგზავნი ხელოვნურად შემუშავებული დასკვნებია მოცემული, რომელთა ჩამოყალიბებაც და შეთქმულთა გეგმებიც ლიტერატურულ სალონებში წამოჭრილი ფუჭი ოცნებების გროვადაა დასახული. ამიტომ ავტორმა ქვეტექსტების წაუკითხავად ვერ შეძლო აჯანყებულთა ნამდვილი არსის ამოცნობა და შეთქმულ თავადაზნაურთა „იმ დროის დამამშვენებელი, გონების არისტოკრატის“ უნაყოფო ოცნებად წარმოადგინა [აბაშიძე, 1905, №1].

დაახლოებით იგივე პოზიციაზე დგას ქართველ ფედერალისტთა ლიდერი არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც გააღრმავა დებულება შეთქმულების თავადაზნაურულ-ნაციონალურობის შესახებ და ამ მოძრაობაში ლიტერატურულ-ინტელიგენტური შინაარსი დაინახა, თუმცა „ბავშვური იყო მათი ოცნება და გულუბრყვილო მათი აზროვნება“.

ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც შეისწავლა XIX ს. სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის ისტორია, წერდა, რომ 1832 წლის შეთქმულება ცარიზმის მიერ დამკვიდრებული რეჟიმის, ანტიკოლონიური და ანტირუსული განწყობილების გამოვლინება იყო; მაგრამ იგი წინასწარ იყო განწირული, ვინაიდან მას აკლდა საერთო-ეროვნული სულისკვეთება.

ქართული სიტყვიერების ცნობილი მკვლევარი ალ. ხახანაშვილი აღნიშნავდა, რომ „1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა როლი საქართველოს ისტორიულ განვითარებაში თავისი მნიშვნელობით უტოლდება დეკაბრისტების როლს რუსეთში [Хаханов, 1906: 29].

როგორც ვხედავთ, რევოლუციამდელი ისტორიოგრაფია დაინტერესებულია 32-იანელთა ისტორიით, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი არ ეხებიან იმ აუცილებელ ფაქტორს, რომლის ძალისხმევითაც შეთქმულები ცდილობდნენ აჯანყების მოწყობასა და რუსეთის განდევნას საქართველოდან და საერთოდ, კავკასიიდან. კერძოდ, არ ეხებიან თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის, ტომით პოლონელის პეტრე ზავილეისკის როლს შეთქმულებაში და საერთოდ, პოლონელთა მონაწილეობას, რომლებიც სხვადასხვა უწყებებსა და განსაკუთრებით საჯარისო შენაერთებში მსახურობდნენ. ამის მიზეზი კი მარტივია: 1832 წლის ისტორიის ნამდვილი მეცნიერული კვლევა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. საქმე ის არის, რომ შეთქმულების საქმეზე სასამართლო ძიების მასალები სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივში ინახებოდა. 1926 წელს ეს მასალები შეისწავლა პროფ. მ. პოლიევქტოვმა და მიმოხილვა დაბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ [პოლიევქტოვი, „კომუნისტი“ 1927, 20. 02].

აღნიშნულ ეპოქაში ყველაზე გავრცელებულად და კომპეტენტურად მიჩნეული იყო ცნობილი ბოლშევიკის ფილიპე მახარაძის შეხედულება, რომლის მიხედვითაც 1832 წლის შეთქმულება თავადაზნაურულ-მონარქიული გადატრიალების წარუმატებელი ცდა იყო. ამ უარყოფით დახასიათებასთან ერთად ფ. მახარაძე კიდევ უფრო შორს მიდის და წერს, რომ XIX ს. I ნახევარში საერთოდ არ არსებობდა ლიტერატურა და მით უმეტეს, საზოგადოებრივი აზროვნება, თუმცა გამოჰყოფს „ნიჭიერ პოეტებს“ – ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს. მაგრამ მათ ნამდვილ ცხოვრებასთან არ ჰქონდათ კავშირი“ [Грузия в XIX столетии 1933: 56].

გ. გოზალიშვილი პირველი მკვლევარია, ვინც სპეციალურად შეეხო პოლონელთა მონაწილეობის საკითხს 1832 წლის აჯანყებაში. საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით იგი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, ეროვნებით პოლონელს პ. დ. ზავილეისკის მიიჩნევს აჯანყების ერთ-ერთ მონაწილედ [გოზალიშვილი, 1935, I: 53], თუმცა საკმაო მამხილებელი მასალის უქონლობის გამო საგამომძიებლო კომისიას იგი დამნშავედ არ მიუჩნევია და პასუხისგებაში არ მიუცია [გოზალიშვილი, 1970, II: 16].

1832 წლის შეთქმულების მეცნიერული კვლევის ისტორიოგრაფია საკმაოდ ვრცელია. მისი სხვადასხვა რაკურსით განხილვის შემდგომ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება – იგი ფეოდალური ნაციონალიზმის გამოვლინებაა და მკვეთრად უარყოფითი დასკვნებით ხასიათდება [ორბელიანი, 1936, I; გოცაძე, 1954 I; 1955.; კიკვიძე, 1954; ხაჭაპურიძე, 1958, II; 1950; 1950, №7; ბარამია, 1955; შადური, 1958; ანთელავა, 1971].

ცალკე აღნიშვნის ღირსია ყველაზე სოლიდური და სრულყოფილი მონოგრაფია „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“ [სურგულაძე, 1968]. მასში საინტერესოდაა წარმოდგენილი აჯანყებაში პ. ზავილეისკის მონაწილეობის საკითხი. დასკვნაში ნათქვამია, რომ იგი, როგორც მაღალი თანამდებობის პირი, ცხადია, არ იყო გათქვეფილი შეთქმულთა მასაში და დაკავშირებული იყო მხოლოდ ხელმძღვანელ ბირთვთან“ [სურგულაძე, 1968: 248].

სპეციალურად შეეხო შეთქმულებთან პოლონელთა დამოკიდებულების საკითხს ნ. ნიკოლაიშვილი [„მაცნე“ 1967, №2]. ავტორს სტატიაში მოჰყავს მრავალი დოკუმენტი, სადაც ის მკვეთრად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „პოლონელი ხალხის 1830-1831 წლების აჯანყებას საქართველოში შეთქმულების განხორციელება საიდუმლო საზოგადოების ხელმძღვანელებს ხელსაყრელ მომენტად მიუჩნევიათ“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტატიის მიხედვით ავტორი შეთქმულებას 1830-31 წლების გავლენად გვიხატავს [„მაცნე“ 1967, №2: 75].

პოლონურმა ისტორიოგრაფიამ მრავალი შესანიშნავი გამოკვლევა უძღვნა თანამემამულეებს, რომლებმაც იძულებით დატოვეს პოლონეთი. ერთ-ერთი პირველ ნაშრომთაგანი, რომელიც აღწერს მათ მოღვაწეობას საქართველოში, არის ცნობილი პოლონელი აღმოსავლეთმცოდნის – იან რეიხმანის სქელტანიანი მონოგრაფია: „პოლონელი მოგზაურები ახლო აღმოსავლეთში XIX საუკუნეში“. ავტორი მოგვითხრობს პოლონელი მოგზაურების სამარშრუტო გზებს, აგვიწერს მათ შთაბეჭდილებებსა და თავგადასავლებს ირანში, თურქეთში, ევფრატისა და ტიგროსის აუზის ქვეყნებში, კავკასიაში. სპეციალური თავი ეძღვნება საქართველოს, დართული აქვს საინტერესო რუკები [Yan Reychman 1972].

პოლონეთში საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის საკითხებზე ძირითადად ორი მკვლევარი მუშაობდა. ერთ-ერთმა მათგანმა – იან რეიხმანმა გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული სტატია და მონოგრაფია კავკასიის საკითხებზე. მიუხედავად სტატიათა სიმრავლისა, ი. რეიხმანი მხოლოდ ლიტერატურულ ურთიერთობებს ირკვევდა და გაკვრით აქვს ნახსენები საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელთა მოღვაწეობა. ქართველთა დიდი მეგობარი და შესანიშნავი მეცნიერი უეცრად გარდაიცვალა 1993 წლის ივლისში. მეორე მკვლევარმა ბოგდან ბარანოვსკიმ [Baranowski Polskie 1982] სტატია და მონოგრაფია მიუძღვნა სწორედ აღნიშნულ თემას. მის სტატიებსა და მონოგრაფიებში ასახულია საქართველოს მოკლე ისტორია, გაშუქებულია ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები [Baranowski 1982, VOL. XXXVII: 15 1982], ხოლო მონოგრაფიაში „პოლონელთა კავკასიელი მეგობრები“ [Baranowski 1985], რომელიც გამოაქვეყნა თავის ვაჟთან კშიშტოპ ბარანოვსკისთან ერთად, შეჯამებულია პოლონურ-კავკასიური (ქართული) ურთიერთობები მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. წიგნში ავტორებს მოკლედ მოთხრობილი აქვთ საქართველოს თავგადასავალი უძველესი დროიდან, ქრისტიანობის გავრცელება, ასახულია ქართველი ხალხის ურთიერთობა ბიზანტიასთან, არაბებთან, ირანთან, თურქეთთან, მონღოლებთან და ბოლოს, რუსეთის დამკვიდრება კავკასიაში. ყოვე-

ლივე ეს მოთხრობილია პირველ თავში შთამბეჭდავი სათაურით: „კავკასიური მოზაიკა (Kavkaska mozaika) [Baranowski 1985: 5-23]. რომანტიკულ სათაურში „მზიური ველი“ (Zolnirska Dola) [Baranowski 1985: 5-23: 49-62] გადმოცემულია გადმოსახლებულ პოლონელთა საქმიანობა საქართველოში. ავტორების დასკვნით, პოლონელთა ასეთი სიყვარული საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი განპირობებული იყო საქართველოსა და პოლონეთის ისტორიის ბევრი თანმხვედრი ელემენტითა და პარალელით.

რაც შეეხება პოლონურ მემუარულ ლიტერატურას,ნაშრომში მოცემულია ავტორთა ვინაობა და მათი ნარკვევების კრიტიკული ანალიზი. ცალკე უნდა გამოიყოს ახალგაზრდა პოლონელი მკვლევარის ანჯეი ფურერის დამსახურება პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობებში. 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში სტაჟირებაზე ყოფნისას იგი მუშაობდა თბილისის არქივთსაცავებსა და მუზეუმებში. მან შეისწავლა თბილისის პეტრესა და პავლეს სახელობის კათოლიკური ეკლესიის არქივი და 1991 წელს ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე დაიცვა დისერტაცია, რომელიც იმითაც არის საინტერესო, რომ იგი მოიცავს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისს.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის წარსულიდან

ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მწიფდებოდა და იგი ძირითადად დასრულდა XV ს. II ნახევარში, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები და დამოუკიდებელი სამთავრო სამცხე-საათაბაგო გამოვიდნენ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა, როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, მოხდა ბატონყმობის საბოლოო გამარჯვებისა და ფეოდალური იმუნიტეტის განვითარების პირობებში, ეკონომიკური რეგრესისა და სამეურნეო დეგრადაციის შედეგად, რომელიც თავის მხრივ იყო წოდებრივ-კლასობრივი და გარე პოლიტიკურ ურთიერთობათა მეტად რთული გადახლართვის შედეგი [ბერძენიშვილი, 1965, II: 86-143]. ამიერიდან უკვე არსებობდა არა ერთი მთლიანი საქართველო, არამედ „ექვსი საქართველო“: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო და გურია. ერთი სიტყვით, „შინაპოლიტიკურად დაყოფილი ერთი მოდგმისა და კულტურის თანამოძმეები და იმდენადვე უცხოელებისაგან განსხვავებულნი“ [ბერძენიშვილი, 1965, II: 101; I 1937: 321]. ფეოდალური აშლილობის პროცესი აღნიშნული სამეფოებისა და სამთავროების ჩამოყალიბებით არ შეჩერებულა. თვით სამეფო-სამთავროების შიგნით ჩამოყალიბდნენ ცალკეული სათავადოები (ქართლი, კახეთი), რომლებიც ისტორიული განვითარების ყველა პირობის მიხედვით სრულიად საქართველოს ერთიანობის საზიანოდ მოქმედებდნენ. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული სამთავროები და სათავადოები საკუთარი ტერიტორიებისა თუ ყმა-მამულის გაზრდასა თუ გამრავლებას მეზობლის ხარჯზე ცდილობდნენ. ამავე დროს ერთიან ცენტრალურ ხელისუფლებას გამოეცალა ეკონომიკურ-სოციალური საფუძვლები, დაეცა ვაჭრობა-აღებ-მიცემობა; მფლობელი კლასი – თავადები, აზნაურები, მომრავლებული მეფე-მთავრები და მათი მოხელენი ყმების გაძლიერებული ყვლეფით თუ ახერხებდნენ თავისი ძალზე შეთხელებული

სახსრების გაზრდას. ხშირი ომიანობის მიზეზით შემცირდა მოსახლეობა, მოიშალა და დაქვეითდა საქალაქო ცხოვრება. ქალაქების უმეტესობა დაბებს დაემსგავსა, ხოლო საქართველოს ერთ დროს მნიშვნელოვანი ქალაქები – სამშვილდე, თმოგვი, დმანისი – სავაჭრო და კულტურული ცენტრები XV საუკუნიდან საბოლოოდ გაქრნენ.

ბუნებრივია, რომ ამ პერიოდიდან საქართველოს გარე სამყაროსთან გარკვეული თავისებურება დაჰყვა. კერძოდ, ყველა ეს ე.წ. „საქართველოები“ სხვადასხვა კუთხითა და საზომით უდგებოდნენ თავიანთ მეზობლებს, თუმცა ობიექტურ გარემოებათა გამო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში ისინი მაინც უმეტესწილად ერთობლივი ფრონტით გამოდიოდნენ.

დასავლეთ ევროპის ახლადფეხადგმული სავაჭრო ბურჟუაზია იწყებს აღმოსავლეთში მოკავშირეების ძებნას თურქეთის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მოსაწყობად და ბრძოლას კონსტანტინოპოლის განთავისუფლებისათვის. ამ კოალიციაში ერთ-ერთ მთავარ როლს საქართველოს დაშლილი სამეფო-სამთავროებიც ასრულებენ.

თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ სასოწარკვეთაში ჩააგდო დასავლეთის ახლადფეხადგმული სავაჭრო ბურჟუაზია და მათი ინტერესები შეარყია. მათ ხელიდან გამოეცალათ მოგების უზარმაზარი წყარო – აღმოსავლეთის ბაზარი. „ყველაფერი აღმოსავლური – თავისი სიშორის, იშვიათობის, ეგზოტიკურობის, შესაძლოა სიძვირის გამოც – ევროპელთათვის ხდება უსაზღვროდ მომხიბლავი და მომაჯადოებელი. „არაბული“, „სპარსული“, „ინდური“, „ინდოსტანური“ – ეს განსაზღვრებანი შუა საუკუნეებში თანაბარია სიტყვებისა – ფუფუნებითი, დახვეწილი, ნატიფი, მეფური, ძვირფასი და საუცხოო. არც ერთ საქონელზე არაა ისეთი მოთხოვნილება, როგორიც სანელებლებზე. კაცი იფიქრებდა, ამ აღმოსავლურ ყვავილთა სურნელებამ უხილავი ჯადოქრობით შეკრა ევროპის სული (შტეფან ცვაიგი – „მაგელანი“). სულ მცირე, თორმეტამდე მტაცებელი უნდა გაიაროს ინდურმა სანელებლებმა, ვიდრე მოხვდებიან უკანასკნელთა ხელში – მომხმარებლებთან, – წერდა ქრისტე-

ფორე კოლუმბის მეგობარი, ცნობილი გერმანელი გეოგრაფი და მოგზაური მარტინ ბეჰაიმი (1459-1506) თავის გლობუსში „დედამიწის ვაშლში“. მართალია, რომის პაპებს ამ დროს აღარც წინანდელი გავლენა და აღარც ეკონომიკური პირობები აღარ ჰქონდათ იმისთვის, რომ ჯვაროსნული ომები წამოეწყოთ თურქეთის წინააღმდეგ და ბოსფორ-დარდანელის სრუტეები გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა აღმოსავლეთ-დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნები აემოძრავებინათ და თურქეთის ძლიერება დაემხოთ. პაპმა პიოს II-მ აზიაში მყოფი ქრისტიანების მოსამხრობად გამოგზავნა ლუდოვიკო ბოლონიელი [თამარაშვილი, 1995: 61, 592-598; Tamarati, 1910: 446-458; ჯავახიშვილი, IV, 1967: 63-74: III, გვ. 737-739]. ბოლონიელი საქართველოში 1459 წელს ჩამოსულა და ოსმალთა წინააღმდეგ ქართველთა ამხედრება განუზრახავს. მას ქართველთათვის უამბნია, რომ თითქოს რომის პაპი მანტუაში წაბრძანებულა საეკლესიო კრების მოსაწვევად და თურქთა სულთანის – მუჰამედის წინააღმდეგ ომის მოსაწყობად; ამასთანავე პაპი ევროპიდან ოსმალებს ომს აუტეხავდა, რითაც ქართველებსაც ომითვე უნდა ეპასუხათ [თამარაშვილი, 1995: 597; Tamarati, 1910: 456]. ლ. ბოლონიელის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ პაპს განზრახული ჰქონდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნა და მასში საქართველოს ჩათრევა, რაც ამ დროს მეტად სათუო საქმე იყო [ჯავახიშვილი, 1967: 64]. თუმცა ყველაფერი მოგვარებულა და საქართველოს მეფე-მთავრებს შორის მშვიდობა და ზავი დადებულა და ხელშეკრულებაც კი გაფორმებულა. საპასუხო წერილებში როგორც გიორგი მეფე,ასევე ყვარყვარე ათაბაგიც ლ. ბოლონიელის პირით პაპს თანაგრძნობასა და ანტიოსმალურ კოალიციაში საერთო ჯარის გამოსვლას ჰპირდებიან. ქართველებმა პაპის სამოქმედო გეგმა კიდევ უფრო გააფართოვეს და თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირედ მცირე სომხეთის, ტრაპიზონის სამეფოსა და ირანის მმართველი წრეებიც შეიერთეს, საერთო გეგმაც შეიმუშავეს და თავიანთი ელჩები ევროპაში გაგზავნეს. 1460 წელს ხუთივე ელჩი: გიორგი მეფისა – ნიკოლოზ თბილელი; ყვარყვარე ათაბაგისა – ქასადანი;

დავით ტრაპიზონელი კეისრისა – მიხეილი; მცირე სომხეთისა – მორალი თუ მორალო; ირანის მბრძანებლის უზუნ-ჰასანისა – მაჰმედი რომის პაპს პიოს II-ს წარუდგა. პაპმა მოუსმინა ელჩობას და შემდგომ კოალიციის ჩაშლის ამბავი აუწყა [ჯავახიშვილი, IV, 1967: 75-76: III, 64-65; 738; Tamarati, 1910: 456-457].

კოალიციის ჩაშლის შემდეგ ოსმალეთი კიდევ უფრო გაძლიერდა. მათ დაიპყრეს მთელი ბალკანეთი და უშუალოდ იტალიის საზღვრებს გაუმეზობლდნენ. განსაკუთრებით შეწუხდნენ ვენეციელები. მათმა სენატმაც ოსმალების დასამარცხებლად შეიმუშავა დიდი საომარი გეგმა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო ირანსა და ოქროს ურდოს. ვენეციელთა გეგმა დაახლოებით იმ გეგმის ტოლფასი იყო, რასაც ქართველთა ელჩობა სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ სთავაზობდა რომის პაპს. წინასწარმეტყველურად აღსრულდა ყვარყვარე ათაბაგის ის შორსმჭვრეტელური გაფრთხილება, რასაც ის თავისი ელჩის პირით ატყობინებდა ევროპელებს: „გევედრებით, ხელიდან არ გაუშვათ კარგი შემთხვევა, უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდგომში კიდეც გულით რომ მოინდომოთ, ვერაფერს გაარიგებთ, რადგან ურჯულო ოსმალეთი მუდამდღე ძლიერდება და ვეღარც შევიძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ“ [თამარაშვილი, 1995: 59, 596;]. ვენეციას ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად ვერ უშველა უზუნ ჰასანთან იოსაფატ ბარბაროსა (1473-1479) და ამბროზიო კონტარინის (1474-1477) ელჩობამაც [Скржинская 1971]. მართალია, უზუნ-ჰასანი პირველ კოალიციაში შედიოდა და მისი ჩაშლა კიდევაც სწყენია. იმას, თუ რატომ ვერ შეუერთდა უზუნ-ჰასანი მეორე, ე.წ. ვენეციურ კოალიციას, თავისი მიზეზი ჰქონდა.

თურქეთის ყოველი წინსვლა აღაშფოთებდა არა მარტო ქრისტიანულ სამყაროს, მათ შორის საქართველოსაც, არამედ მაჰმადიანური სამყაროს მესვეურებსაც და ამაში უპირველეს ყოვლისა ახლადფეხადგმული სპარსეთის სახელმწიფოს მბრძანებელი უზუნ-ჰასანი იგულისხმება. მას გულს

არ ეხატებოდა მეზობლად ძლიერი ოსმალური სახელმწიფოს აღზევება და ყოველნაირად ცდილობდა მის დასუსტებას. რაკი კოალიცია ჩაიშალა, უზუნ-ჰასანმა მარტოდმარტომ გადაწყვიტა ოსმალთა სიძლიერისა და წინსვლისთვის ფრთები მოეკვეცა და 1471 წელს ოსმალეთს შეესია. ზუნ-ჰასანს, რა თქმა უნდა, თავის გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდა. ოსმალები მართლაც დამარცხდნენ ამ ომში და ამ გამარჯვების წყალობით ყარაბახის მომეტებული ნაწილი ირანს გადაეცა. უზუნ-ჰასანს ამ გამარჯვების შემდეგ დიდი შეცდომა მოსვლია: დაპყრობილ მხარეში 10 000 ჯარისკაცზე მეტი არ დაუტოვებია და უკან გამობრუნებულა. ამით უსარგებლიათ ოსმალებს და მომდევნო 1472 წელს მთავარი ლაშქრის დაუხმარებლად დატოვებული ლაშქარი კერელუს (ახლანდელი ბეთშერ-გიოი) ტბასთან გაუნადგურებიათ. 1473 წელს უზუნ-ჰასანი კვლავ თურქთა წინააღმდეგ ამხედრებულა, მაგრამ შებრძოლებამდე მოკავშირეების ძებნა დაუწყია. ამ დროს უნდა განეკუთვნებოდეს სპარსეთის მბრძანებლის მიმართვა საქართველოს მეფისთვის ოსმალთა წინააღმდეგ დახმარების შესახებ, რომელიც მოცემულია იტალიელთა დესპანის ჯოვანი მარია ანჯიოლლელოს გაკვრით ნათქვამ ცნობაში უზუნ-ჰასანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერილობის შემცველ თხზულებაში [ჯავახიშვილი, 1967, 4: 100]. ქართველებს უარი შეუთვლიათ. ეს იმის გამო მომხდარა, რომ საქართველოსთვის გაძლიერებული სპარსეთი ოსმალეთზე არანაკლებ საშიში უნდა ყოფილიყო. ამიტომ ქართველ პოლიტიკოსთა უარი უზუნ-ჰასანის მოწოდებაზე სრულიად ლოგიკურია. უზუნ- ჰასანი ამ ომში სასტიკად დამარცხებულა. თავისი ჯავრი მას საქართველოზე გამოლაშქრებით ამოუყრია 1473-სა და 1477 წლებში [იტალიელი მოგზაურები. „მოამბე“, 1894, № XI; ი. ჯავახიშვილი, 1967, IV:116-123].

ირანის შაჰის საქართველოდან გასვლის შემდეგ საქართველოში გამეფებულა კონსტანტინე დიმიტრის ძე. 1478 წელს გარდაიცვალა უზუნ-ჰასანი. მისმა მემკვიდრე ჰალილ-შაჰმა ქართველთა მეფისწული „შეიწყნარა“ და საქართველოში გამოგზავნა. მაგრამ ბაგრატს ისე მცირე

ხანს უმეფია (რამდენიმე თვეს), რომ ქართული წყაროები მას არც კი იხსენიებენ. კონსტანტინეს ენერგიულად დაუწყია მეფობა და შეუდგა როგორც შინაგანი შფოთის, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთლიანობის აღდგენას. მაგრამ ამ საქმეს და მიღწეულ შედეგს აქარწყლებდა გარეშე მტრის ხშირი შემოსევები. შინაურ ბრძოლაში მარცხსა და გარე მაჰმადიანურ მეზობლებთან უსწორო ბრძოლას კონსტანტინე ვერ გაუტეხია და შესდგომია შორეული მოკავშირეებისა და მფარველის ძებნას. პოლიტიკური მიზნით კონსტანტინეს ეგვიპტეში,კერძოდ კი ქაიროში თავისი დესპანი ეგვიპტის მამლუქ,ხალიფა აშრაფ სეიფად-დინ კაიტბეისათვის 1468-1496 წლებში კარის ეკლესიის მოძღვარი კვირ-ნილოსი გაუგზავნია. საქართველოს მეფეებს ეგვიპტის მბრძანებლებთან XV საუკუნის დამდეგიდან ჰქონდათ მეგობრობა. თუ კონკრეტულად რისთვის იყო წასული კვირ-ნილოსი ეგვიპტის ხალიფასთან,არ ჩანს,მაგრამ აშკარაა, რომ ეგვიპტის მბრძანებელს ქართველთა დესპანი მეგობრულად მიუღია. კვირ-ნილოსი რომ ქაიროდან გამოსულა, იერუსალიმში ჩასულა. აქ იგი ესპანეთის დედოფლის დესპანებს შეხვედრია. ქართველთა ელჩს ესპანელთაგან შეუტყვია, რომ იზაბელა დედოფალს არაბები საბოლოოდ დაემარცხებინა და ესპანეთიდან განუდევნია. ქართველ დესპანს ესპანელი ელჩები საქართველოში წამოუყვანია და კონსტანტინე მეფისათვის წარუდგენია. მეფე კონსტანტინემ სახელდახელოდ დაწერა ფირმანი ესპანეთის დედოფლისადმი და იგივე კვირ-ნილოსი, რომელიც ლათინურ წყაროებში „ნილოსად“ მოიხსენიება, გააყოლა ესპანელ ელჩებს.

ქართველ პოლიტიკოსებს იმედი გასჩენიათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ თუკი ესპანელთა დედოფალმა არაბები დაამარცხა და თავისი სამშობლოდან სამუდამოდ განდევნა, დასავლეთ-აღმოსავლეთის ქრისტიანობა შეერთებული ძალით მაჰმადიანობას შეებრძოლებოდა და ოსმალოსპარსელებსაც დაამარცხებდა. კვირ-ნილოსი რომის პაპთან და ესპანეთის დედოფალ იზაბელასთან საგანგებო სიგელებით, საიდუმლო დავალებითა და ალბათ საჩუქრებითაც გაემგზავრა. პაპი ალექსანდრე VI-ის სახელზე დაწ-

ერილი ეპისტოლე დაკარგულია და მისი შინაარსის გაგება მხოლოდ პაპის საპასუხო ეპისტოლედან შეიძლება. მისი ლათინური ტექსტი და ქართული თარგმანი მ. თამარაშვილს აქვს დაბეჭდილი წიგნებში: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ [თამარაშვილი, 1995:. 64-65: 598-599.] და „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ [Tamarati, 1910: 460-461]. ამ წიგნში ლათინური თარგმანია მოყვანილი Raynaldi-ის მიხედვით [Raynaldi, 1496, XI. Ad. Ann, XXI: 269-270; Tamarati, 1910: 461]. ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი გაგზავნილი საბუთი კი რუსული ენით ნათარგმნი პირის სახით არის შენახული. იზაბელას სახელზე დაწერილ წერილში ქართველი დესპანი კორნილიოსად არის წოდებული, ხოლო პაპი ალექსანდრე VI-ის კონსტანტინე მეფისადმი გამოგზავნილ საპასუხო ბარათში ნილოსი ლათინურად “Nilum confessorem et oratorem” და ფრანგულად “Par notre cher fils Nil, Votre confesseur et ambassadeur”-ად იხსენიება. უეჭველია, რომ ამ ორივე სახელით საბუთებში ერთი და იგივე პირია ნაგულისხმევი. „კორნილიოს“ რუსული თარგმანის დამახინჯება უნდა იყოს და წარმომდგარია „კვირ-ნილოს“-ისაგან [ჯავახიშვილი, 1967, IV: 152]. ვარშავის არქივში შემონახული წერილი პირველად ისტორიკოსმა ბუსსემ იპოვა და დაბეჭდა 1823 წელს რუსული სამეცნიერო საზოგადოების გამოცემაში: “Труды высочайше утвержденного вольного общества российской литературы”, რომელსაც აგრეთვე “Соревнователь просвещения благотворения” ერქვა [Соревнователь... 1823, II, №5: 213-219]. საბუთი 1850 წელს გადმოიბეჭდა “Закавказский Вестник”-შიც. აკად. მარი ბროსემ მისი ფრანგული თარგმანი ისტორიული განმარტებითურთ ჩაურთო თავის „საქართველოს თანამედროვე ისტორიის“ პირველ გამოცემას. საინტერესოა, თუ როგორ აღმოჩნდა ვარშავის არქივში ქართველი მეფის წერილი, რომელიც ესპანეთის დედოფლისადმია გაგზავნილი, ისიც რუსულ ენაზე თარგმნილი. ამ კითხვაზე ნაწილობრივ თვით წერილის შინაარსი გვეუბნება, რომელშიც არაერთი საყურადღებო ცნობაა მოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა რევოლუციამდელ ისტორი-

ოგრაფიაში საგანგებო ყურადღების საგანი არ გამხდარა. ამ საკითხს ქართველმა ისტორიკოსებმა მხოლოდ რევოლუციის შემდგომ პერიოდში მიაქციეს ყურადღება.

საქართველო-პოლონეთის ადრინდელი ურთიერთობის ისტორიის გაშუქებას ეძღვნება ი. ცინცაძის წიგნი „მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“. შესავალ ნაწილში მიმოხილულია საქართველოს საგარეო ისტორიის შესწავლის მდგომარეობა და მისი შესწავლის აუცილებლობა, ხოლო შემდგომ ნაწილში – პოლონეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის უძველესი ცნობა, რომელიც ვარშავის არქივში ინახება – კერძოდ, კონსტანტინე მეფის წერილი ესპანეთის (კასტილიის) დედოფალ იზაბელასადმი. ვარშავის არქივში დაცული კონსტანტინე მეფის წერილის რუსული თარგმანი 1465 წლით არის დათარიღებული. ი. ცინცაძეს სამართლიანად შეაქვს ეჭვი წერილის თარიღში. ამ წელს (1465) არც კონსტანტინე მეფობდა საქართველოში და არც იზაბელა იყო სრულიად ესპანეთის დედოფალი. ეჭვი არაა, რომ საბუთი 1495 წელს არის დაწერილი და გაგზავნილი [ცინცაძე, 1966: 11]. ამ წერილის შესახებ არსებული ლიტერატურის საფუძველზე ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ „კონსტანტინე მეფის წერილის თარიღში ამჟამად არსებული შეცდომა გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოშობილი“ [ცინცაძე, 1966: 11]. მკვლევარი წიგნში არსებული ცნობებისა და ისტორიული ფაქტების შეჯერების საფუძველზე მივიდა მართებულ დასკვნამდე, თუ რამ განაპირობა ელჩის გაგზავნის საკითხი, რატომ და რომელი გზით წავიდა იგი ესპანეთს. კონსტანტინე მეფის წერილს თანამედროვე პოლონელი ისტორიკოსი ბოგდან ბარანოვსკიც შეეხო [Baranowski, 1950: 212]. მართალია, პოლონელი ისტორიკოსი 1465 წლით ათარიღებს კონსტანტინე მეფის წერილს და უკრიტიკოდ შეაქვს ის თავის ნაშრომში, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წიგნში საინტერესო ცნობებია მოყვანილი საქართველოს შესახებ. ბ. ბარანოვსკი წერს, რომ 1465 წელს პოლონეთში იმყოფებოდა საქართველოს მეფის – კონსტანტინეს ელჩობა, რომელიც ესპანეთს მიემგზავრებოდა, რათა ესპანეთის სამეფო კარს მოლაპარ-

აკებოდა – გაერთიანებულად ებრძოლათ მუსლიმანთა წინააღმდეგ. არ არის გამორიცხული, რომ პოლონეთის მიწაზე ყოფნის დროს ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებას მეფე კონსტანტინეს ელჩებსა და პოლონეთის მესვეურთა შორის თურქეთის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის შესახებ [Baranowski, 1950: 212].

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1468-1496 წლებს შორის ქართლის მეფე კონსტანტინე დემეტრეს ძეს ეგვიპტის სულთან მამლუქ ხალიფა აშრაფ სეიდ-ად-დინ კაიტბეისთან თავისი მოძღვარი, მღვდელ-მონაზონი კვირ-ნილოსი ელჩად გაუგზავნია. კონსტანტინე მეფეს, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოთა ანტითურქული კოალიციის ინიციატორს, არ შეეძლო მხოლოდ ყოველთვის სარწმუნოებრივი პრინციპით ეხელმძღვანელა და იგი შექმნილი სიტუაციის პირობებში მტრის შესამუსრავად მოკავშირეს ეძებს მახლობელ თუ შორეულ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა შორის. ასეთ დიპლომატიას საქართველოს პოლიტიკოსები ყოველთვის მიმართავდნენ, რომელთაც არაერთხელ დაუხსნიათ თავი მტრისაგან. თავისთავად ცხადია, იმდროინდელი საქართველოსა და ეგვიპტის მეგობრობა ამ ორი სახელმწიფოს ძლიერმა და საერთო მტერმა – თურქებმა განაპირობეს.

საქართველოში ესპანეთის ელჩები თურქეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის მიზნით მოვიდნენ. საქმე ისაა, რომ ესპანეთს თურქეთი უკეტავდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს ხმელთაშუა და შავ ზღვებზე. თურქებმა შავი ზღვის ჩაკეტვით საქართველოც მოსწყვიტეს დასავლეთ ევროპას. ასე რომ, ქართველი და ესპანელი ელჩობა ანტითურქული კოალიციის შექმნის გეგმას სახავს. შავი ზღვის სრუტეების ჩაკეტვის შემდეგ საქართველო ევროპას მდინარე დუნაის საშუალებით უკავშირდებოდა. მაგრამ 1476 წელს თურქებმა ვალახეთი დაიკავეს, ხოლო 1484 წლის 8 ივლისს დუნაის შესართავსაც დაეპატრონენ და იქ ციხე-სიმაგრე კილია დაიკავეს. ამრიგად, შავი ზღვიდან მდ. დუნაიში შესვლას ამიერიდან თურქეთი უწევდა კონტროლს. ჩაკეტეს რა შავი ზღვა და ევროპაში უკანასკნელი გასასვლელი შავი ზღვის ყელიც, ერთადერთი გზა საქართველოსთვის

დასავლეთ ევროპასთან კავშირის დასამყარებლად რჩებოდა ჩრდილოეთის გზა. ამიტომ ელჩები უნდა წასულიყვნენ საქართველოს კუთვნილი შავი ზღვის სანაპიროდან ზღვით მდინარე დნეპრის შესართავამდე, დნეპრით კიევზე გავლით, შემდეგ კი დნეპრის დასავლეთის შენაკადებით ლიტვა-პოლონეთზე და აქედან დასავლეთ ევროპისაკენ ყველა მიმართულებით [ცინცაძე, 1966: 28]. ამ მარშრუტით მგზავრობა დადასტურებულია როგორც რუსული მატიანის ცნობით [ცინცაძე, 1956: 171-189], ასევე უცხოელი მოგზაურების მიერ. ცნობილი იტალიელი მოგზაური პიეტრო დელავალე 1627 წელს რომის პაპს წერდა: „ქართველმა მთავრებმა იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა, თითქმის იქამდე დაიცვეს საკუთარი თავისუფლება, რომ პოლშის ყაზახებს დნეპრის შავ ზღვასთან შესართავზე დიდი სიყვარულით იღებდნენ თავიანთ ქვეყანაში... ეს ორი ხალხი ემოყვრებიან ერთმანეთს. თვითონ პოლშის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, აქვს ამ მთავრებთან მეგობრობა და მიწერ-მოწერა. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში დადიან სავაჭრო ხომალდები... ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველთათვის... პოლშას შეუძლიან კიდევ ამ გზით, რომელიც ძლიერ მოკლეა, დიდად დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში, რომელსაც მიაყენებენ ან სპარსელები, ან თურქები. ქართველებს თავის მხრივ შეუძლიათ მათის ნავსადგურებით და უსაშიშო თავშესაფარ ადგილებით, რომელნიც აქვთ ზღვის ნაპირზე, დიდად დაეხმარნონ ყაზახებს მათ საქმეებში“ [„ივერია“, №2, 1879: 56-57]. მართალია, ცნობილი მოგზაურის ამ ცნობაში პოლონეთი და მისი ქვეშევრდომი უკრაინა ერთმანეთშია აღრეული, ამასთანავე ცნობას კონკრეტულობაც აკლია, მაგრამ იგი შეიცავს მითითებას ორ მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო ფაქტზე: პირველი – ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობაზე და მეორე – უმოკლეს და ერთადერთ გზაზე დასავლეთ ევროპასთან კავშირის დასამყარებლად პოლონეთის გავლით. მაშასადამე, ქართველ ელჩებს ესპანეთში ჩასვლამდე პოლონეთის ტერიტორიაზე უნდა გაევლოთ.

როგორც კონსტანტინე მეფის წერილიდან ჩანს, ქართველი და ესპანელი ელჩები იერუსალიმიდან ანტითურქული კოალიციის შესაქმნელად მოვიდნენ. ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფო XV საუკუნის 80-იანი წლებიდან თვით იყო ინიციატორი თურქეთის მოწინააღმდეგეთა კოალიციის შექმნისა. საქართველოში თვალყურს ადევნებდნენ თურქეთის დაპყრობებს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს საქართველოს გარშემო მიმდინარე პროცესებისათვის თვალყური უნდა ედევნებინათ და ქვეყნის გადასარჩენად საჭირო ღონისძიებები უნდა გამოენახათ. საინტერესოა, თუ რა გააკეთეს ქართველმა ელჩებმა პოლონეთის ტერიტორიის გავლის დროს. ი. ცინცაძის აზრით, საქართველოში ამ დროს უდავოდ იციან ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს დამოკიდებულება თურქეთთან და რომ ქართველი დიპლომატი მეფისგან პოლონეთის სამეფო კარზე თურქეთის შესახებ მოლაპარაკება უნდა ჰქონოდა დავალებული. მართალია, ლიტვა-პოლონეთის მეფის მიმართ ქართველი მეფის მიერ გაგზავნილი წერილი არ ჩანს, მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს სიტყვიერი დავალების ფაქტს. ქართველ ელჩს ლიტვა-პოლონეთის მაშინდელი მეფის – ალექსანდრესათვის თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შედგენის გეგმა რომ გაუცვნია, მოუწვევია თათბირი. ამის დამამტკიცებელია კონსტანტინე ქართლის მეფის ესპანელი იზაბელა დედოფლისადმი გაგზავნილი წერილის თარგმანის შეტანა „მეტრიკის წიგნში“ [ცინცაძე, 1966: 31-32].

„მეტრიკის წიგნში“ კი მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი მიმოწერის ის ტექსტები შეჰქონდათ, რომელთაც სახელმწიფო საბჭოზე განიხილავდნენ. რაც შეეხება იმას, თუ საიდან გაჩნდა წერილის რუსული ტექსტი, შეიძლება ითქვას, რომ XV საუკუნის ლიტვის დიდი სამთავრო სანახევროდ რუსული პოლიტიკური ერთეული იყო და ლიტვის კანცელარიაც რუსულ ენაზე ადგენდა საბუთებს [Бережков I, 1948: 119-121].

ამგვარად, კონსტანტინე ქართველთა მეფის მიერ ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილი წერილის (ბერძნულად და ლათინურად დაწერილი) შინაარსს ჯერ ეცნობიან ლიტვა-

პოლონეთის სახელმწიფო მოღვაწეები და როგორც საჭირო დოკუმენტს თარგმნიან რუსულ ენაზე და შეაქვთ ცნობილი „მეტრიკის წიგნში.“ რუსული ენა, როგორც საკანცელარიო ენა, მიიღეს ვარშავის 1632 წლის საკონვოკაციო სეიმზე. ყველა ოფიციალური დოკუმენტი,რომელიც შეიქმნებოდა ლიტვის, ვოლინისა და ბრაცლავის სავოევოდოებში, უნდა გაეცათ რუსულ ენაზე [Pisanie Ruskich spraw. III, 1875: 583]. თუ რა ურთიერთობა მოჰყვა ამ პირველ ელჩობას პოლონეთ-საქართველოს შორის, როგორი რეზონანსი ჰქონდა მას და რა შედეგით დამთავრდა, საბუთების უქონლობის გამო უცნობია. მაგრამ მთავარია ის, რომ XV საუკუნის მიწურულისათვის პოლონეთ-ლიტვა-საქართველოს შორის, რომლებიც ტერიტორიულად საკმაოდ იყვნენ ერთმანეთს დაშორებულნი, დამყარდა დიპლომატიური და მეგობრული ურთიერთობა.

ამრიგად, XV საუკუნეში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი აიძულა მოეძებნათ მოკავშირეები თურქეთის წინააღმდეგ, გამოსულიყვნენ მუსულმანური გარემოცვისგან და ეკონომიკურად და კულტურულად დასავლეთის სამყაროს დაკავშირებოდნენ. XV საუკუნის ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ ლიტვა-პოლონეთისა და საქართველოს მესვეურები ეპიზოდურად მაინც დიპლომატიურ ურთიერთობას შავი ზღვის გზით ახერხებდნენ; ეს ურთიერთობა კი თურქეთის მხრიდან საშიშროებით იყო გამოწვეული.

რაკი საქართველო იმხანად დაჟინებით ცდილობდა ანტიოსმალური კოალიციის შეკვრას, კახეთიდან მოსკოვში 1492 წელს გაგზავნილი ელჩობაც ამ გარემოცვის საშიშროების მოშლას ემსახურებოდა, და ამდენად იგი მიჩნეულ უნდა იქნეს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისად [ბოცვაძე, 1972; ცინცაძე, 1956, 248; ბოცვაძე, 1990]. მაგრამ ამჯერად ქართველთა ყველა ცდა – ევროპისა და ახლად წელში გამართული მოსკოვის სახელმწიფოს დახმარებით ოსმალური საშიშროების თავიდან აცილებისა – მარცხით დამთავრდა.

ამრიგად, XV ს. მეორე ნახევარში ქართველთა ყველა ცდა, მონაწილეობა მიეღოთ თურქეთის წინააღმდეგ მოწყობილ მთელ რიგ კოალიციებში, ან თვით შეეკრათ ასეთი

კოალიცია, უშედეგოდ დამთავრდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მტრული გარემოცვისაგან საქართველოს თავის დაღწევის ოთხი გზა რჩებოდა: საკუთარი ძალებით, თურქეთ-ყირიმის სახანოს ან ირანის ვასალობით, ერთმორწმუნე რუსეთის, ან კათოლიკური ევროპის მფარველობაში შესვლით.

პირველი გზა გამოირიცხა, ვინაიდან საამისოდ არც სოციალ-ეკონომიკური პირობები იყო და მით უმეტეს – არც პოლიტიკური.

თურქეთ-ყირიმის სახანოს ან ირანის გენოციდური პოლიტიკის წყალობით გამორიცხული იყო მათი ვასალობაც.

კათოლიკურმა ევროპამ საკუთარი გზა იპოვა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წყალობით აღმოსავლეთს სხვა გზებით დაუკავშირდა და საქართველო „დაივიწყა“. მაგრამ დაშლილი საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნასა თუ კოალიციაში მონაწილეობაზე ხელი არ აუღიათ არც XV საუკუნის ბოლოსათვის. კერძოდ, 1492 წელს ალექსანდრე კახთა მეფის მცდელობა, კავშირი დაემყარებინა მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-სთან [Белокуров, 1889: XVIII, XXI-XXII; ცინცაძე, 1956: 243-248; Жужунадзе, „მაცნე“, იაეს №4, 1964: 293; Паичадзе, 1976: 16; ბერძენიშვილი, სის V, 1965: 228-233].

კახეთის მეფე ალექსანდრეს გაუგზავნია საკუთარი ელჩობა ვინმე შაქელ ხოჯა მურადის თაოსნობით. მართალია, რუსეთში კახთა ამ პირველ ელჩობაზე დაწვრილებითი ცნობები არ არსებობს, მაგრამ ისტორიული სიტუაციის მიხედვით ძნელი არაა მისი მიზნისა და მნიშვნელობის გარკვევა. ის ფაქტი, რომ მუსლიმანურ გარემოცვაში ჩავარდნილი კახეთის მეფისათვის წერილის შინაარსიდან გამომდინარე რუსეთის მეფე ქრისტიანული სარწმუნოების სიმტკიცე და ბურჯია, თავისთავად ბევრის მთქმელია, მით უფრო, რომ სწორედ ამ პერიოდში რომში კარდინალ ბესარიონის მონაწილეობით თურქეთის საწინააღმდეგო ლიგაში მოსკოვის აქტიური მონაწილეობის გეგმა იყო შემუშავებული; ეს კი არ შეიძლებოდა კახეთისათვის უცნობი ყოფილიყო. [Базилевич, 1962: стр. 414: ცინცაძე; 1956: 23]. მაგრამ ამჯერადაც ოსმალური საშიშროების თავიდან აც-

ილების ყველა ცდა ევროპისა და ახლად წელში გამართული მოსკოვის სახელმწიფოს დახმარებით ქართველებისთვის მარცხით დამთავრდა.

შექმნილ ისტორიულ ვითარებაში მხოლოდ რუსეთი აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც ძირითადად პასუხობდა საქართველოს საშინაო და საგარეო ინტერესებს, და ამასთან ერთად ქმნიდა გარკვეულ პირობებსაც მტრული გარემოცვიდან თავის დასაღწევად. „აქ, კავკასიაში (საქართველოში) შემუშავდა იდეა, რომ აღმოსავლეთის განთავისუფლება მოვა არა კონსტანტინოპოლის გზით, არამედ ჩრდილოეთიდან, დარუბანდის გზით. ეს უკვე მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ბარბაროსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ პროგრესისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხები საბოლოო იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ“ [ბერძენიშვილი, 1965: V, 166]. აღნიშნული დებულება ახალი დასკვნის საშუალებას იძლევა, კერძოდ კი, საგარეო ურთიერთობათა ძირითადი მიმართულება რუსეთის იმპერიული პოლიტიკის პარალელურად იხილებოდა, და რუსეთის შემოსვლა-დამკვიდრებას ქართული ისტორიული სკოლის წარმომადგენლები ამ პრიორიტეტში განიხილავენ.

როგორც მოვლენების შემდგომი განვითარებიდან ჩანს, ეს გზაც ილუზიური აღმოჩნდა, რამდენადაც ჯერ მოსკოვის სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიის მესვეურებმა სამი საუკუნე მოანდომეს თურქეთ-ირანის განდევნას კავკასიიდან. ამ ისტორიულ მონაკვეთზე ქართულ სამეფოებთან არაერთი ხელშეკრულება იქნა გაფორმებული. მაგრამ ქართული დიპლომატია ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე,რათა გაეანალიზებინა რუსული დიპლომატიის მცდელობა – ეზრუნა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის. მათ ვერ დაინახეს ის საშიშროება, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. ერთმორწმუნეობა მხოლოდ ხაფანგი აღმოჩნდა ქართველი დიპლომატიისათვის, დადებული ხელშეკრულებები – საბაბი თვალის ასახვევად, საბოლოო შედეგი კი – ტრაგედია ქართველი ხალხისთვის და არა მარტო საქართველოსთვის, არამედ სრულიად კავკასიისათვის.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა XVI-XVIII საუკუნეებში

მე-16 საუკუნის საქართველო-პოლონეთის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ წყაროები თითქმის არ არსებობს და ჯერაც არ არის აღმოჩენილი. ი. ცინცაძეს თავის წიგნში – „მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ – მოჰყავს ერთ-ერთი ნაწყვეტი გრიგოლ დე-ვოლანის წიგნიდან, სადაც ის წერს, რომ უპირველესად აღდგა ბატორი, რომელიც თვლიდა, რომ მისი გეგმების განსახორციელებლად – მოსკოვის დასაპყრობად, ქართველებისთვის, ჩერქეზებისათვის, სპარსელებისთვის ხელის ჩამოსართმევად, თურქების ალყაში მოსაქცევად ხელსაყრელი დრო დადგა. პაპმა სიქსტ V ამისთვის 2500 ჩერვონეცის ოდენობით სესხიც კი გამოუყო [Де-Волан, 1913: 199]. სტეფან ბატორი – ლიტვა-პოლონეთის მეფე, მნიშვნელოვანი ფიგურაა XVI საუკუნის პოლონეთის ისტორიაში. ცნობილია, რომ სტეფან ბატორმა დაამარცხა რუსეთი ლივონიის ომში. ამ გამარჯვებათა წყალობით პოლონეთის მმართველმა წრეებმა რუსეთის სახელმწიფოს მთლიანი დამორჩილების გეგმის შედგენა დაიწყეს. სტეფან ბატორს თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციაში ქართველების ჩაბმის გეგმაც ჰქონია და ქართველებიც მზად ყოფილან ამ ლაშქრობაში ჩასაბმელად.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა ცნობილმა პოლონელმა მწერალმა და მოგზაურმა ნიკოლა ქრისტეფორეს ძე რაძივილამ (1549-1616). იგი ყოფილა იერუსალიმში და დაუთვალიერებია ქართველთა ჯვრის მონასტერი. თავისი შთაბეჭდილებები მას აღუწერია წიგნში „მოგზაურობა წმინდა ადგილთა იერუსალიმისა.“ მოგზაურობის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება, ქართულად უთარგმნია თელავის სემინარიის რექტორს გაიოზ ბარათაშვილს. ნ. რაძივილას მოგზაურობის დროს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად ქართველი ყოფილა. პოლონელი მოგზაური მას დიდი პატივით მიუღია [რუხაძე, 1959: 25, 09].

ცნობილ პოლონელ ორიენტალისტსა და ისტორიკოსს იან რეიხმანს მრავალი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული მახლობელ აღმოსავლეთში პოლონელი მოგზაურების შესახებ. სწორად შენიშნავს თავის ერთ-ერთ ნაშრომში იან რეიხმანი, რომ „XIX საუკუნის დასაწყისამდე პოლონელი მოგზაურნი, რომელთაც გასავლელი ჰქონდათ ამიერკავკასია და მიემგზავრებოდნენ სპარსეთში თუ ინდოეთში, გზად არ ჩერდებოდნენ... ისინი არ იწერდნენ შთაბეჭდილებებს, აღწერილობებს, არ წერდნენ მოხსენებით ბარათებს, ისინი შემთხვევითი მოგზაურები იყვნენ. პოლონეთიდან მცირედნი მიემგზავრებოდნენ კავკასიაში“ [Reychman, 1972: 176]. ცნობილი ორიენტალისტის ეს განმარტება იმდენად სწორია, რამდენადაც საქართველო ამ საუკუნეებში (XVI-XVIII სს.) დაქუცმაცებული იყო და პოლონეთის მესვეურებს თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამდენად მოკავშირედ ქართველობა ვერ გამოადგებოდა. თანაც ამ საუკუნეებში კავკასიის გზა მეტად სახიფათო ყოფილა. ი. რეიხმანს მოჰყავს ერთ-ერთი გადმოცემა- ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ დაუჭერიათ ლეკ ყაჩაღებს ოდესღაც ვლადისლავ IV-ის ელჩი სპარსეთში – გრაფი სტაჰრენბეგი და როგორ მოუკლავთ იგი [Reychman, 1972: 176].

XVII საუკუნის პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობიდან საინტერესოა ცნობები ქართველი დიპლომატის ბოგდან გურჯიცკის შესახებ [ზედგენიძე, „მნათობი“ №12, 1965: 166-173]. გ. ზედგინიძეს თავის ნაშრომში – „პოლონეთ-რუსეთის ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (ბოგდან გურჯიცკის მოღვაწეობა)“ მოჰყავს საინტერესო მასალა და ახალი ფაქტები საქართველო-პოლონეთის ურთიერთობიდან. ამ ურთიერთობის ყველა ძაფი მჭიდროდაა დაკავშირებული უცხოეთში მოღვაწე ქართველი დიპლომატის – ბოგდან გურჯიცკის სახელთან. გურჯიცკის მოღვაწეობა წარმოდგენილია XVI საუკუნის II ნახევრის პოლონეთ-რუსეთის ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის ფონზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ბ. გურჯიცკის მოღვაწეობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუღა-

ლავად იღვწოდა დიპლომატიურ სარბიელზე და თავისი წვლილი შეჰქონდა მეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში [ზედგენიძე, 1970: 223; Качарава, 1968; გაბაშვილი, 116, 1965: 329-397; ცინცაძე, 1966: 66]. თანამედროვე პოლონელი ისტორიკოსის – სტანისლავ კოშჩიალკოვსკის ნაშრომი წარმოადგენს პოლონეთისა და სპარსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ერთგვარ მიმოხილვას. ბოგდან გურჯიცკის შესახებ იგი გადმოგვცემს შემდეგს: „მეფე იან კაზიმეჟმა 1668 წელს, რომელიც იყო მისი მეფობის ბოლო წელი, სპეციალური მისიით სპარსეთში გაგზავნა ბოგდან გურჯიცკი... პოლონეთის ელჩთა შორის ისპაჰანის კარზე იყო პოლკოვნიკი ბოგდან გურჯიცკი, რომელიც ასრულებდა ისპაჰანში პოლონეთის ელჩის მოვალეობას რამდენიმე წლის განმავლობაში კაპიტან ზაგორსკისთან ერთად“ [Kocialkovski, 1943: 53].

გ. ზედგენიძე თავის ნაშრომში განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ადგილს, სადაც ბოგდანის ვინაობის საკითხს ეხება და საარქივო მასალების შეჯერების შედეგად აკეთებს დასკვნას, რომ ეს პოლონელი დიპლომატი წარმოშობით ქართველი, სჯულით კათოლიკე იყო, და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ პოლონელი მოღვაწის სახელიცა და გვარიც თარგმნის შედეგი უნდა იყოს. ბ. გურჯიცკი წარმოშობით ქართველი აზნაური უნდა ყოფილიყო [ზედგენიძე, 6-64]. აქვე ავტორი განიხილავს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზეზებსა და ამ კოალიციაში პოლონეთის მეფეების – სტეფან ბატორის, ვლადისლავ IV-ის, იან კაზიმეჟისა და განსაკუთრებით იან III სობიესკის კოალიციის შექმნის ინიციატივას და მასში საქართველოს ჩაბმის გეგმებს.

საინტერესოა ბ. გურჯიცკის მარშრუტი პოლონეთიდან ისპაჰანამდე: ბ. გურჯიცკის სვლაგეზი ჯერ პოლონეთიდან ასტრახანამდე და შემდეგ – დარუბანდი-შამახია-თბილისი-ისპაჰანამდე. თუ რისთვის მიდიოდა პოლონეთის ელჩი ირანში და რატომ გაიმრუდა გზა მან შამახიიდან თბილისისაკენ, ამას ხსნის იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება.

XVI-XVII სს. ირანში, გარდა საქვეყნოდ განთქმული სპარსული აბრეშუმისა, უხვად მოიპოვებოდა აღმოსავლური საქონელი, რომლის ერთი ნაწილი ადგილობრივი წარმოებ-

ის იყო, ხოლო დანარჩენი სახმელეთო-საქარავნო გზებით მრავლად შემოჰქონდათ ინდოეთის ქვეყნებიდან. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ დაემყარებინათ ირანთან მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობანი, რათა სპარსული ბაზრის სიმდიდრე მისაწვდომი გაეხადათ თავიანთი ქვეყნებისათვის. ახლო აღმოსავლეთში თავიანთი ეკონომიკური დაინტერესება თანდათან იწვევდა ამ ქვეყნებსა და ირანს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ გაძლიერებას. სპარსეთში ვაჭარი და მისი პროფესია საერთო პატივისცემით სარგებლობდა, ხოლო ვაჭრობის თავისუფლება ერთგვარ რელიგიურ დოგმადაც კი იყო მიჩნეული. საინტერესოა, რომ ისლამი ვაჭრობას საპატიო და ღვთის სასურველ საქმედ აცხადებს. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ თვით მუსულმანთა მამამთავარი – წინასწარმეტყველი მუჰამედი ვაჭართა ფენის წარმომადგენელი იყო [ჯანაშია, II, 1989:350-353]. მეორე პირობა ის გახლდათ, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო თურქთა მოძალება აღმოსავლეთ ევროპაში. თურქეთის იმპერია უპირველეს ყოვლისა სწორედ პოლონეთის სახელმწიფოებრივ არსებობას ემუქრებოდა. იან მესამე სობიესკიმ განიზრახა ევროპაში ქრისტიანულ სახელმწიფოთაგან შეექმნა ანტითურქული კოალიცია, ე.წ. „წმინდა ლიგა“, რომელიც შეძლებდა თურქეთის ძლიერების განადგურებას. პოლონელთა ეს ცდა ჩაიშალა და ამაში უპირველეს ყოვლისა დამნაშავე იყო საფრანგეთის მეფე ლუი XIV, რომელსაც სურდა „წმინდა რომის იმპერიის“ აღდგენა. საფრანგეთის ამ პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა აღნიშნულ ეტაპზე მოასწავებდა საფრანგეთ-თურქეთის კავშირის განმტკიცებას, ეს კი შეუძლებელს ხდიდა ევროპის ქვეყნების ძალთა გაერთიანებას აგრესიული თურქეთის იმპერიის წინააღმდეგ ომისთვის.

1663 წლის ნოემბერში გარდაიცვალა პოლონელთა მეფე მიხეილ კორიბუტი ვიშნევეცკი, რომლის დროსაც ძველებურად გრძელდებოდა ფეოდალური აშლილობა და ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური დაქვეითება. სწორედ ამ დროს პოლონელთა ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქთა 40 ათასიან ლაშქარზე სოფელ ხოტინთან. ამ

ბრძოლაში პოლონელთა მარშალმა იან სობიესკიმ სასტიკი მარცხი აგემა თურქებს და მათ სარდალს ჰუსეინ ფაშას. ამ გამარჯვებამ დიდება მოუტანა იან სობიესკის, რომელიც 1674 წლის 21 მაისს პოლონეთის სეიმმა მეფედ აირჩია [Валишевский, 1912: 243; История Польши 1, 1956: 320].

ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში უხდება ბ. გურჯიცკის მოღვაწეობა. ის ორჯერ ყოფილა გაგზავნილი ირანში – პირველად 1668 წელს მეფე იან კაზიმეჟის დროს და დაბრუნებულა 1675 წ. სწორედ ამ ელჩობის დროს ყოფილა ბ. გურჯიცკი თბილისში. ბოგდანის თბილისში ყოფნას ადასტურებს როგორც საარქივო მასალა [УГАДА Ф. 79, 1669 23, 162], ასევე ქართლის მეფის ვახტანგ V-ის წერილი იან კაზიმეჟისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „თქვენ მიერ ელჩად წოდებულმა ისე გაიარა ჩვენს მიწაზე, რომ არ განუცდია არავითარი შეფერხება და არ უგრძვნია უსიამოვნება.“ [ცინცაძე, 1956: 95]. ბ. გურჯიცკის ელჩობას ოფიციალურად ევალებოდა მიელოცა პოლონეთის მეფის იან კაზიმეჟის სახელით ირანის შაჰის სულეიმანისათვის ტახტზე ასვლა და ეთხოვა მისთვის, რომ სპარსეთში არსებული კათოლიკური მისიებისთვის მფარველობა გაეწია. ბოგდანს დავალებული ჰქონდა აგრეთვე მოეგვარებინა სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობის საკითხი. კერძოდ, უნდა მიეღწიათ იმისთვის, რომ რუსეთის გზით გატანილი ნედლი აბრეშუმი და სხვა საქონლის ერთი ნაწილი პოლონეთში მოხვედრილიყო. გარდა ამისა, ბ. გურჯიცკის ჰქონდა საიდუმლო დავალება – დაეთანხმებინა შაჰის მთავრობა, შეეკრა სამხედრო კავშირი პოლონეთთან, რომელიც მიმართული იქნებოდა თურქეთის წინააღმდეგ. ამ კოალიციაში საქართველოს გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა. ასე რომ, ირანში მიმავალი ელჩისთვის შამახიიდან თბილისში ჩასვლა გზის გამრუდება კი არა, სპეციალურად წინასწარ შედგენილი სვლაგეზი გახლდათ, რათა საქართველო ჩაება თურქეთის წინააღმდეგ ომში. როგორც ჩანს, ბოგდანს დავალებული საქმეები პირნათლად შეუსრულებია – სხვაგვარად ვერ აიხსნებოდა მისი პოლონეთიდან მეორედ სპარსეთში ელჩად, ანუ როგორც საბუთშია აღნიშნული, „რეზიდენტად“ გაგზავნა 1676-1699 წლებში.

ბოგდან გურჯიცკის დიპლომატიური საქმიანობა ბევრ საინტერესო ცნობას ავლენს მე-17 საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს დიპლომატიის ისტორიისათვის. „ის გარემოება, რომ ქართველი დიპლომატი მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა პოლონეთის ინტერესებს, გვაფიქრებინებს, რომ თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მრავალჯერ ექნებოდა საშუალება ასეთივე ერთგული სამსახური გაეწია თავისი საკუთარი სამშობლოსათვის – ქრისტიანული საქართველოსათვის. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საარქივო მასალების შემდგომი ძიება კიდევ უფრო მეტ საინტერესო ფურცელს გადაგვიშლის საქართველოს ისტორიის ამ შედარებით ნაკლებად შესწავლილი პერიოდის გასაშუქებლად [ზედგენიძე, „მნათობი“ №12, 1965: 166-173].

ამრიგად, XV-XVII სს. საქართველოსა და პოლონეთს შორის ეპიზოდური ურთიერთობა არსებობდა, რომელიც თურქეთის მხრიდან საშიშროებით იყო გამოწვეული.

XVIII საუკუნეში საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის კვალი არ ჩანს. ცნობილია, რომ ამ საუკუნეში ორივე სახელმწიფო განიცდიდა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაჭირვებას. თუ საქართველო XVIII ს. მეორე ნახევრისთვის სამხრეთიდან ირან-თურქეთის, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაღესტნელთა შემოსევებს განიცდიდა, პოლონეთის სახელმწიფო სამი დიდი აგრესიული სახელმწიფოს – რუსეთის, პრუსიას, ავსტრია-უნგრეთის გარემოცვაში აღმოჩნდა და საბოლოოდ XVIII საუკუნის მიწურულისთვის იგი კიდევაც დაინაწილა სამივე ხსენებულმა ქვეყანამ. როგორც ვხედავთ, ორივე სახელმწიფო ხსენებულ საუკუნეში უკიდურესი გაჭირვების პერიოდშია, უფრო მეტიც, ორივე იბრძვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ამიტომაც გასაგებია იმ დიპლომატიური თუ სხვა ხასიათის ურთიერთობის განელება, რაც წინა საუკუნეებში არსებობდა. თუმცა, საგულისხმოა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოეტის მამუკა ბარათაშვილის ერთი ლექსი „პოლცკის ხმა“. მამუკა ავთანდილის ძე ბარათაშვილის შესახებ მეტად მწირი ცნობები არსებობს. 1724 წლის 15 ივლისს იგი რაჭის

გზით რუსეთში გაჰყოლია ვახტანგ VI-ს. 1728 წელს იგი შედიოდა რუსეთის მთავრობის მიერ გაგზავნილ დიპლომატიურ მისიაში სპარსეთში. ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ მამუკა ბარათაშვილი რუსეთის ქვეშევრდომი გახდა და რუსეთში მცხოვრები ქართული ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელიცაა. 1731 წლის 1 თებერვალს მან დაამთავრა თეორიული ტრაქტატი: „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჭაშნიკისა, პოვნილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან“. ხსენებული ნაწარმოები პოეტიკის ტიპიური სახელმძღვანელოა. მამუკა ბარათაშვილმა მწყობრი ვერსიფიკაციული სისტემა შექმნა. იგი თეორეტიკოსის გონებითა და პოეტური ალღოთი ჩასწვდა ქართული ლექსის ბუნებას, მიაგნო მის კანონზომიერებას. მამუკა ბარათაშვილი აღიარებულია, როგორც ქართული ლექსთმცოდნეობის ფუძემდებელი. მისი გამოკვლევა შესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც ყველა ჭეშმარიტ პოეტიკურ ტრაქტატს დაამშვენებდა. მამუკა ბარათაშვილის პოეზია გამსჭვალულია ღრმა სევდით, რაც სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობითა და პოეტის ტრაგიკული ცხოვრებითაა გამოწვეული, თუმცა მის პოეზიაში შიგადაშიგ სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებიც გვხვდება. მამუკა ბარათაშვილის პოეტურ ქმნილებებს შორის „პოლიცკის ხმას“ განსაკუთრებული ადგილი უკავია. პოეტმა, როგორც ჩანს, კარგად იცის პოლონეთის სახელმწიფოს უკიდურესად დაძაბული ვითარება, შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავება და სამი მეზობელი სახელმწიფოს აგრესიული ხასიათი. განსაკუთრებით გაამწვავა მდგომარეობა პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-ის მიერ წარმოებულმა შვიდწლიანმა ომმა. პოეტს ლექსში არეულობის სწორედ ის გამოძახილი აქვს გადმოცემული,რომელიც შეიქმნა ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოში XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან. როგორც ჩანს, მამუკა ბარათაშვილმა გარკვეული წყაროებიდან კარგად იცოდა პოლონეთის იმდროინდელი მდგომარეობა და სიბეჩავე. იგი გულისტკივილით აღწერს პოლონელი ხალხის უღონო მდგომარეობას, რომელსაც „წარჰხდა ღონე კურნებისა, არსით უჩანს წამალია, დაემონა,

არვინ ემწო, ღადარი ჰსწვავს და ალია“ [ბარათაშვილი, 1969: 30]. პოეტის სხვა ლექსებში სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულია გადმოცემული. იგი მწვავედ განიცდის სამშობლოს დაკარგვას და მის უმწეო მდგომარეობას. ამიტომაც არის ღრმა სევდით დაწერილი „პოლცკის ხმა“, რომელშიც პოლონელთა მიმართ დიდი სიმპათიაა გადმოცემული და იგივე ბედშია, როგორშიც მისი საყვარელი სამშობლო – საქართველო. ამიტომაც მიმართავს პოეტი განგებას, „კაცთა გონიერთა“, რათა გადაარჩინოს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი პოლონეთი:

„ჰხაჯეთ, კაცთა, გონიერთა მოთმენა აქვს მრავალია,
ეპატრონეთ უღონო ქმნილს, ღმერთსა თქვენსა ავალია,
დარჩა სასოწარკვეთილი, ვერა ჰპოვა წამალია,
თვალთა მდუღარს წყაროთაგან ღაწვნი დანასოვალია,
სიხარული ჩემგან მისთვის სატანჯველი ყოველია“ [ბარათაშვილი 1969: 30].

ამრიგად, მიუხედავად იმ სიცარიელისა, რომელიც არსებობდა XVIII საუკუნის საქართველო-პოლონეთის ურთიერთობაში, ქართულმა პოეზიამ მაინც მოახერხა აესახა ის რეალური ვითარება, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოში შეიქმნა XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან და თავისი გულისტკივილი გამოხატა იმ ხალხისადმი, რომელთანაც საუკუნეობრივი მეგობრობა აკავშირებდა.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში

საქართველო XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. პირველ მესამედში

XVIII საუკუნის ბოლოსთვის სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს სამი საუკუნის მანძილზე თურქეთ-ირანის აგრესია და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ყაჩაღური ბანდების მოგერიებით ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი. გამუდმებული თავდასხმების ვითარებაში ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ აღორძინებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მოწინავე ქართველი მოღვაწეები ქვეყნის „გამოხსნისა“ და „აღდგომისათვის“ ბრძოლაში ერთადერთ იმედს ამყარებდნენ გარეშე ძალაზე, რომლის სამხრეთი საზღვარი ამ დროისათვის კავკასიის ქედს მიემიჯნა. ასეთ ვითარებაში ახლო აღმოსავლეთის სარბიელზე წინანდელზე უფრო მეტად თავი იჩინა წინააღმდეგობამ დიდ სახელმწიფოთა შორის. ინგლისმა საბოლოოდ დაიპყრო ინდოეთი და ცდილობდა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც დაეპყრო, რათა უშუალო კონკურენტი – საფრანგეთი თავიდან ჩამოეშორებინა. კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ყოველთვის წარმოადგენდა ახლობელი თუ შორეული ქვეყნების ექსპანსიის მიზეზს, ხოლო თვით საქართველოს დაპყრობა სრულიად კავკასიის დამორჩილებასაც ნიშნავდა და მეზობელი ქვეყნებისათვის პირველ ამოცანას წარმოადგენდა. შავი ზღვისა და სრუტეების პრობლემა ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოს აღელვებდა. ასეთ ვითარებაში 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ტრაქტატით რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის ტახტზე ერეკლესა და მისი მემკვიდრეების მეფობის უცვლელად დატოვებისა და საგარეო მტრებისგან ქვეყნის დაცვის გარანტიას იძლეოდა, ხოლო ერეკლე II სხვა სახელმწიფოებთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტასა და რუსეთის იმპერატორის მფარველობაში გადასვლის პირობას სდებდა [ცინცაძე 1991; ვ. მაჭარაძე

1983; Цагарели, Грамоты и др..., II, 1891]. ტრაქტატის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი კარდინალურად საპირისპირო მოსაზრებაა: პირველი თვალსაზრისი ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ამ ტრაქტატმა უბედურების მეტი არა მოუტანა რა [ჯავახიშვილი, 1919]. მეორე თვალსაზრისით საბჭოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ტრაქტატს საუკეთესო გამოსავალს უწოდებდნენ იმდროინდელ ვითარებაში. მათი თვალსაზრისი მარტივი ლოგიკით აიხსნებოდა: „სხვა გამოსავალი არ არსებობდაო“, თუმცა მათ „ავიწყდებოდათ“ თუ შეგნებულად უვლიდნენ გვერდს მთავარს, რომ იმ „გამოუვალი“ სიტუაციის შექმნა თვით რუსული დიპლომატიის შედეგი და ერეკლეს გარშემო თავშეყრილი სომხური ლობის შედეგი იყო. ქართველი ერის დეზორიენტაციას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა და იდეოლოგიურმა მანქანამ გაავრცელა და რუსეთის მიმართ განუსაზღვრელი ნდობა გამოიწვია ქართველობაში – ეს იყო მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან საქართველოს დაპირისპირების გამო იმ ყალბი აზრის გაბატონება, რომ თითქოს ირან-ოსმალეთის შემოსევები გამოწვეული იყო განსხვავებული სარწმუნოებით. ამ ნიადაგზე ქართველმა ხალხმა იწამა, რომ სამაგიეროდ რუსეთი, როგორც ერთმორწმუნე ქვეყანა, ჩვენი დამხმარე და გულშემატკივარი იქნებაო. ეს თეზისი რომ საფუძველსაა მოკლებული, ისტორიაში არაერთხელ დადასტურებულა იგივე საქართველო-ბიზანტიის, ბიზანტია-ჯვაროსნების ურთიერთობებითა და მრავალი სხვა მაგალითით.

ტრაქტატი დიდი წარმატება იყო რუსეთისთვის. ამით მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი კავკასიაში, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს რუსეთის სახელმწიფო მიზნად ისახავდა „მცირერიცხოვანი ხალხების დაცვას თურქეთისა და ირანის აგრესიისგან“, არამედ რა თქმა უნდა, დიდმპყრობელურ მიზნებს ისახავდა და იმთავითვე ცდილობდა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ გუბერნიად გადაექცია [Фадеев, 1960: 17]. მაგრამ XVIII საუკუნის 80-იან წლებში შექმნილმა ვითარებამ რუსეთის მთავრობა

აიძულა ქართლ-კახეთის დასაცავად გამოგზავნილი თავისი სამხედრო რაზმი უკანვე გაეწვია და ერეკლესათვის „ნება დაერთო“, საკუთარი ძალებით მოეგვარებინა ურთიერთობა მეზობლებთან. ვიდრე ირანში შინაბრძოლები გრძელდებოდა და რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა, ერეკლე II ახერხებდა მშვიდობის შენარჩუნებასა და დამოუკიდებლად საშინაო და საგარეო საქმეთა მოგვარებას. მაგრამ 90-იან წლებში ვითარება გართულდა: ირანში აღა-მაჰმად-ხანმა მოახერხა მთელი ირანის გაერთიანება და ამიერკავკასიის ვასალებიც მოიკითხა. მეორე მხრივ, ნაპოლეონის ლაშქრობამ ეგვიპტეში თურქეთი დააშინა და 1799 წელს რუსეთ-თურქეთის იძულებითი კავშირი დაიდო. ერეკლემ დაბეჯითებით შეახსენა რუსეთის მთავრობას ტრაქტატის პირობები და მაშველი ჯარი ითხოვა. მაგრამ ვიდრე რუსეთის ბიუროკრატიული აპარატი საქმეს იხილავდა, აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს მოადგა და 1795 წლის სექტემბერში თბილისი მიწასთან გაასწორა.

1796 წელს ეკატერინე II-ის მთავრობამ რუსეთის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის აოხრებისთვის ირანის „დასჯა“ გადაწყვიტა და პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ ეკატერინე II უეცრად გარდაიცვალა და პავლე I-ის ხელისუფლების სათავეში მოსვლას მოჰყვა ირანში ლაშქრობაზე ხელის აღება. საქართველო შაჰის ხელმეორედ რისხვას მკვლელის დანამ გადაარჩინა. აღა-მაჰმად-ხანის დაღუპვის შემდეგ ერეკლე მეფესაც დიდხანს არ უცოცხლია. 1997 წელს ერეკლე II-მ თავისი ელჩის პირით კატეგორიულად დაუსვა საკითხი რუსეთის მთავრობას – ფიქრობდა თუ არა ის ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, მაგრამ მხცოვან მეფეს დიდხანს აღარ უცოცხლია. ვერც რუსეთიდან გამოთხოვილმა ექიმმა გირტელიუზმა მოუსწრო მეფეს და ვერც პასუხი მიიღო პავლე I-გან. 1798 წლის 11 იანვარს ერეკლე II გარდაიცვალა. ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII გახდა. იმის მაგიერ, რომ მხცოვანი მეფისა და მამის დაწყებული საქმე წარმატებით გაეგრძელებინათ, ძმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ისედაც დაუძლურებულ ქვეყანაში საქმე სულ მთლად აიწეწა –

„1783 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ქართლ-კახეთი თანდათან ეცემოდა. იშვიათად განუცდია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ასეთი ხანა: თითქოს მთელი მსოფლიო მტრად აუტყდა სუსტ ქვეყანას. საგარეო მტრები შინაურ მტრებს, რეაქციულ თავადებს დაუკავშირდნენ და ამ ძლიერმა კავშირმა ქართველი საზოგადოების მოწინავე ძალები დროებით დაამარცხა [ბერძენიშვილი, II, 1965: 243].

საუკუნის მიწურულს გიორგი XII-ის ავადმყოფობასთან ერთად საქართველოს სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობაც იწურებოდა. ამას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა როგორც საგარეო, ასევე საშინაო ფაქტორებიც. ერეკლე II-ის მრავალრიცხოვანი შვილები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ერთი ჯგუფი იულონ ერეკლეს-ძის გარშემო გაერთიანდა. გიორგი XII-მ დაარღვია თავისი სახლიკაცებისადმი მიცემული პირობა, რომ ტახტის მემკვიდრედ იულონს ცნობდა. მან რუსეთის იმპერატორს, პავლეს, თავისი შვილის – დავითის, რომელიც ამ დროს 31 წლის იყო, მემკვიდრედ დატოვება მოსთხოვა. პავლემ გიორგის თხოვნა დააკმაყოფილა [Акты I, 1868: 200; Акты II, 24, 1868: 1147]. რუსეთის იმპერატორმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და გადაწყვიტა, სამეფო გაეუქმებინა. 1800 წლის 15 ნოემბერს პავლე I-მა ამის შესახებ ბრძანება გასცა [Бутков, 1869: 462].

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი XII, ხოლო 1801 წლის 18 იანვარს პავლე I-მა მანიფესტით გამოაცხადა საქართველოს რუსეთთან შეერთება. ეს გადაწყვეტილება შემთხვევით არ ყოფილა მიღებული. გრაფი მუსინ-პუშკინი საქართველოს რუსეთთან შეერთებას ასე ასაბუთებდა: 1) რუსეთს შეუერთდებოდა დოვლათით მდიდარი, ბევრი რამის აღმოქმელი ქვეყანა; 2) სტრატეგიული თვალსაზრისით უზრუნველყოფილი კავკასიის გამაგრებული ხაზი; 3) დაისახებოდა სპარსეთთან და ინდოეთთან ვაჭრობის ფართო პერსპექტივა; 4) თურქეთთან ომის შემთხვევაში რუსეთს ხელთ ექნებოდა ხელსაყრელი პოზიციები [Бутков, 1869: 463-464].

1801 წლის მარტში პავლე I შეთქმულებმა დაახრჩვეს. ტახტზე ავიდა ალექსანდრე I, რომელმაც საკითხი ხელახალი განხილვის საგნად აქცია. ახალი იმპერატორი საქართველოს დასაკავებლად „გამამართლებელ მოტივებს“ ეძებდა. ამის გამო იყო, რომ ახალი მხარის გენერალ-გუბერნატორ კნორინგს დაევალა, შეესწავლა საქართველოს მდგომარეობა და გამოძიებისას გაეთვალისწინებინა, რომ ქვეყანას იერთებდნენ არა „რუსეთის ინტერესებისთვის“, არამედ „ქართველი ხალხის მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის“. რუსეთის იმპერატორი ამ შეფარული ფრაზების გვერდით გენერალ კნორინგს სრულიად საიდუმლოდ სწერდა საქმის ნამდვილ არსზე – საქართველოს მიერთება რუსეთის ინტერესებშია თურქეთისა და კავკასიელი მთიელებისგან თავდასაცავად [Акты II, №24, 1868 1147].

1801 წლის 8 აგვისტოს სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ შექმნილ ვითარებაში საქართველოს შეერთებაში ვერ ხედავს რაიმე უსამართლობას, ხოლო რუსეთისთვის არსებით სარგებლობასა და მხოლოდ მისი საზღვრების საიმედო დაცვას ხედავდა [Дубровин, 1866: 27]. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ალექსანდრე I-მა დაადასტურა პავლე I-ის მანიფესტი და დამატების სახით გამოაქვეყნა „დებულება საქართველოს მმართველობის შესახებ“, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის გუბერნიად აქცევდა [სინ, IV: 817]. დებულებით მმართველობის სისტემა თავისი ხასიათით წააგავდა რუსულ გუბერნიებში მმართველობის წესს, ოღონდ ერთი გამონაკლისით: ადგილობრივ პირობებთან მმართველობის სისტემის შეგუების მიზნით დაშვებულ იქნა მცირეოდენი გადახვევები, რათა ანგარიში გაეწიათ ხალხის უფლებების, ჩვეულებებისა და მისწრაფებებისათვის [Утверждение Рус. Влад. ... I, 1901: 29]. თვით 12 სექტემბრის მანიფესტი 2 ნაწილისგან შედგებოდა: ნაწილი I – ქართლ-კახეთის სამეფო „უფსკრულის კიდეზე დგას და უთუოდ გადაიჩეხება კიდევაც, თუ სამართლიანი ხელისუფლების ძლიერმა ხელმა არ იხსნა ის ამ დაღუპვისაგანო“ [ბერძენიშვილი II, 257]. ამ მოტივით რუსეთის ცარიზმი ამართლებდა საქართველოს შეერთებას. ნაწილი II – საზეიმო მიმართვა

ქართველი ხალხისადმი, თითქოს „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა საზღვართა გაფართოებისათვის ისედაც მსოფლიოში უდიდესი იმპერიისა, ვიღებთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს – მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვიკარნახებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რომ ყური მივაპყროთ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელსაც შეეძლება განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველყოს პირადი და ქონებრივი უშიშროება და პიროვნების კანონისმიერი დაცვა“ [სურგულაძე, 1977: 44].

საქართველოს რუსეთთან შეერთება – 1783 წლის „მფარველობის ტრაქტატიც“ და 1812 წლის მანიფესტიც – საქართველოს რთული საშინაო და საგარეო ურთიერთობათა გადახლართვის ობიექტური შედეგი იყო. იგი განპირობებული იყო არა მარტო საქართველოს შინაგანი უძლურებით, არამედ მაშინდელი მსოფლიოს სამი უძლიერესი ქვეყნის – რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის შეურიგებელი ქიშპობით ახლო აღმოსავლეთის პლაცდარმზე. მართალია, „რუსეთის სახელმწიფომ ქართლ-კახეთის შეზღუდულ ავტონომიაზეც საბოლოოდ უარი თქვა და იგი თავის პროვინციად აქცია, და ქართველი ხალხი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მოექცა. დაუძლურებულმა ქვეყანამ ვერ შეძლო თავისი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის დაცვა ჯერ ქართლ-კახეთში, შემდეგ კი იმერეთში. სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაუქმება და უცხო რეჟიმის დამყარება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ მარცხს მოასწავებდა“ [დუმბაძე: 46].

აღმოსავლეთის ხალხებისათვის ფრ. ენგელსი ერთგან შენიშნავს, რომ „მიუხედავად თავისი ვერაგობისა და სლავური სიბინძურისა, რუსეთი თამაშობს ცივილიზატორის როლს ცენტრალური აზიისათვის, ბაშკირებისა და თათრებისათვის.“ [Маркс, Энгельс 27, 1962: 241].

ამრიგად, XIX ს. დასაწყისიდან საქართველო ანექსირებულ იქნა რუსეთის ჯარების მიერ. ბოლო მოეღო ყოველგვარ თხოვნებსა და ტრაქტატებს, ოფიციალურად თუ არაო-

ფიციალურად დადებულ ხელშეკრულებებს. ყოველივე ამაში ბრალი რუსეთის მესვეურებს მიუძღვის. ქართულმა დიპლომატიამ ვერ გამოამჟღავნა ის, რასაც მიმართავდნენ ადრეულ საუკუნეთა მიღმა ქართული სახელმწიფოს მესვეურები. XVIII საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ბრმად მიენდნენ ერთმორწმუნეობის იდეას და ღმერთისგან რისხვა დაიმსახურეს – დაკარგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველო რუსეთთან კავშირს ეძებდა. ის ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის სახელმწიფოს საფარველში და ცარიზმის „ხალხთა საპყრობილეში“ კი აღმოჩნდა. მაგრამ ქართველი ხალხის გამოხსნისა და აღდგომისათვის ბრძოლის გზა ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, უფრო მეტად გართულდა, მაგრამ ერის წრთობისთვის ამ გზის გარდა სხვა გზა არ არსებობდა. ეს გზა იყო ეკლიანი, სისხლიანიც, მაგრამ იმედისა და რწმენის. საქართველო თავის აღდგომასა და გამოხსნას, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ამ გზით მიაღწევდა. ერი უნდა გამთლიანებულიყო. გამთლიანებას დრო, გონება და წინამძღოლი უნდა ჰყოლოდა. ასეთი ძალა და წინამძღოლი კი ეროვნული ინტელიგენციის სახით იბადებოდა და ნელ-ნელა იზრდებოდა. ეს ძალა პირველად სამოღვაწეო ასპარეზზე ოცდაათიან წლებში გამოვიდა. ამიტომ ამ დროიდან სხვა ხასიათი და მიმართულება მიეცა ანტირუსულ მოძრაობასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით. სწორედ ეს ამონაყარი – ეროვნული ინტელიგენცია – ხალხის ფართო მასებთან ერთად განაგრძობდა ბრძოლას მანამ, ვიდრე მან თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არ მოიპოვა [ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია 1946: 419].

პოლონეთი XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მესამედში

XVI-XVII საუკუნეებში პოლონეთი წარმოადგენდა ცენტრალური ევროპის ძლიერ სახელმწიფოსა და მეზობლების რისხვას, მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევრიდან მან ნგრევა განიცადა, რამაც საბოლოოდ ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაქრობა გამოიწვია.

პოლონეთის დაცემა გამოიწვია არა მარტო მეზობელი ქვეყნების – რუსეთის, პრუსიის, ავსტრიის – მტაცებლურმა პოლიტიკამ, არამედ მისმა შინაგანმა ვითარებამაც, კერძოდ, ფეოდალური მეურნეობის კრიზისმა წოდებრივ მონარქიასთან ერთად. მართალია, XVIII საუკუნის პოლონეთში „აღმოცენდნენ ასობით მანუფაქტურები და ალაგ-ალაგ დიდი საწარმოებიც, რომლებიც ჩამოაყალიბეს პოლონელმა მსხვილმა მაგნატებმა, შლიახტამ და მდიდარმა მეშჩანებმა“ [История Польши 1, 1956: 361], მაგრამ პოლონეთში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას აფერხებდა ბატონყმური მეურნეობის ტრადიციული მუხრუჭი – მემამულური რესპუბლიკა.

ქვეყნის აღორძინების საჭიროება დღის წესრიგში აყენებდა სახელმწიფო რეფორმების გატარებას, რათა დაეძლიათ წინააღმდეგობანი და გადაერჩინათ პოლონეთის სახელმწიფო. 1764 წელს თავადებმა ჩარტორიისკებმა სეიმში შეიტანეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რიგი ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას, არმიის რიცხობრივ ზრდას, სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგებასა და მასზე კონტროლის დაწესებას [Rostworowski II, c. I, 1958: 50-66]. მაგრამ ეს წამოწყებები მალე ჩაშალეს პრუსიამ და რუსეთმა, რომლებმაც თავიანთი მომხრეების მოსყიდვით სეიმს უარი ათქმევინეს ჩარტორიისკების პროექტზე. არც რუსეთსა და არც პრუსიას არ უნდოდათ პოლონეთის გაძლიერება. ისინი შეთანხმდნენ, რომ ურთიერთშორის გაეყოთ პოლონეთის თითქმის მთელი სამფლობელოები. და როდესაც პოლონელებმა მოინდომეს თავდაცვა, ისინი შევიდნენ თავიანთი ჯარებით და საბოლოოდ წერტილი

დაუსვეს ოდესღაც ძლიერ და მრისხანე პოლონეთის სახელმწიფოს [Погодин 1915: 17; Historia Polski II, c. I, 1958: 75; Копчевский 1972: 26-27]. პოლონეთის 1772 წლის პირველი გაყოფის შედეგად რუსეთმა მიიღო ლიფლანდიის სავოევოდო, პოლოცკის მხარე დვინის მარცხენა ნაპირის გამოკლებით, ვიტებსკის ნაწილი და მინსკი, რომელთა საერთო ფართობი უდრიდა 1630 კვადრატულ მილს 1.227 ათასი მცხოვრებით. რუსეთის ხელში ჩავარდა არა პოლონური, არამედ ძირითადად ბელორუსი მოსახლეობით დასახლებული ოლქები. პირველი დანაწილების მონაწილე პრუსიამ და ავსტრიამ ხელთ იგდეს პოლონეთის დასავლეთი და სამხრეთი ოლქები [Погодин 1915: 20; История Польши II, с I, 1956: 76.]. ამრიგად, პირველი დანაწილების შემდეგ პოლონეთმა დაკარგა ტერიტორია 214000 კვ. კილომეტრი 4,5 მილიონი მოსახლეობით. პოლონეთის სეიმმა უსიტყვოდ დაამტკიცა დანაწილების მუხლები, ხოლო პოლონეთის მეფეს სტანისლავ ავგუსტს, როგორც იან კოპჩევსკი აღნიშნავს, აღარ დარჩა სხვა გამოსავალიგარდა რუსული პოლიტიკის გატარებისა [Копчевский : 27].

1791 წლის 3 მაისს პოლონეთის ოთხწლიანმა სეიმმა დაამთავრა მუშაობა და შეიმუშავა პოლონეთის კონსტიტუცია, რომელშიც გადახალისებული იყო სახელმწიფო წყობილება. კონსტიტუცია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პოლონეთისთვის – ეს იყო პროგრესული აქტი, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ერის კონსოლიდაციას, ბატონყმობის მსხვრევას, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გამარჯვებას, არჩევნებში სამეფო ქალაქების მოსახლეობის მონაწილეობასა და სხვა [Historia Polski II, c. I, 1958: 269-279; Stroynowski I, N 69, 1979: 80-84]. მაგრამ განმეორდა ძველი ისტორია – რუსეთისა და პრუსიის ინიციატივით პოლონეთი მეორედ დანაწილდა. პოლონელმა მაგნატებმა, რომლებსაც 3 მაისის კონსტიტუციამ ფრთები შეუკვეცა, უსირცხვილოდ გაჰყიდეს პოლონეთი. რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის მხარდაჭერით ტარგოვიცეს კონფედერაციაზე პოლონელმა მაგნატებმა განიზრახეს გაეუქმებინათ 3 მაისის კონსტიტუცია.

რუსეთს მხარს უჭერდა პრუსიაც. მართალია, აქტი პეტერ-ბურგში შეიქმნა, კონფედერაცია შეიკრიბა ტარგოვიცეში, შეთქმულების მთავარი წევრის – პოტოცკის მამულში. ეკატერინა II, რომელსაც უკვე შემუშავებული ჰქონდა შე-იარაღებული ჩარევის გეგმა, 1792 წლის 18 მაისს 100 000 არმია შეიყვანა პოლონეთში [Копчевский 1972: 53]. ასე დაიწყო ომი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „3 მაისის კონსტიტუციის დაცვისათვის.“ 1793 წლის პოლონეთის მეორე გაყოფის შედეგად რუსეთმა მიიღო უკრაინელებით დასახლებული 27000 კვ. კმ. ფართობი 3 მილიონი მოსახ-ლეობით, პრუსიამ – საკუთრივ პოლონური ოლქები დასავ-ლეთში [Historia Polski II, I, 1958: 311]. ძალმომრეობის ამ აქტს პოლონელმა ხალხმა მძლავრი აჯანყებით უპასუხა, რომელსაც ტადეუშ კოსტიუშკო ხელმძღვანელობდა. პოლო-ნელი ხალხის წინააღმდეგ გამოვიდა სამი დიდი სახელმ-წიფო: პრუსია, რუსეთი და ავსტრია „წმინდა სამების“ სახ-ელით, რომლებმაც დღის წესრიგში დააყენეს პოლონეთის ხელახალი გადანაწილება [Костомаров 2, 1886; Соловьев 1983; Копчевский 1972; Лелива 1895; B. Dewbinski, Historia Polska II, c. I.1958]. ამჯერად პოლონეთის მესამე და საბ-ოლოო დაყოფის მიზეზად გამოიყენეს პოლონეთის არეუ-ლობა, რომელიც თითქოს საფრთხეს უქმნიდა მეზობელ ქვეყნებში არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. პოლო-ნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მარცხი განიცადა. სიცოცხლისუნარიანმა ეროვნულმა სახელმწი-ფომ არსებობა შეწყვიტა. 1772 წლის 5 აგვისტოს ცნო-ბილი სამი ტრაქტატის (პეტერბურგის, ბერლინისა და ვე-ნის) რატიფიცირების შემდეგ გამოცემულ იქნა სამი მონარ-ქის ე.წ. საოკუპაციო მანიფესტი, რომელიც აღიარებდა რა მომხდარი გაყოფის ისტორიულ „სამართლიანობას“, ახალ ქვეშევრდომებს მოუწოდებდა სამი მონარქისადმი ერთ-გულების ფიცის მიღებისა და მორჩილებისკენ. მომდევნო ათწლეულში დანაწევრებული პოლონეთი შუა ევროპის მონარქების ჩვეულებრივ პროვინციად გადაიქცა, ხოლო 1793 და 1795 წლების გაყოფის შედეგად პოლონეთმა დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა [Грабеньский 1910: VIII].

1795 წლის 13 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება პოლონეთის მესამე და საბოლოო გაყოფაზე: პრუსიამ მიიღო ვარშავა, რუსეთმა – ლიტვის, ნოვობრუდსკის, ბრესტლიტოვსკისა და ვოლინის სავოევოდოები, ავსტრიამ – კრაკოვი [Погодин 1915: 27; Historia Polski II, c. I, 1958: 361-362].

ევროპულმა სახელმწიფოებმა პოლონეთის მიმართ უსულგულობა გამოიჩინეს. საფრანგეთის მთავრობამ პოლონეთის I დანაწილების დროს დიდი უყურადღებობა გამოიჩინა, ხოლო რაც შეეხება მესამე დანაწილებას, ამ დროს პოლონეთი აღმოჩნდა უკვე რევოლუციური საფრანგეთის წინაშე. მაგრამ პოლონეთის მიმართვის თაობაზე საფრანგეთის კონვენტმა ფრანგი ხალხის სახელით გამოაცხადა, რომ „გაუწევს ძმურ დახმარებას ყველა ხალხს, რომლებიც მოინდომებენ დაიბრუნონ თავიანთი თავისუფლება“ [Погодин 1915: 7-8]. მაგრამ ეს მიმართვა უფრო საკუთარი თავდაცვის, პირადი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით იყო გაკეთებული. თუმცა პრუსია-რუსეთ-ავსტრიის მონარქებისადმი წინააღმდეგობა პოლონელი ხალხისათვის ტრაგიკულად დამთავრდა. თუმცა მას ჰქონდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა: პოლონელთა გამოსვლამ ხელი შეუშალა რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის მონარქებს, მოეწყოთ გაერთიანებული ჯვაროსნული ლაშქრობა საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ. ეკატერინე II-ის ოცნება, „ამოეშალა საფრანგეთი ევროპის რუკიდან“, განუხორციელებელი დარჩა: საფრანგეთის ნაცვლად პოლონეთი ამოიშალა ევროპის რუკიდან.

1801 წლის მარტში რუსეთის ტახტზე ავიდა ლაგარპის მოწაფე და ა. ჩარტორიისკის მეგობარი, ლიბერალური იდეებით გამსჭვალული ალექსანდრე I, რომელიც ისწრაფოდა, რომ თავისი მმართველობა გარეგნულად მაინც კანონებზე დაეფუძნა. 1801 წლის 24 ივნისს იმპერატორის პირადი მეგობრებისგან – პ. ა. სტროგანოვი, გრაფი ვ. პ. კოჩუბეი, ნ. ი. ნოვოსილცევი და თავადი ადამ ჩარტორიისკი – შეიქმნა კომიტეტი, რომელსაც უნდა გადაეხალისებინა სახელმწიფო წყობილება, შეეცვალა კანონები და სხვ. ჩვენ არ ვიცით,

ხსენებულ კომიტეტში რა საკითხებზე იყო საუბარი პოლონეთის შესახებ, მაგრამ ალექსანდრე I-მა თავისი ლიბერალიზმი 180 გრადუსით რომ შეცვალა, ფაქტია. თავის მემუარებში ადამ ჩარტორიისკი წერს, რომ დადგა თუ არა იმპერატორად ალექსანდრე, უკვე აღარ წარმოსთქვამდა სიტყვებს, რომლებიც ლიბერალურ გარსში იყო გახვეული [Чарторижский II, 1913]. მართალია, როგორც ა. პოგოდინი წერს, „ალექსანდრე არ ჰგავდა პეტრე დიდს თავისი სიფიცხით“, მაგრამ პოლონეთის კეთილდღეობაზე ზრუნვა მას არც შემდეგ ხანებში გამოუჩენია [Погодин 1915:43].

1804-1805 წლებში ევროპულმა მოვლენებმა წინა პლანზე წამოსწიეს პოლონეთის საკითხი, რადგანაც ამ დროისათვის პოლონეთმა უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის მნიშვნელობა შეიძინა საერთაშორისო ურთიერთობებში. ნაპოლეონი და ალექსანდრე I ესწრაფოდნენ, რაც შეიძლება მეტი გავლენა მოეპოვებინათ შუა ევროპაში. პრუსიის სამფლობელოში შემავალ პოლონურ მიწა-წყალს უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭებოდა. მოვლენებმა წამოჭრა ეს საკითხი: პრუსია თუ პოლონეთი? თუ ნაპოლეონი დაეყრდნობოდა პრუსიას, ალექსანდრე I-ს მთელი თავისი ყურადღება უნდა გადაეტანა პოლონეთზე და პირიქით: როცა ნაპოლეონს მოუხდა უარის თქმა პრუსიის სრულ განადგურებაზე, მას უნდა ეზრუნა პოლონეთის აღდგენაზე ამა თუ იმ ფორმით [Погодин 1915:46]. მაგრამ ალექსანდრე I არ ზრუნავდა ამ საქმის განხორციელებაზე. მართალია, ის ადრე გატაცებით ლაპარაკობდა ადამ ჩარტორიისკისთან ამის თაობაზე და სიცოცხლის ბოლო წლებშიც პოლონეთის აღდგენას თავის საყვარელ ოცნებად თვლიდა. ა. პოგოდინი შემდეგნაირად ხსნის ამ გარემოებას: „ამ კითხვაზე ისტორიამ პასუხი დიდი ხნის წინათ გაგვცა ძალზე მარტივადაც, იმიტომ რომ ალექსანდრე I-ს არ შეეძლო ამის გაკეთება, ისევე როგორც მამამისს. პოლონეთი რჩებოდა რუსეთისთვის მის ტრადიციულ მტრად, მოწინააღმდეგედ“ [Погодин 1915:46]. მეტად საინტერესოა იმპერატორ პავლე I-ის საუბარი პოლონეთის ეროვნულ გმირთან, გენერალ ტადეუშ კოსტიუშკოსთან ციხეში. საუბრი-

დან კარგად ჩანს როგორც პავლეს დამოკიდებულება გაუქმებული პოლონეთის სახელმწიფოსადმი, ასევე ეროვნული გმირის ხასიათი. ტ. კოსტიუშკოში, მის ხასიათში განსახიერებულია მთელი პოლონელი ხალხის ეროვნული ტკივილი, ხალხის სული, ისევე როგორც პავლე I განსახიერებაა რუსული გაბატონებული ელიტის ხასიათისა. მე-18 საუკუნის ბოლოსთვის ბრძოლის სასწორი რუსეთის მხარეს ინაცვლებს. ამიტომ რუსეთის იმპერატორი საუკუნოვანი მტრის – პოლონეთის აღდგენას არაფრის გულისთვის არ დაუშვებდა, მით უმეტეს იმ დროისთვის, როდესაც ევროპა ცეცხლის ალში იყო გახვეული და რევოლუციის ჯარისკაცს, ნაპოლეონს თვალი მსოფლიო ბატონობისკენ გაურბის. რუსეთისთვის უკეთესი იყო, გამოეყო და თავისთვის დაექვემდებარებინა ბელორუსია, ლიტვა და მალოროსია, პრუსია კი მოკავშირედ გაეხადა ნაპოლეონის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში, ვიდრე პოლონეთი – ეს ძველი მოქიშპე – აღედგინა ახლო მეზობლად და ამით თავისივე დასაკლავი დანა თვითონვე გაემზადებინა. თუმცა ეს მაინც მოხდა: ის, რაც ალექსანდრე I-მა არ მისცა პოლონეთს, ნაპოლეონმა გააკეთა. ნაპოლეონის ომებს ევროპაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა: ავსტრია დაეცა, პრუსია განადგურდა. 1807 წლის ტილზიტის ზავით ნაპოლეონმა პრუსიას ჩამოართვა პოლონური მიწები და შექმნა ვარშავის საჰერცოგო, ხოლო ავსტრიის განადგურების შემდეგ (1809 წ.) ვარშავის საჰერცოგოს შეუერთა აგრეთვე პოლონეთის სამხრეთი ნაწილი – გალიცია. პოლონეთში შემოღებულ იქნა ფრანგული მმართველობა. იგი ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. 1807 წლის ივლისის კოდექსით ნაპოლეონმა პოლონეთში გააუქმა ბატონყმობა, გლეხობა „გაათავისუფლა“ პირადი დამოკიდებულებისგან, მაგრამ მემამულეთა საკუთრება კვლავ ხელშეუვალი დატოვა, რის გამოც განთავისუფლებული გლეხობა შლიახტაზე მიჯაჭვული აღმოჩნდა.

მართალია ნაპოლეონმა შექმნა ვარშავის საჰერცოგო, მაგრამ მას გულზე სულაც არ ეხატებოდა პოლონელი ხალხი და მისი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა. ვარშავის საჰერცოგოს შექმნით ნაპოლეონი რუსეთის წინააღმდეგ შეტ-

ევისათვის ერთგული მოკავშირის შეძენას ცდილობდა – ვარშავის საჰერცოგო ნაპოლეონს პლაცდარმად სჭირდებოდა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ვენის კონგრესმა (1815 წ.) ვარშავის საჰერცოგო დაანაწილა. მისი დიდი ნაწილი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი პოზნანის საჰერცოგოსთან ერთად ერგო პრუსიას. გალიციის დასავლეთი ნაწილი ერგო ავსტრიას. ცალკე გამოეყო კრაკოვის რესპუბლიკა. ვენის კონგრესზე ალექსანდრე I ემყარებოდა რა ფაქტიურ მფლობელობას პოლონური მიწებისა, რომლის წილად მოდიოდა ყოფილი ჟეჩ-პოსპოლიტას 3/4-ზე მეტი მოსახლეობით, გადაწყვიტა შეექმნა „რუსეთთან შეერთებული პოლონეთის სამეფო“ [Ашкенази 1915: 17]. ამ საკითხმა ვენის კონგრესზე გამოიწვია მტკიცე პროტესტი ავსტრიის, საფრანგეთისა და პრუსიის მხრივ. ოპოზიციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ინგლისის წარმომადგენელი გრაფი კესტერლი, რომელიც მოითხოვდა status quo ante-ს, ან უარეს შემთხვევაში პოლონეთის საკითხის ისეთ გადაწყვეტას, რომელიც დაუახლოვდებოდა მე-3 დაყოფას. პრუსიის წარმომადგენელმა, თავადმა ჰარდენბერგმა კონგრესს განუმარტა, რომ რუსეთთან შეერთებული „კონსტიტუციური პოლონეთი“ არის უფრო დიდი იმედი, ვიდრე რუსეთის იმპერიაში შემავალი პოლონეთი [Ашкенази 1915: 18; Historia Polski II, c. II, 1958: 192, 194, 195-197].

ამრიგად, ჩამოყალიბდა პოლონეთის სამეფო, რომელიც დაკავშირებული იყო რუსეთთან კონსტიტუციით (“lié irrevocablement par sa constitution”) იმპერატორ ალექსანდრე I-სა და მის მემკვიდრეებთან, პოლონეთის მეფის ტიტულით [Ашкенази 1915: 20-24]. 1815 წლის 12 ნოემბერს ალექსანდრე I ზეიმით შევიდა ვარშავაში. მან აქ ექვსი კვირა დაჰყო, რათა პოლონეთის კონსტიტუცია შეემუშავებინა. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ პროექტის შესამუშავებლად სახელმწიფო ორგანო არ შექმნილა. 1814-1815 წლებში პროექტი შეიმუშავეს ცალკეულმა პირებმა. ალექსანდრე I-ს ვარშავაში ჩასვლისთანავე წარუდგინეს ერთ-ერთი პროექტთაგანი, რომლის ავტორებიც იყვნენ ალექსანდრე

ლინოვსკი და ლუდვიკ პლიატერი, თავად ადამ ჩარტორი-ისკის მონაწილეობით. [Historia Polski II, c. II, 1958:199; Ашкенази 1915: 24]. ეს პროექტი გამოირჩეოდა თავისი უჩვეულო სიდიდით. მასში იყო 11 განყოფილება და 438 მუხლი. ხსენებული კონსტიტუცია წმინდა ეროვნული სულისკვეთებისა იყო და მიზნად ისახავდა პოლონეთის სამეფოს უფლებათა დაცვას. ალექსანდრე I-მა უარი თქვა ამ პროექტის მიღებაზე, კონსტიტუციაზე ფანქრით შესწორებები შეიტანა და გადასამუშავებლად გადასცა იგნაციუს სობოლევსკის, რომელიც იმ მომენტში – 1815 წლის 16 ნოემბერს მინისტრის სტატს-მდივანი იყო.

კონსტიტუცია შესწორებებით დაამტკიცეს 1815 წლის 27 ნოემბერს. პოლონეთის სამეფოს ტერიტორია მოიცავდა საერთო ფართობით 128500 კვ. კმ.-ს 3300000 მოსახლეობით. მოსახლეობის უმრავლესობას პოლონელები წარმოადგენდნენ - 75%, ებრაელები – 10%, გერმანელები – 7.5%, ლიტველები – 5%, „რუსები“ (უკრაინელები) – 2.5% [Ашкенази 1915: 28].

პოლონეთის სამეფოს კონსტიტუცია შედგებოდა შვიდი განყოფილებისა და 165 მუხლისგან. კონსტიტუციით პოლონეთის სამეფო ცხადდებოდა რუსეთის იმპერიის სამუდამო მფლობელობაში. სამეფო სკიპტრა გადაეცა რომანოვთა საგვარეულოს. პოლონეთის სამეფოს სახელმწიფო გერბად თეთრი არწივის მაგიერ ალექსანდრე I-მა დაამტკიცა თეთრი არწივი, რომელსაც გულზე ჰქონდა ორთავიანი შავი არწივი. პოლონეთის სამეფოსა და იმპერიის საგარეო ურთიერთობა გაერთიანებულად გამოცხადდა და დაქვემდებარებულ იქნა პეტერბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი [Ашкенази 1915: 29]. კათოლიკური რელიგია გაუთანაბრდა სხვა რელიგიებს. პოლიტიკაში ჩარევა შეეძლო ყველა მორწმუნეს, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოებისანი იყვნენ. ებრაელებს, კონსტიტუციის მიხედვით ჩამოერთვათ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება. კონსტიტუციით პოლონური ენა ცხადდებოდა ადმინისტრაციისა და სასამართლო საქმის წარმოების ენად; პოლონელებს უფლება ეძლეოდათ, დაეკავებინათ სახელმწიფო

აპარატში ხელმძღვანელი თანამდებობანი. სახელმწიფოს მმართველს მეფე წარმოადგენდა, რომელსაც პეტერბურგი ნიშნავდა. იგი წმინდანად ითვლებოდა და ხელშეუხებელი იყო. მეფის შემდეგ მთავარ ორგანოს სამეფო საბჭო (Rada Stanu) წარმოადგენდა,რომელიც მინისტრებისგან შედგებოდა. უმაღლესი აღმასრულებელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო ადმინისტრაციულ საბჭოში (Rada administracyjna). შეიქმნა 5 სამინისტრო. სახელმწიფო საქმეებს წყვეტდა სეიმი, რომელიც შედგებოდა მეფისა და ორი პალატისაგან – დეპუტაცია (Izba Polska) და სენატორია (Izba Senatorska). სეიმი იკრიბებოდა ორ წელიწადში ერთხელ 30 დღის განმავლობაში [Historia Polski II, c. II, 1958: 29-39; 199-202]. ქვეყანა დაყოფილი იყო 8 სავოევოდოდ.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისათვის რუსეთის იმპერიის სხვა კუთხეებთან შედარებით პოლონეთის ეკონომიკაში მძლავრად იყო შეჭრილი კაპიტალისტური ურთიერთობა. მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო სამრეწველო პროლეტარიატისა და პოლონეთის, როგორც ბურჟუაზიული ერის შექმნა-ჩამოყალიბებას, ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის ამაღლებას. პოლონეთში კონსტიტუციურ პერიოდში ფართო გაქანება მიიღო სახალხო განათლების საქმემ. ამ მიმართულებით ენერგიულ მუშაობას ეწეოდა განათლების მინისტრი სტანისლავ პოტოცკი. 1816 წელს შეიქმნა ვარშავის უნივერსიტეტი, სამთო აკადემია, აგრონომიული ინსტიტუტი და სხვა [Манусевич 1953: 90-96; Ашкенази 1915: 41-42].

1818 წელს შეიქმნა პოლონეთის ეროვნული ბანკი.

XIX საუკუნის I ნახევრის პოლონეთის მოსახლეობის ძირითად კლასებს გლეხობა და წვრილი შლიახტა (აზნაურები) შეადგენდნენ. მართალია, ამ დროისთვის ბატონყმობა მოსპობილი იყო, მაგრამ ფაქტიურად გლეხი კვლავ მემამულის მიწაზე იყო მიჯაჭვული. იურიდიულმა განთავისუფლებამ გლეხს ნამდვილი თავისუფლება ვერ მოუტანა. ამ აქტით გლეხები აღმოჩნდნენ „ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებულნი“ [ททททททท 1906: 4]. დაიწყო გლეხთა იძულებითი გადასახლება მშობლიური ადგილებიდან. ამ

კამპანიამ ისეთი ფართო გასაქანი მიიღო, რომ სეიმი იძულებული შეიქნა გლეხთა გასახლება ერთი წლით გადაედო. მეორე მხრივ, შლიახტას დარჩა უზარმაზარი მიწები და წარმოების საშუალებანი. გამრავლდა მოიჯარე გლეხთა რიცხვი. ამავე დროს ფართოდ ვითარდება კუსტარული მეურნეობა, რომელმაც მიიზიდა გადატაკებული გლეხობა და ლუმპენპროლეტარიატი. შრომის პირობები მძიმე და აუტანელი იყო.

კონსტიტუციის მიხედვით პოლონეთს უფლება ჰქონდა ჰყოლოდა საკუთარი ეროვნული არმია [Ашкенази 1915: 46-47]. პოლონეთის არმიას 1815-1817 წლებში ინახავდა რუსეთის მთავრობა. 1817 წლის შემდეგ ჯარის შენახვა თვით პოლონეთს დაკისრა, რაც 30 მილიონი პოლონური ზლოტი ჯდებოდა წლიურად. მშრომელი მასების, კერძოდ კი გლეხობის უკმაყოფილება წლითიწლობით იზრდებოდა. რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყო ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით შელახული შლიახტაცა და ინტელიგენციაც. მართალია, კონსტიტუციით შლიახტას თითქოს არაფერი დაუკარგავს, მაგრამ მისი უკმაყოფილება იმ პოლიტიკური უფლებების დაკარგვით იყო გამოწვეული, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა ეწოდება. კონსერვატორული და შეძლებული შლიახტა ცდილობდა იმ ძველი, დაკარგული ძლიერებისა და ხელშეუვალობის აღდგენას, რომელიც იმდროინდელი ერთ-ერთი ისტორიკოსის სარკასტული თქმისა არ იყოს, იყო „ცა – თავადაზნაურთათვის, სამოთხე – სამღვდელოებისათვის და ჯოჯოხეთი – გლეხისათვის“. მათი ოცნება იყო პოლონეთის აღდგენა ძველ საზღვრებში, ე. ი. იმ საზღვრებში, რომელიც მას ჰქონდა პირველ დანაწილებამდე – 1772 წლის 5 აგვისტომდე.

რუსეთთან შეერთებით უკმაყოფილო იყო ინტელიგენციაც. რევოლუციური იდეებით გამსჭვალული პოლონეთის ინტელიგენცია უარყოფითად უყურებდა კონსტიტუციონალისტების სიყალბესა და ეგოისტობას. ისინი ერთადერთ ხსნას შეიარაღებულ აჯანყებაში ხედავდნენ. მათი ფიქრით, პოლონეთი გაერთიანებული რესპუბლიკა, ან ყოველი შემთხვევისათვის, სამეფო მაინც უნდა ყოფილიყო,

რომელშიც მთავარ როლს სახალხო სეიმი შეასრულებდა [Гомулицкий 1906: 7].

უკმაყოფილო იყო პოლონეთის არმიაც. ამ დროისათვის პოლონეთის არმია 40 000 კაცს ითვლიდა. ჯარის პატრიოტული სულისკვეთება მაღალი იყო. თითქმის ყველა ოფიცერი – ოფიცრები კი პოლონელები იყვნენ – ოცნებობდა, რომ თავიანთი ქვეყანა დამოუკიდებელი ეხილა. 20-იანი წლების ბოლოსთვის არმიის სადავეები გადაეცა გენერალ ხლოპიცკის – ნაპოლეონის ომების მონაწილეს, უშიშარ ჯარისკაცსა და ნიჭიერ მხედართმთავარს.

ეროვნული თვითშეგნებითა და პოლონეთის საზღვრების გაფართოების იდეებით გამსჭვალული პოლონეთის ბურჟუაზია და არისტოკრატია 1821 წელს ქმნის პირველ საიდუმლო ორგანიზაციას – „ეროვნულ-პატრიოტულ საზოგადოებას“, რომლის მეთაური მაიორი ვ. ლუკასინკი გახდა [Askenazy I, 1908: 250]. ორგანიზაციის წევრებს ჰქონდათ დეკაბრისტებთან კავშირი. დეკაბრისტების განადგურების შემდეგ პატრიოტული ორგანიზაცია დაიშალა – მისი წევრები დააპატიმრეს დეკაბრისტთა საქმის გამო. მოსკოვის ოქტომბრის რევოლუციის არქივში (ფონდი 48, საქმე 328) ინახება სია იმ პირებისა, რომლებიც პოლონელთა ფარული საზოგადოების წევრები იყვნენ. მათი რიცხვი 239 კაცამდე ადის [Очерки рев. связи... 1976: 43, სქ. 28]. მართალია, ნიკოლოზ I-მა მანიფესტით მიმართა პოლონეთს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „მისი მეფობა ალექსანდრეს ანდერძის გაგრძელება იქნებოდა“. მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმა რუსეთის იმპერატორს იმისთვის დასჭირდა, რომ ახალი საშიშროების წინაშე არ დამდგარიყო და ახალი აფეთქება არ გამოეწვია პოლონეთშიც [Ашкенази 1915: 89]. 1828-1829 წლებში რევოლუციურ მოვლენებთან დაკავშირებით კვლავ იქმნება პირობები პატრიოტული ორგანიზაციის შექმნისათვის. პირველად ასეთი ორგანიზაცია სამხედრო ნაწილებში ჩაისახა. ეს იყო ეგრეთწოდებული „სამხედრო კავშირი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პეტრე ვისოცკი. ამ ოპოზიციის მემარცხენე ფრთამ კავშირი დაამყარა ვარშავის ინტელიგენციის დემოკრატიულ ნაწილსა და ახალგაზრდობასთან [История Польши 2, 1956: 525].

1829 წლის დეკემბრიდან გამოდის “Kurier Polski”, გამოჩენილი ისტორიკოსისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელის,პროფ. იოახიმ ლელეველის იდეური ხელმძღვანელობით. იგი ისტორიის კურსს კითხულობდა 1815 წლის მაისიდან ვილნოს უნივერსიტეტში. 1818 წელს გადავიდა ვარშავის უნივერსიტეტში. 1821 წელს დაბრუნდა კვლავ ვილნოს უნივერსიტეტში, სადაც ის მოღვაწეობდა 1824 წლამდე [Кеневич 1970: 17-21]. ლელეველის შრომები პროპაგანდას უწევდა რესპუბლიკურ-დემოკრატიულ შეხედულებებსა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებს [Лелевель 1862].

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის უკმაყოფილოა როგორც შლიახტა და ინტელიგენცია, ისე გლეხობაც. საზოგადოების ყველა ფენის უკმაყოფილება ბიძგს აძლევდა მოახლოებულ აჯანყებას. ყველგან – პოლონეთშიც, ლიტვაშიც, ვოლინშიც – გლეხობა სიამოვნებით ცვლიდა კავს ნაჯახსა და საბრძოლო იარაღზე. ფიქრობდნენ, რომ ამ ბრძოლით მოიპოვებდნენ მიწასა და თავისუფლებას. შლიახტას რომ უარეყო თავისი ეგოიზმი და თავიდანვე დაეკმაყოფილებინა დაბალი ფენის მოთხოვნები, აჯანყება, რომელიც დიდი პათოსით დაიწყო, ბოლოს სტიქიურ ხასიათს არ მიიღებდა.

1830 წლისთვის, დიდი აჯანყების წინ, რუსეთს პოლონეთში დასაყრდენი ძალა თითქმის არ ჰყავდა მეშჩანთა მცირე ჯგუფის გარდა, რომელთა 3/4-ს ებრაელები შეადგენდნენ [Гомулицкий 1906: 7].

ამგვარად, XIX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში უდიდესი ცვლილებები მოხდა – იწყება მსოფლიო კოლონიური სისტემის ჩამოყალიბება. პოლიტიკურ რუკაზე ძირითადად სამი ფერი დომინირებს. ჩნდებიან ამ ფერებად შეღებილი ახალი კონტინენტები და კუნძულები. ყველა მატერიკის გარშემოწირულობა ზუსტდება და იმ ფერს იღებს, რომელიც სახელმწიფო ეგიდის ქვეშ მოექცევა. საუკუნეების მიღმა კაცობრიობის წარსულში არსებული „ზღაპრული“ სახელმწიფოები რეალურნი ხდებიან, ხოლო ის „არარსებულნი ველურნი“, რომელთა შესახებაც მაშინდელ რეალურ მსოფ-

ლიოს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ევროპელთა ეგიდის ქვეშ ცივილიზაციის ანბანს ეზიარნენ და ზოგადად კულტურათა ურთიერთშერწყმის საფუძველზე კაცობრიობის საერთო განვითარების ფერხულში ჩადგნენ. ევროპაში პირიქითაც მოხდა – მაღალგანვითარებული ერები მათზე დაბალი განვითარების ხალხის კოლონიური საკუთრება გახდნენ XIX საუკუნის დასაწყისში. აი, რა საერთო აქვთ პოლონელ და ქართველ ხალხებს: პირველი ის, რომ ერთ დროს არსებული პოლონეთის ძლიერი სახელმწიფოს – ჟეჩ-პოსპოლიტას უდიდესი ნაწილი და უძველესი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე ქართველი ერი, რომელმაც სხვა უამრავ კულტურასთან ერთად კაცობრიობა ღვინისა და მეტალურგიის კულტურებისა და მედიცინის საწყისებსაც აზიარა, მათზე უფრო დაბალი განვითარების ხალხის ეგიდის ქვეშ მოექცნენ. ასე რომ, საქართველოსა და პოლონეთის ისტორიაში ბევრი საერთო მომენტია, გამოწვეული ისტორიული რეალობითა თუ შინაგანი ბედოვლათობით. თუ რუსი ჩინოვნიკები კავკასიის ხალხებსა და მათ შორის ქართველებსაც დაბალი რასის ხალხებად მიიჩნევდნენ, მოიხსენიებდნენ როგორც ველურებს, გაუნათლებლებსა და სხვა დამამცირებელი ეპითეტებით, სამაგიეროდ დაპყრობილ ხალხთაგან პოლონელებს უფრო მაღლა აყენებდნენ და როგორც ზემოთ დავინახეთ, კონსტიტუციური მმართველობითაც დააკმაყოფილეს.

ამრიგად, პოლონელი და ქართველი ხალხების ურთიერთობა XVIII საუკუნემდე საერთო მტრის – თურქეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის იდეით არის განპირობებული, ხოლო XIX საუკუნიდან ამ ხალხებს შორის ურთიერთობას განაპირობებდა თავისუფლების მოპოვება და უკომპრომისო ბრძოლა საერთო მტრის – რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში

XIX საუკუნის დამდეგიდან პოლონეთისა და საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში აღმოჩნდა. ბედით თანაბარი ხალხების ურთიერთობამ ახლა სულ სხვა ხასიათი მიიღო. თუ წინა საუკუნეების ურთიერთობა თურქეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის სურვილით იყო განპირობებული, XIX საუკუნის დამდეგიდან ეს ურთიერთობანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს იღებს და ამდენად, ორივე დაპყრობილი ხალხის ინტერესი მიმართულია რუსული ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ ეროვნული და სოციალური ჩაგვრისგან თავის დასაღწევად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მაგალითს ყოველთვის პოლონეთი იძლეოდა და ამაში არაფერი იყო გასაკვირი. პოლონელი ხალხი ხომ რუსეთის იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ქვეყნებიდან ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული მხარე იყო.

ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ხმას იმაღლებდა როგორც უცხო დაპყრობათა, ისე ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ასე მოხდა საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა რუსულმა იმპერიალიზმმა დაიწყო თავისი კოლონიური პოლიტიკის გატარება.

პოლონელ და ქართველ ხალხებს ერთდროულად მოუხდათ ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, რაც საბოლოოდ თვითმპყრობლობის დაცემით დამთავრდა.

XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიის გავლით აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმავალი პოლონელი მოგზაურები არ ინტერესდებოდნენ ამ რეგიონით. ისინი არ იწერდნენ შთაბეჭდილებებს, არ აწარმოებდნენ ჩანაწერებს, მათ არ მოეთხოვებოდათ წარედგინათ სამეფო კარზე მოხსენებითი ბარათები კავკასიის ქვეყნების შესახებ. შეიძლება ითქვას, ისინი შემთხვევითი მოგზაურები იყვნენ და კავკასიის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდათ. აქ მხოლოდ იმ ეპოქაში ერ-

თეული მოგზაურები ხვდებოდნენ. ამას ხელს უწყობდა ის გადმოცემაც, რომ თითქოს ლეკმა ყაჩაღებმა ოდესღაც მოკლეს ვლადისლავ IV-ის ელჩი სპარსეთში გრაფი სტაჰრ-ენბერგი [Reychman 1972: 176].

პირველი პოლონელი მოგზაურები ოფიციალურად გამოჩნდნენ XIX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, კერძოდ კი 1829 წელს, როცა გამოჩენილმა მოგზაურმა იან პოტოცკიმ დაიწყო მეცნიერულ დონეზე კავკასიის შესწავლა. რაც შეეხება იმ პირველ პოლონელებს, რომლებიც აღმოჩნდნენ საქართველოში, ისინი იყვნენ რუსეთის წინააღმდეგ ნაპოლეონის არმიაში მებრძოლი პოლონელი ჯარისკაცები, რომლებიც საქართველოში გადმოასახლეს სამხედრო ტყვეების სტატუსით. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცულია ცნობები, ამ სამხედრო ტყვეების შესახებ. სასჯელის მოხდის შემდეგ ბევრმა მათგანმა გამოაქვეყნა მოგონებები, სადაც აღწერილია მათი ტყვეობის წლები, ხალხი, ადათ-წესები და ბუნება [Nowacki 1815; 1833; Gerszewski 1862; Pilat 1862].

საქართველოში მსახურობდნენ ის პოლონელებიც, რომლებიც სარეკრუტო წესით იყვნენ გამოწვეულნი და მოქმედ არმიაში კავკასიაში იმყოფებოდნენ. იყვნენ ის პოლონელებიც, რომლებიც რუსეთის ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატში მსახურობდნენ და კოლონიური პოლიტიკისა და კავკასიის მხარის დაპყრობაში ეხმარებოდნენ რუს ჩინოვნიკებს. ამ პოლონელთა სია კავკასიის „აქტებშია“ მითითებული: შტაბს-კაპიტანი კიტვევიჩი, გორის კომენდანტი, მაიორი კოვალჩინსკი, პოდპოლკოვნიკი კულიკოვსკი, შტაბის ექიმი კრუშნევიჩი, ფელდეგერი ლუდკევიჩი, კოლეგიის მდივანი ლაზარევიჩი, ნარვის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკი პლატკოვსკი, ტომაშევსკი, კოლეგიის მდივანი ხორჟევსკი და სხვ. [Акты... II, 1868: 316-335]. XVI საუკუნიდან საქართველოში ფეხს იკიდებს კათოლიკობა. მე-18 საუკუნის მიწურულს აღა-მაჰმად ხანის ლაშქრობამ დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს. ეს უბედურება საქართველოში მყოფმა კათოლიკეებმაც გაიზიარეს.

1787 წელს გარდაიცვალა საქართველოს მისიის უფროსად დანიშნული პატრი ანდრია პალერმოელი. მის სიკვდილს მოჰყვა თვით კაპუცინებს შორის დაპირისპირება. ეს ამბავი ახალციხეში მყოფმა პატრმა ბონავეთურამ რომს აცნობა და კურიას სთხოვა, დროულად გამოეგზავნა ახალი პატრი უწესობის მოსასპობად.

პროპაგანდამ უფროსად გამოგზავნა ადრე საქართველოში ნამყოფი პატრი ფრანჩესკო ანტონიო პადუელი. 1782 წელს პატრი ფრანჩესკო საქართველოს სამისიოში მუშაობდა და მომდევნო წელს უკან გაიწვიეს.

პატრი ანტონიო პადუელი საქართველოში ჩამოსულა და დაუწყია თავისი მოვალეობის შესრულება. მდგომარეობა გართულებულა 1795 წლის შემდეგ. პატრი ფრანჩესკო ანტონიოს წერილებიდან ვგებულობთ, რომ თბილისის აოხრების დროს სპარსელებს მათი ეკლესიებიც გადაუწვავთ, ზოგი კათოლიკე მოუკლავთ და ზოგიც ტყვედ წაუყვანიათ. თბილისში კათოლიკეთა მცირე რიცხვი დარჩენილა, რომლებიც ძალიან უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 1801 წლის 3 ოქტომბერს პროპაგანდამ ყოველივე ეს ამბავი ვენაში მისიის წარმომადგენელს რუფო ნუნცის მისწერა და მთავრობის წინაშე სთხოვა დახმარებისა და შემწეობის აღმოჩენა. ამ თხოვნას რუსეთის მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და დაადგინა: დაბრუნებოდა კაპუცინებს თავიანთი ეკლესიები და სახლები. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ პატრების ეკლესია, რომელიც მათ ჩამოართვეს რუსეთის დამკვიდრებასთან ერთად საქართველოში, გადარჩენილა აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს ნგრევისგან. გენერალ კნორინგის მიერ მისი მმართველობის დროს კაპუცინებისთვის ჩამორთმეული ეკლესია და სახლები მათვე დაუბრუნდათ იმავე გენერალ კნორინგის ხელით რუსეთისავე მთავრობის გადაწყვეტილებით. ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც ეკუთვნის იმავე პატრ ფრანჩესკო ანტონიო პადუელს, ვგებულობთ, რომ „რუსეთში მყოფ ამ განყოფილების ინსპექტორს საქართველოს მთავარმართებლისათვის მიუწერია, რომ თებერვლის დამლევს მოვა და თვით ინებებს, რაც კი ჩვენ გვეკუთვნის, ჩაგვაბაროს“ [თამარაშვილი 1902: 485; Tamarati

1910: 647-649]. მაგრამ, საუბედუროდ, არც ინსპექტორი ჩამოსულა საქართველოში და ამდენად, არც ეკლესიები დაბრუნებია პატრებს. შემდგომ წლებში რუსულმა ბიუროკრატიამ გამოასწორა თავისი შეცდომა და თავად ციციანოვის მმართველობის დროს ეკლესიების დაბრუნების მაგიერ 6 000 მანეთი მისცა მისიას თბილისში ახალი ეკლესიის ასაშენებლად. კათოლიკური ეკლესიის არსებობის აუცილებლობასა და პატრების დაცვას აუწყებდა წმ. სინოდის ობერ-პროკურორს, თავად გოლიცინს კავკასიის მმართველი – მარკიზი პაულუჩი 1812 წლის 5 აპრილის შემდეგი შინაარსის წერილით: [Акты... V; Отношения Маркиза Пауллучи ... 1812: 49-50]. „ამ მხარეში არსებული კათოლიკური სამღვდელოება პროპაგანდა ფიდე-ს არსებობის პერიოდში რომიდან ღებულობდა პენსიებს... თბილისში, განსვენებული გენერლის – პ. ციციანოვის მმართველობის დროს მისი პატაკის წარდგინების შემდეგ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ გამოყოფილი იქნა თანხა ახალი ეკლესიის ასაშენებლად, რომელთაც ისინი ქართველი მეფეების მმართველობის პერიოდში ფლობდნენ. მაგრამ ქ. გორსა და იმერეთში, სადაც მრავალი კათოლიკე აღმსარებელი სიღარიბეში ცხოვრობდა და რომელთაც არ ჰქონდათ სალოცავად ეკლესიაც კი, იძულებულნი იყვნენ ღვთისმსახურება დაქირავებულ სახლებში ეწარმოებინათ. მიუხედავად ამისა, კათოლიკე მღვდლები აუცილებელია და სასარგებლო მრავალ ასპექტში. კერძოდ, ისინი ესაჭიროება ადგილობრივ კათოლიკე მცხოვრებლებს, გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ისინი ინარჩუნებენ მშვიდობას თურქეთის პორტასთან; შეუძლიათ მათი მოძმეების გამოწვევა მეზობელი თურქეთის სამფლობელოებიდან, რომელნიც მრავლად არიან ახალციხეში, ყარსში, ერზრუმსა და ბაიაზეთში. ადვილი შესაძლებელია მათი ჩამოყვანა და დასახლება საქართველოს ტერიტორიებზე.

ამავე დროს კათოლიკე ბერები, რომლებიც აქ არიან გამოგზავნილნი, ნაზიარები არიან მედიცინის საიდუმლოებებს და წარმატებით სარგებლობენ აქაურ მოსახლეობაში. გასულ წელს, როდესაც მძვინვარებდა ჭირი, შესანიშნავად

წარმოაჩინეს თავიანთი სიდინჯე და ადამიანურობა, განსაკუთრებით კი ქ. გორში, რომლის უმეტეს ნაწილს შეეყარა ჭირი და ისინი შეძლებისდაგვარად უწევდნენ დახმარებას ადგილობრივ მოსახლეობას. ამიტომაც მივიჩნევ ამ სასულიერო პირების ყოფნას აქ აუცილებლად, მით უმეტეს, რომ საქართველოში ყველაზე დაბალი რანგის კათოლიკე აღმსარებლები, განსაკუთრებით კი პოლონეთიდან გამოწვეულნი, რეკრუტები არიან. მე ვფიქრობ, რომ კათოლიკენი დავყოთ 3 ჯგუფად: მთავარი – თბილისში, მეორე – ქ. გორში და მესამე – იმერეთში. კათოლიკე მისიონერთა შესანახად თქვენი მონარქიული მფარველობიდან გამომდინარე დაენიშნოთ პენსია – თითოეულს 120 მანეთი ვერცხლით.

ამიტომ აღნიშნული სასულიერო წოდება ყველა ურთიერთობით მიიღებს დამოუკიდებლობას რომაულ-კათოლიკური სასულიერო კოლეგიისგან, რომელიც რუსეთში იქნება დამტკიცებული, როგორც ეს არის მითითებული იმ წერილის მოთხოვნებიდან და თანხმობა უშუალოდ გაცემულია რუსეთში არსებული უპირველესი რომაულ-კათოლიკური მისიის ხელმძღვანელის – მიტროპოლიტ სტანისლავ სესტრენცევიჩის მიერ“ [Акты V, 83, Отношение Маркиза Паулучи ...1812: 49-50].

როგორც პაულუჩის წერილიდან ჩანს, კათოლიკებისადმი დათმობა და ახალი ეკლესიის ასაშენებლად გაღებული 6000 მანეთი შემთხვევითი არ ყოფილა. წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოში მისიით მოსული კათოლიკე პერსონალი ადგილზე შემოსაწირავების გარდა გასამრჯელოს პენსიის სახით იღებდა რომისგან, მაგრამ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, უფრო სწორად, 1795 წლის ტრაგედიის შემდეგ ეს დახმარება რომის კურიისგან შეწყვეტილა. რუსი ჩინოვნიკების აზრით, თუკი კათოლიკური სარწმუნოების ქართველ-სომეხთა გადმოსახლება მოხერხდებოდა, რუსეთის არმიას გადმოსახლებული მოსახლეობის სახით რეზერვების შესავსებად ეყოლებოდა დიდი ძალა. ჯერ ერთი იმ პერიოდში რუსეთი საქართველოში კარგად არ იყო ფეხმოკიდებული და მეორეც – საგარეო ომების წარმოებისათვის, რომელიც რუსეთს

ჰქონდა დაწყებული XIX საუკუნის პირველ მესამედში ისლამური სამყაროს წინააღმდეგ, სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის მოხალისე ლაშქარი იყო ის დიდი ძალა, რომელმაც არაერთხელ ასახელა შემდგომში კავკასიის ომების დროს რუსული ხიშტი. მესამე – კაპუცინების ორდენის კათოლიკე მისიონერები შესანიშნავი მკურნალი ექიმები არიან და რაც მთავარია, მოსახლეობაში დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ. ვინაიდან თვითონ რუსეთი ვერ აკმაყოფილებდა ამ მხარეს მკურნალი ექიმების მხრივ, ამდენად კათოლიკე მისიონერები ავსებდნენ ამ აუცილებლობას, რომელსაც ეს მხარე განიცდიდა საექიმო პერსონალის მხრივ. მეოთხე: საქართველოში რუსული ბიუროკრატიული აპარატის დამკვიდრებასთან ერთად დაბალ ჩინებში მსახურობდნენ სხვადასხვა სარწმუნოების, მათ შორის, კათოლიკობის მიმდევარნიც. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა რეკრუტში, რომელიც ძირითადად ახლად შემოერთებული პოლონეთიდან ჰყავდათ გაწვეული. ამიტომაც არის მარკიზ პაულუჩის მოთხოვნა კატეგორიული, რომ თითოეულ კათოლიკურ კურიას თბილისში, ქ. გორსა და იმერეთში დაენიშნოს წელიწადში თითოეულს მანეთი.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კაპუცინები საქართველოს შვილებს ლათინურ ტიპიკონზე არ აკურთხებდნენ ხოლმე, რათა შემდგომ მათ გვერდზე არ ამოსდგომოდნენ და როგორმე არ დაეჩრდილათ ისინი. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ პოლონეთში, მოგილიოვის ლათინურ კურიაში მომსახურე ქართველი კათოლიკე ძმა ონოფრიოს ჩამოსვლა თბილისში და მისი წერილი პროპაგანდას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეათინელებთან და დომინიკანელებთან მრავალი ქართველი კათოლიკე მსახურობდა მისიით [თამარაშვილი, 1902: 488]. ძმა ონოფრიო პროპაგანდას წერს: „ძმა ონოფრიო ოინჯანოვი, მღვდელი და მისიონერი სარატოვის პრეფექტურისა რუსეთის იმპერიაში, უფროსი და დეკანოზი სარატოვის პრეფექტურის კათოლიკე ეკლესიებისა და მოწესე მოქადაგეთა ძმათა (დომინიკიანელთა), მდაბლად გაუწყებ შემდეგს: მე, საქართველოში, ქალაქ თბილისში დაბადებული, 17 წელიწადი დავყავი პატრი კაპუ-

ცინებთან. ოცდაორი წელიწადია, რაც ჩემს სამშობლოს გავშორდი და პოლონეთში მოქადაგე ძმებთან, გამოსაცდელი დროის გატარების შემდგომ მონაზონად შევდექი. მათი უსამღვდელოესობის მიტროპოლიტ არქიეპისკოპოსის, სტანისლავ სეოცევიჩის თანხმობით და ეგრეთვე ჩვენი წესის ნებით საქართველოში მოვედი სანახავად და სანუგეშოდ დედაჩემისა და სხვა დანარჩენი ნათესავებისა. მაგრამ, რა ჩამოვედი, ნუგეშის მაგიერ შევწუხდი. ჯერ იმის გამო, რომ იმერეთში მყოფი კაპუცინი პატრი ნიკოლა რუთინიანელი დაბრკოლებას აძლევს, რის გამოც ჩვენს კათოლიკებს განსაცდელი მოელის კათოლიკე სარწმუნოების დატოვებისა. მეორედ იმის გამო, რომ უფროსმა პატრმა, ფრანჩისკე პადოელმა, თვინიერ საჭიროებისა ქორწინებისათვის ნება მისცა მესამე ხარისხის ნათესავებს... წმინდა კრების უმორჩილესი მონა, ძმა ონოფრიო ოინჯანოვი, გორი, 28 აპრილი 1803 წელი, [თამარაშვილი 1902: 488-489]. წერილის შინაარსი იმით არის საინტერესო, რომ კაპუცინების ორდენის წარმომადგენლები საქართველოში არა მარტო კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდა-აგიტაციას ეწევიან, არამედ ქართველ ახალგაზრდობას სიყრმის ასაკიდან ზრდიან ლათინური წესით, მაგრამ საქართველოში არ ტოვებდნენ და ან რომში გზავნიდნენ საკურთხევლად, ანდა, როგორც ეს ძმა ონოფრიოს მაგალითიდან ჩანს – პოლონეთში. ონოფრიოს მაგალითი პირველი და უკანასკნელი შემთხვევა არ უნდა იყოს. ქართველ კათოლიკეთა პოლონეთში მოღვაწეობისა და პოლონეთის არქივსაცავებსა თუ სიძველეთა შესანახ ადგილებში შემდგომი ძიება ბევრ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენს ქართველ კათოლიკეთა პოლონეთში მოღვაწეობის შესახებ. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ამის გარეშე ქართველი კათოლიკეებისა და ეკლესიის ისტორია სრული ვერ იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კათოლიკური ეკლესიის ისტორია საერთოდ შეუსწავლელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შესანიშნავ ქართველ მკვლევარსა და პატრიოტს მიხეილ თამარაშვილს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საქართველოს ისტორიის ამ საინტერესო და რთულ საკითხს.

ოფიციალურად პირველი პოლონელები, რომლებიც კავკასიაში და კერძოდ საქართველოში გადმოასახლეს, იყვნენ ის სამხედრო ტყვეები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ნაპოლეონის არმიაში მებრძოლმა საქართველოში გადმოსახლებულმა პოლონელმა სამხედრო ტყვეებმა შეაკეთეს, აღადგინეს და მიმოსვლისათვის გამოსაყენებელი გახადეს ის მაგისტრალი, რომელიც რუსეთს საქართველოსთან აკავშირებდა და დღეს „საქართველოს სამხედრო გზის“ სახელითაა ცნობილი. XIX საუკუნის 50-იან წლებში წერდნენ: „კავკასიის მთები სამხრეთ რუსეთს გამოჰყოფენ საქართველოს აყვავებული პროვინციებიდან. ერთადერთი გზა, რომელიც მას კავკასიასთან აკავშირებს, გადაჭიმულია მოზდოკიდან ტფილისისაკენ დარიალის ვიწრო ხეობებით.“ საქართველოს სამხედრო გზა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი იყო ჩრდილოეთის ხალხებთან კავშირ-ურთიერთობების დასამყარებლად. მისი სიგრძე თბილისიდან ვლადიკავკაზამდე 210 კილომეტრია. საქართველოს სამხედრო გზის ბუნებრივ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობა განსაზღვრავდა იმ დიდ როლს, რასაც თამაშობდა ეს მაგისტრალი ჩრდილოეთის ხალხებთან ურთიერთობაში იმ დრომდე, ვიდრე გაყვანილი არ იქნა ტრანსკავკასიური რკინიგზა და რომლის ექსპლოატაციაში გადაცემა დამთავრდა XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ამიტომ გასაგებია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ადმინისტრაცია დარიალის ხეობის გზას. თბილისიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მთავარი გზა ამიერ და იმიერ არაგვის ხეობებითა და დარიალის კარის გავლით ჩრდილო კავკასიაში შედიოდა. ხევის მთავარი მდინარეა თერგი. იგი გამოდის თრუსოს ხეობიდან, რომლის სათავე მყინვარ ზოლგა-ხოხსა და ჯიმრაი-ხოხშია. სათავიდან თერგი თრუსოს ხეობის აღმოსავლეთიდან მიედინება, კობთან გამოდის საქართველოს სამხედრო გზაზე და ჩრდილოეთისაკენ უხვევს. თავისი ფიზიკური აღნაგობით ხევი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ იშვიათ კუთხედ, სადაც ბუნების მონუმენტალობა წარმოდგენილია მთელი თავისი სიძლიერით. კავკასიონის ბუნების შესახებ ცნობილი მკვლევარი და ალპინისტური კლუბის ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი

დუგლას ფრეშფილდი აღფრთოვანებით წერდა: „მე მინახავს თითქმის მსოფლიო ყველა მთათა სისტემა, ვყოფილვარ ჰიმალაებსა და კორდილიერებში თავზარდამცემი სილამაზე მთათა სიმაღლეებისა, მათი განუმეორებელი ფორმები, ხეობათა გრანდიოზულობა და ყინულებზე თოვლთა ელვარება არსად ასე არ განმიცდია, როგორც ეს დიდი კავკასიონის ცენტრალური ნაწილის ხილვისას იალბუზიდან აღმოსავლეთით“. მყინვარწვერისკენ ორი ასასვლელი გზაა – გერგეტისა და დევდორაკის მყინვარით. დევდორაკზე ხშირად იცის ზვავები და ერთ-ერთი მათგანი დაშვებულია 1832 წელს. ზვავს მდინარე თერგი ჩაუხერგავს, წყალი დაგუბებულა და ასი მეტრის სიმაღლით აწეულა. ზარალი მიუყენებია როგორც სამხედრო გზისთვის, ასევე მოსახლეობისთვისაც [С. Анисимов 1936, 5]. ხევის გეომორფოლოგიური აგებულების ფენებისათვის დამახასიათებელია პალეოზოური და იურიული პერიოდის კიროვან-მერგელიანი ფენები. ამ ფიქალებს მოხევეები „ჭაყო-ს“ უწოდებენ და სამშენებლოდ იყენებენ. ჰავა საქართველოს ამ მთიან მხარეში ძლიერ ცვალებადია. წლის საშუალო ტემპერატურა სიმაღლის ზონალობის მიხედვით ყოველი 200 მეტრის მანძილზე 1 გრადუსით კლებულობს. ზამთარი ძლიერ ცივია და ყინვიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურა -12-დან -18 გრადუსამდე განისაზღვრება. გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა – ადრე. ივლისის ტემპერატურა +10, +14 გრადუსია.

დარიალის კარს მრავლისმეტყველი წარსული აქვს. ამ კარიდან გადიოდნენ და შემოდიოდნენ სოვდაგრები თუ დასაპყრობად მოსული ურდოები. ამ კარიდან შემოდიოდნენ თუ გადიოდნენ ხაზარები, არაბები, მონღოლები თუ სხვა ჯურის დამპყრობლები. ამ კართან ხდებოდა თვით კავკასიის ხალხთა ბრძოლებიც. როდის შეიქმნა ეს გზა, დანამდვილებით ცნობილი არაა. ლეონტი მროველის წარმოდგენით, დარიალის გზა ისევე, როგორც სხვა გზები კავკასიაში, პირველად თარგამოსიანთ, ე. ი. იაფეტიდებმა გაიტანეს. XII საუკუნეში დარიალის კარს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დავით აღმაშენებელმა. 1118 წელს მან „აღიხუნა ციხენი დარიალსა და ყოველთა კართა ოვსეთისიანთა და

კავკასიისა მთისანი და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაღთათვის და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი“ [ქართლის ცხოვრება I, 1955: 336]. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, „გზა მშვიდობისა“, რა თქმა უნდა, მხოლოდ ყივჩაღთა ლაშქრის გადმოსაყვანად არ სჭირდებოდა დავითს. ასეთი პირობა საჭირო და აუცილებელი იყო იმ მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობისათვის, რომელიც საქართველოსა და კავკასიის „ჩრდილოეთს“ ქვეყნებს შორის არსებობდა. თამარის მეფობის ხანაში დარიალის ხეობა ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი იყო ჩრდილოეთის ქვეყნებთან დასაკავშირებლად. როგორც თამარის ისტორიკოსი გვაუწყებს, გზას სამეფო ხელისუფლება იცავდა, კარგად იყო მოწყობილი და შესაძლებელი იყო „ჰუნეთა ცვალება“. თუ როგორი მოვლილი იყო ეს გზა იმ ეპოქაში, კარგად ჩანს თამარის პირველი საქმროს ჩამოყვანის მაგალითიდან. დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი ყივჩაღთა ქალაქ სუნჯაში გაგზავნეს თამარის საქმროს მოსაყვანად. საქმე სასწრაფოდ მიაჩნდათ. „მაშინ მოსმენათთა მისთა უხმეს ერთი მკვიდრთაგანი დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელ. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პამნითა“ [ქართლის ცხოვრება II, 1959: 37]. ნ. ბერძენიშვილის აზრით, გამოთქმიდან „მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა“ ჩანს, რომ ხსენებულ გზაზედ არსებობდნენ სადგურები, სადაც შესაძლებელი იყო „ჰუნეთა ცვალება“ – ცხენთა გამოცვლა [ბერძენიშვილი, 1966: 59-57].

შემდგომ საუკუნეებში (XV-XVI სს.) დარიალის სავაჭრო გზამ დიდი ხნით საერთაშორისო ფუნქცია დაკარგა და ის მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის სამიმოსვლო ფუნქციას ასრულებდა. იშვიათად თუ ვინმე იყენებდა მას. რუსთა ელჩების – თავად ზვენიგოროდსკისა და ტორხ ანტონოვის ჩანაწერიდან ჩანს, რომ XVI საუკუნის 90-იანი წლებიდან დარიალის გზის მთიანეთის ნაწილი მხოლოდ ნაგზურსდა წარმოადგენდა [Белокуров 1889: 127-154; Полиевктов 1920: 29-30].

XVII-XVIII სს. რუსეთსა და საქართველოს შორის გაცხოველდა დიპლომატიური ურთიერთობა,რამაც ხელი შეუ-

წყო დარიალის გზის გაცოცხლებასა და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის განახლებას. ამ გზით შემოდიოდნენ ელჩები და რუსთა ჯარები, რომელთა მთავარი მაგისტრალი დარიალის გზა იყო. დარიალის მთავარი გზის აღორძინებაზე მიუთითებს თეიმურაზ II-ის მცხეთისადმი შეწირულობის სიგელი. 1755 წლის საბუთში წერია: „ამას წინათ არას დროსა და ჟამსა არა ქმნილიყო, რომ ოსეთზედ ქარავნის გზა ყოფილიყოს და ამ მთის გზაზე ქარავნები, ვაჭარი და სოვდაგარი მისულიყო და ამ გზიდან ქალაქში სავაჭრო მოეტანათ. და აწ ღმერთმან ჩვენ გვიმრავლოს წყალობა და ამჟამად ოსეთის გზით ქარავანმა იწყოს სიარული“ [Акты II, 1868: 1113].

თვითმპყრობლური რუსეთი საქართველოს შემოსამტკიცებლად და მასთან ერთად მთელი კავკასიის დასაპყრობად მოითხოვდა საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებას, ხიდების აგებასა და დაცვას, რომ რუსეთის ჯარების მიმოსვლა და მათი სურსათითა და იარაღით უზრუნველყოფა არ დაგვიანებულიყო. ამიტომაც აუტანელ ბეგარად იქცა მთიელი მოსახლეობისათვის მუდამჟამს სამხედრო გზისა და ხიდების შეკეთება, თოვლის ხვეტა, ზვავისა და ღორღისგან მისი წმენდა. ამ მძიმე და იძულებით მუშაობას, მცირე ხელფასს ზედ ერთვოდა მექრთამე მოხელეების მკაცრი მოპყრობა. მოთმინებიდან გამოსულმა მთიელებმა ამის შესახებ წერილობით მიმართეს მთავარმართებელ პ. ციციანოვს. აღნიშნულ წერილში ჩამოთვლილი იყო ძალადობისა და მექრთამეობის, ქურდობისა და სხვა უკანონო ქმედებათა აღმაშფოთებელი ფაქტები [Акты 1868; 311]. 1804 წელს, ქართლის მთიანეთის აჯანყების დროს, რუსეთისათვის გზა რომ მოეჭრათ, ანანურიდან დაწყებული კაიშაურამდე სამხედრო გზა მთლიანად დააზიანეს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ საქართველოს სამხედრო გზაზე სასწრაფოდ ფართო მუშაობა გააჩაღა მეტროპოლიასა და კოლონიას შორის კომუნიკაციების აღდგენის მიზნით. მისი მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა. ამავე ტემპით ხდებოდა რუსეთის ჯარების კონცენტრაცია და

მათი განწესრიგება. შემოდიოდა რუსეთის საქონელი და სავაჭრო კაპიტალი, გაცხოველდა რუსეთ-საქართველოს შორის მგზავრთა მიმოსვლაც. მგზავრთათვის შენდებოდა სადგურები და დასასვენებელი სახლები [Дункан-Веллинг 1863: № 72, №№ 75-78; Вейденбаум 1884: 265-300]. 1803 წელს მთავარმართებელ პ. ციციანოვის გეგმით სამხედრო გზის გაყვანა დაიწყეს გუდამაყრის ხეობით, რომელიც ბურსაჭირის უღელტეხილით ღუდუშაურისა (სნო) და დარიალის ხეობაში უნდა გადასულიყო. 1847 წელს მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა ეს ძველი გეგმა დაიწუნა და სამხედრო გზის გაყვანას თეთრი არაგვის გზით შეუდგნენ. იგი ქვეშეთიდან კაიშაურის აღმართით ჯვრის უღელტეხილზე გადიოდა და კობში ეშვებოდა. 1861 წელს, როდესაც მლეთის აღმართი დამთავრდა, კაიშაურის ეს გზაც გაუქმდა და მოძრაობა მლეთის აღმართით დაიწყო. 1863 წელს სამხედრო გზის მშენებლობა დასრულდა და მოძრაობაც გაიხსნა. ამავე სამხედრო გზით ნავარაუდევი იყო რკინიგზის გაყვანაც [Статковский 1869, №28].

საქართველოს სამხედრო გზის ისტორია და მისი მოკლე ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა და ხაზი გაგვესვა ამ ისტორიული გზის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობისათვის არა მარტო დამოუკიდებლობის ხანაში, არამედ მას შემდეგაც, რაც დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა დაიკარგა. 1804 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რუსულმა ადმინისტრაციამ გაამახვილა ამ გზაზე ყურადღება, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის სამხედრო-სტრატეგიულ გზაზე და არა მარტო გააძლიერა ამ გზის ირგვლივ მცხოვრები ხალხების ექსპლოატაცია, არამედ გამოგზავნა განსაკუთრებული დანიშნულების სამხედრო შენაერთები, რომლებსაც სამხედრო ინჟინრები ხელმძღვანელობდნენ. სწორედ ამ სამხედრო შენაერთებში შედიოდნენ ის პოლონელი სამხედრო ტყვეები, რომლებიც მარშალ პონიატოვსკის არმიის არიერგარდს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ნაპოლეონის არმიის რიგებში ერთ-ერთ ძირითად დამრტყმელ ძალას პოლონელი შენაერთი წარმოადგენდა, რომლის კონტინგენტი 100 000 ჯარისკ-

აციოსგან შედგებოდა. აქედან 40 ათასიანი არმია მარშალ იოზეფ პონიატოვსკის მეთაურობით, როგორც საფრანგეთის მეკავშირენი, იმ არიერგარდში შედიოდა, რომელთაც პირველებმა ნემანი გადალახეს და ვილნოში შევიდნენ [Historia Polski II, c. II 1958: 183-184], დარჩენილი ნაწილები კი სხვადასხვა შენაერთებში გაანაწილეს. შემდგომ მარშალ იუზეფის (პონიატოვსკი) კორპუსი დიდი არმიის მარჯვენა ფრთაზე იბრძოდა, რომელმაც მოგვიანებით მინსკი აიღო [Historia Polski II, c. II 1958: 184]. ეს არმია ნაპოლეონს გამოყოფილი ჰყავდა გენერალ პ. ბაგრატიონის არმიის გასანადგურებლად. რუსეთმა საფრანგეთის საბოლოო განადგურება შეძლო. ნაპოლეონის არმიის გარკვეული ნაწილები რუსებს ჩაუვარდნენ ტყვედ. სწორედ ამ სამხედრო ტყვეებში იყვნენ ის პოლონელებიც – როგორც ოფიცრობა, ასევე რიგითებიც. პოლონელ ტყვეთა ერთი ნაწილი რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთ გუბერნიებში განამწესეს, ხოლო უმეტესობისგან შეიქმნა ეს სარემონტო გუნდი (Ремонтная команда) და სამხრეთში, კერძოდ კი კავკასიაში გადმოისროლეს [ЦГАРФ 109, Д 147, I Эксп. 1-2]. ამ დროისთვის საქართველოს სამხედრო გზის მდგომარეობა სავალალო იყო. 1803 წლიდან მთავარმართებელი პ. ციციანოვის გეგმით იწყება ამ გზის რეაბილიტაცია. მეტროპოლია თავიდანვე დიდ ყურადღებას ანიჭებდა რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ გზას. იგი შენდებოდა სპეციალური სამხედრო-საინჟინრო ნაწილების მიერ, რომლისთვისაც ფინანსებს მეფის მთავრობა სპეციალურად გამოჰყოფდა. როგორც ითქვა, გზის მშენებლობა მძიმე ტვირთად აწვა მშენებარე გზის გასწვრივ მდებარე სოფლების მოსახლეობას (მთიულებს, მოხევეებს, ფშავებს, ხევსურებს), რაც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მიზეზი გახდა. მართალია, 1804 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარმა ქართლის მთიანეთში აჯანყება ჩააქრო, მაგრამ მეფის მთავრობა ხარ-ურმისა და სამხედრო გზაზე მუშაობისათვის იძულებული გახდა სათანადო ქირა დაეწესებინა [საქართველოს ისტორია I, 1958: 401-402]. ომებმა ირანთან (1804-1813) და თურქეთთან (1806-1812) კიდევ უფრო გააუარესა რუსეთის ფინანსური მდგომარეობა. სახელმწიფო-ბი-

ბროკრატიულ აპარატში მოკალათებული ჩინოვნიკები აგრძელებდნენ მექრთამეობას [Шиман 1911: 15]. იქმნებოდა მოჩვენებითობა, თითქოს სახელმწიფო მათ მხარს უჭერდა. 1806 წლიდან გამოცხადდა მობილიზაცია. ამ ფონზე გაძნელდა საქართველოს სამხედრო გზის აღდგენა-მშენებლობის საქმეც, რუსეთის სამხედრო უწყება კი აჩქარებდა მის დამთავრებას, რადგან ამ გზას ამჯერად განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ნაპოვნი იმ პოლონელი ოფიცრების სია, რომლებიც 1813 წლიდან სარემონტო გუნდში იყვნენ ჩარიცხულნი, 51 კაცით განისაზღვრება. აქედან – 36 ოფიცერია, 15 – სამოქალაქო პირი. ამავე სიაში მოხსენებულია 2 პოლონელი – გვარად ტრიპოლსკები – ლეონი და ქსავერი. მათი გვარების გასწვრივ სამხედრო წოდება და წარმომავლობა ნახსენები არ არის [ხუნდაძე 1997: 69-79]. 1813 წლის 9 აგვისტოს კავკასიის ხაზის სპეციალური ბატალიონის უფროსი, გენერალი ნიკოლოზ თევდორეს-ძე რტიშჩევი ინჟინერ-გენერალ დევოლანტს ატყობინებდა, რომ „საქართველოს სამხედრო გზის შეკეთება-მშენებლობისათვის საჭიროა მუშები, რომელთა დაქირავებისათვის საჭირო სახსრები არ გაგვაჩნია. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვყოთ მოსახლეობისაგან თავისუფალი მუშახელი.“ როგორც აღნიშნული პატაკიდან ჩანს, 1813 წლამდე საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა და აღდგენითი სამუშაოები მართლაც გართულებულია ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, მაგრამ სურათი მკვეთრად შეიცვალა 1813 წლიდან. ნაპოლეონთან ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ რუსეთმა დიდი ყურადღება დაუთმო ხსენებული გზის მშენებლობას, დაახმარა მის მშენებლობას სარეზერვო არმიის ნაწილები, ვინაიდან საქართველოს სამხედრო გზა პირველი რიგის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტად გამოცხადდა.

სამხედრო გზის მშენებლობის დაჩქარებისათვის მეფის მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიაში IV ოლქის უფროსის შეცვ-

ლა და ამ პოსტზე „თავისი საქმის კარგი მცოდნე პოლკ-ოვნიკის, აპუხტინის დანიშვნა“ [Акты V, 1873: 301]. გზის მშენებლობის დასაჩქარებლად ამ უკანასკნელმა შეადგინა გეგმა, რომელიც უფროს ინჟინერ-გენერალ დევოლანტს წარუდგინა. ამ გეგმის შესახებ გენერალი რტიშჩევი ატყობინებდა გზათა მიმოსვლის უწყებას შემდეგს: პირველი: „თერგის ნაპირების გამაგრების მიზნით გენერალ პორტნიაგინს სასწრაფოდ გადაეცეს საფრანგეთის ჯარში ნამსახურები 500 პოლონელი ჯარისკაცი. მათ ზედამხედველებად დაინიშნონ თერგის ნაპირებზე მცხოვრები კაზაკები და სამხედრო მოსამსახურეები. პოლონელები კორდონის უფროსის განკარგულებაში იქნებიან. მათი გამოკვება დაევალოს ხაზინას და გამოეყოს თითო სულზე დღეში 15 კაპიკის ოდენობით. იმავე თანხიდან უზრუნველყოფილი იქნეს მათი ჩაცმაც. მეორე: „ვლადიკავკაზიდან ტფილისამდე გზის მშენებლობაზე პასუხისგებლობა ეკისრება ვლადიკავკაზის კომენდანტს, გენერალ-მაიორ დელპოცოს“ [Акты V, 1873: 301].

მესამე: საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის დასამთავრებლად გამოყოფილი იყო 950 კაცი. საგზაო უწყებას მიუმართავს სამხედრო სამინისტროს მმართველის, გენერალ-ლეიტენანტ უშაკოვისათვის, რათა გაედიდებინათ გზის მშენებლობაზე მომუშავე სამხედრო მოსამსახურეების რიცხვი. ამ რიცხვის გაზრდა უნდა მომხდარიყო იმ სამხედრო მოსამსახურეების ხარჯზე, რომელნიც გამოუსადეგარნი იყვნენ მოქმედ არმიაში და საქართველოში გამოგზავნილი ტყვე პოლონელებისა [Акты V, 1873: 301].

ამ რაზმში ძირითადად ოფიცრები იყვნენ, უმეტესად სამხედრო ინჟინრები და თავისი საქმის დიდი სპეციალისტები, რომელთა ნაკლებობასაც განიცდიდა რუსეთის არმია. შიმანს თავის წიგნში „ალექსანდრე I“ შენიშნული აქვს, რომ სამხედრო ინჟინრები არმიაში ძირითადად ბალტიისპირეთიდან და გერმანიიდან იყვნენ მოწვეულნი.

ერთი წლის შემდეგ საქართველოს სამხედრო გზის უდიდესი ნაწილი შეკეთებულა და მხოლოდ მცირე ნაწილიღა დარჩენილა დასამთავრებელი.

1814 წლის 5 აგვისტოს მიწერილობაში გენერალი ნიკოლოზ თევდორეს-ძე რტიშჩევი ვლადიკავკაზის კომენდანტს, გენერალ-მაიორ დელპოცოს ატყობინებდა, რომ „ცუდმა ამინდებმა თავისებური გავლენა იქონიეს მშენებლობაზე, – ადიდდა მდინარეები, რამაც ხელი შეუშალა სამუშაოს ბოლომდე მიყვანას, მაგრამ მშენებლობა თითქმის დამთავრების პირზეა მისული და კიდევაც დამთავრდება თუ, რა თქმა უნდა, დამხმარე ძალა აღმოჩნდება. ამ დამხმარე ძალას, პოლკოვნიკ აპუხტინის სიტყვებით, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება, თუ ისინი პოლონელი სამხედრო ტყვეები იქნებიან“ [Акты № 694: 308].

როგორც გენერალ რტიშჩევის მიწერილობიდან ჩანს, დარჩენილი პოლონელი სამხედრო ტყვეები მეტად შრომატევად სამუშაოს ასრულებდნენ და საქმის ცოდნითაც გამოირჩეოდნენ. მიუხედავად მძიმე ბუნებრივი პირობებისა და ტექნიკის დაბალი დონისა, სარემონტო რაზმმა 950 კაცის შემადგენლობით ერთი წლის მანძილზე მაინც შეძლეს ძირითადი სამუშაოების დამთავრება.

როგორც საბუთებიდან ჩანს, პოლონელებს ტყვეობის ვადა განსაზღვრული ჰქონდათ, მაგრამ პოლონელთა ერთი ნაწილი ადრევე ტოვებდა სამუშაოს და იპარებოდა მშობლიურ პოლონეთში. რუსეთის ყოფილი ოქტომბრის რევოლუციის არქივში ნაპოვნ საბუთებში მითითებულია ორი ტყვე ოფიცრის გვარი – კლეჩკოვსკი და გრაბოვსკი, რომლებიც კურსკის მიდამოებში დაიჭირეს, ხოლო დანარჩენი – ასტრახანში, ვორონეჟში, პენზასა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში [ЦГАР ф. 109, д. 147: стр. 1-8]. მეორე ნაწილი თურქეთში გადადიოდა, საიდანაც სამშობლოს უბრუნდებოდა, ან საფრანგეთში ემიგრაციაში მიდიოდა საფრანგეთის საელჩოს დახმარებით [Акты 5, 1873: 727].

აშკარად ჩანს, რომ ქართული მოსახლეობა მათ ყველანაირად ეხმარებოდა სამშობლოში დასაბრუნებლად. პოლონელთა ტყვეობა 1815 წლის ჩათვლით გაგრძელდა. შემდგომ დარჩენილი ტყვეები გაათავისუფლეს და საცხოვრებელი ადგილის ამორჩევის საშუალება მისცეს. უმეტესი ნაწილი სამშობლოში – პოლონეთში დაბრუნდა და ზოგიერთმა მათ-

განმა მოგონებებიც გამოაქვეყნა [Nowacki 1833; Gerszewski 1862]; მეორე ნაწილი რუსეთის ქვეშევრდომი გახდა და სამსახური პროფილის მიხედვით გააგრძელა.

იმ ხუთასი პოლონელი სამხედრო ტყვეების გარდა, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზის აღდგენა-მშენებლობაში მონაწილეობდნენ, საქართველოში მოქმედ არმიაში განაწესეს მრავალი ტყვე პოლონელი, თუმცა, მოქმედ არმიაში განაწილებულ პოლონელ ტყვეებზე უარყოფითი შეხედულების იყო ადგილობრივი მთავარსარდლობა. 1813 წლის 31 ივლისის პატაკში გენერალი ნ. რტიშჩევი გრაფ რუმიანცევს ატყობინებდა, რომ ტყვეებს არ სურთ დაიფიცონ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე, რამდენადაც რუსეთის არმიაში ცარიზმის ინტერესებისათვის სამსახური თავიანთ ვალდებულებად არ მიაჩნიათ. პოლონელთა მიმართ თურქების ლოიალობას ასე ხსნის რუსეთის ოფიციალური ელჩი, ტიტულარული მრჩეველი იტალინსკი: „თურქეთს სძულს რუსეთი, ყველა ქრისტიანულ ქვეყანაზე უფრო მეტად. პორტა კიდევ უფრო გააბრაზა ბუქარესტის ზავის შეუსრულებლობამ და მისი მუხლების უგულებელყოფამ რუსეთის დიპლომატიის მხრივ“ [Акты № 970, 1816: 840-841].

როგორც ვხედავთ, დეზერტირობა პოლონელი სამხედრო ტყვეებისა მოქმედ არმიაში უფრო მეტია, ვიდრე იმ სარემონტო რაზმებში, რომლებიც რუსეთმა საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობისათვის შექმნა. ჩვენი აზრით, ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ – სარემონტო რაზმებში სამხედრო ტყვეები რჩებოდნენ პოლონელებად და არა რუს მოსამსახურეებად. მათ გააჩნდათ განსაკუთრებული დრო, ამ შემთხვევაში სამი წელი, რომლის გასვლის შემდეგ რუსეთის ადმინისტრაცია მათ ათავისუფლებდა და სამშობლოში წასვლის ნებას აძლევდა. უფრო მეტიც, მათ შეეძლოთ დროზე ადრე განთავისუფლებულიყვნენ, თუ სამხედრო გზის მშენებლობას დაასრულებდნენ. ამიტომაც ბუნებრივია, ისინი თავდადებით მუშაობდნენ და გენერალ რტიშჩევის ცნობა იმის შესახებ, რომ ერთი წლის შემდეგ, ე.ი. 1814 წლის 5 აგვისტოსათვის სამხედრო გზის სამუშაოები ძირითადად დამთავრებული იყო, ბუნებრივად გამოიყურება. რაც

შეეხება მოქმედ არმიაში განწესებულ პოლონელებს, მათ სულ სხვა მდგომარეობა შეექმნათ. ისინი მრავალი წლის განმავლობაში უნდა მოსწყვეტოდნენ თავიანთ სამშობლოს, ოჯახს და რუსეთის იმპერიის არმიაში ცარიზმის ინტერესებისათვის ებრძოლათ, რაც მათ ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ეს კარგად იცოდა კავკასიის არმიის მთავარსარდლობამაც და ამიტომ არ მიაჩნდათ მიზანშეწონილად საქართველოში მოქმედ არმიაში ანტირუსულად განწყობილი, 1812 წლის ნაპოლეონის არმიის მეკავშირე პოლონელი ტყვეების ყოფნა, რადგანაც „არასაიმედონი იყვნენ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისადმი.“

კავკასიაში გადმოსახლებული იმ სამხედრო ტყვეების ერთ-ერთ მონაწილეს, კერძოდ სტანისლავ ნოვაცკის აღწერილი აქვს ტყვეობის მძიმე წლები და მითითებული აქვს ზუსტი თარიღი – 1815 წლის 3 დეკემბერი, როდესაც უკანასკნელმა სამხედრო ტყვეებმა, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობაზე მუშაობდნენ, დატოვეს კავკასია და ნოვოჩერკასკიდან ეკატერინოსლავის, ელიზავეტპოლის, ზლატოპოლის, ბრესტ-ლიტოვსკისა და ბელოსტოკის გავლით 1816 წლის 1 მაისს ვარშავაში დაბრუნდნენ. სტ. ნოვაცკი აგვიწერს კავკასიის ბუნებას. მეტად მხატვრულად აქვს აღწერილი ვიწრო გზები ყუბანის სტეპებიდან მოზდოკამდე და აქედან ასტრახანამდე სხვადასხვა დასახლებული პუნქტები. პოლონეთის არმიის უნტერ-ოფიცრის სტ. ნოვაცკის „მოგზაურობა“ იმით არის საინტერესო, რომ იგი პირველი „მოგზაურია“, რომელიც თითქმის ორნახევარი წლის განმავლობაში იმყოფებოდა კავკასიაში და უშუალო დაკვირვებებითა და პირადი შთაბეჭდილებებით აღწერა კავკასიის ხალხების ადათ-წესები და მათი ზნე-ჩვეულებები. იგი უშუალო დაკვირვებებითა და ნანახით ცდილობს კავკასიური კონგლომერატის აღწერას. კავკასია მისთვის დარჩა, როგორც “terra incognita” [ნოვაცკი, 1969: 66]. როგორც ჩანს, ტყვე პოლონელების მცირე ნაწილი დარჩა საქართველოში. დარჩენილთაგან უმეტესობამ შეითვისა ქართული ტრადიციები, გაქართველდნენ და ქართული კულტურის პროპაგანდისტები გახდნენ.“

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა XIX ს. 20-30-იან წლებში

1832 წლის შეთქმულებაში პეტრე ზავილეისკის მონაწილეობის საკითხისათვის

1832 წლის შეთქმულების კრედო არცთუ ადვილი დასადგენია, ვინაიდან მეცნიერების განკარგულებაში სრული მასალა არაა. საქმე ისაა, რომ შეთქმულების პროგრამული დოკუმენტები შემონახული არაა, რადგან შეთქმულების მესვეურებმა დაპატიმრებამდე მოასწრეს დოკუმენტების მოსპობა, ხოლო სასამართლოს წინაშე, როგორც მოსალოდნელი იყო, გულახდილნი არ იყვნენ. რაც შეეხება თითქმის ერთადერთ საწესდებო დოკუმენტს – „აქტი გონიერნი“, მას არ შეუძლია სრული წარმოდგენა მოგვცეს შეთქმულთა გეგმებზე. თუმცა შეთქმულთა ცალკეული განცხადებები და არაპირდაპირი დოკუმენტები გარკვეულ მასალას შეიცავს შეთქმულების იდეურ წყაროებზე.

საკმაოდ კარგადაა ცნობილი, რომ ფრანგი განმანათლებლების იდეების შემოჭრა საქართველოში ჯერ კიდევ 1832 წლის შეთქმულებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო [გოზალიშვილი I, 1935: 35-36; ასათიანი II, 1970: 5; ხუნდაძე 1933.: 91-93; ყიფიანი 1936: 6]. შეთქმულთა იდეური კავშირი ევროპის მოძრაობასთან პირდაპირი მასალით არ დასტურდება. მაგრამ როგორც სოლომონ რაზმაძე აცხადებდა, 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციის დროს პარიზის მოქალაქეებისადმი მიმართვა შემთხვევით არ ითარგმნა ქართულად. 1933 წლის 11 აპრილს ს. რაზმაძე წარუდგა საგამოძიებო კომისიას. კომისიის წევრთა შეკითხვებზე მან შემდეგი პასუხი გასცა:

1. – ვისგან მიიღეთ პარიზის პრეფექტის ოდილიონ ბარროს მოწოდება თქვენს მიერ ქართულად თარგმნილი?

– ერთხელ, დიმიტრი ბატონიშვილთან ყოფნის დროს, მაგიდაზე დავინახე რუსული ხელთნაწერი პრეფექტისა პარიზისა ოდილიონ ბარროსი. ავიღე და გადავთარგმნე ქართულ ენაზე.

1. – რატომ ან რისთვის აიღეთ ასეთი მოწოდება ქართულს ენაზედ სათარგმნელად? (გენერალ-მაიორი ჩევკინი)

– არავითარ მიზანსა და არავითარ მიზანგანზრახულობას. სიტყვა ითარგმნა იმისათვის, რომ მაინტერესებდა, იქნებოდა თუ არა მოსასმენად ქართულად ისევე კარგად, როგორც რუსულად (აზნაური ს. რაზმაძე) [საქართველოს ცია, ფ. 1457, ს. 13, ფ. 2385].

ჩვენი აზრით, ს. რაზმაძის ასეთ გულუბრყვილო პასუხებს უყურადღებოდ არ დატოვებდა საგამომძიებლო კომისია და დამატებით მოითხოვდა მისგან ზუსტი, ამომწურავი პასუხის მიღებას, მაგრამ მსგავსი რამ არ არსებობს არც 1832 წლის დაკითხვის ოქმებში და არც სხვა მასალებში. როგორც ჩანს, საგამომძიებლო კომისია „დააკმაყოფილა“ ს. რაზმაძის ასეთმა გულუბრყვილო ახსნა-განმარტებამ. თვით მოწოდება „პრეფექტი სენის დაპატიმრებისა თ სთ მოქალაქეთა მიმართ“ მართლაც მაღალ მხატვრულ დონეზეა თარგმნილი და ქართულადაც ისევე კარგი მოსასმენია, როგორც რუსულად და ფრანგულად [საქ. ცია, ფ. 1457, ს. 13, ფ. 2359-2360]. რა თქმა უნდა, ს. რაზმაძემ მარტო კეთილხმოვანების გულისათვის არ თარგმნა სენის დეპარტამენტის პრეფექტის ოდილიონ ბარროს რევოლუციური მოწოდება.

ქართული საზოგადოების დეკაბრისტებთან კავშირი საკმაოდ ცნობილია. ქართველთაგან ზოგი უშუალოდ დეკაბრისტების ორგანიზაციის წევრი იყო, ზოგიც აშკარად თანაუგრძნობდა მათ.

დეკაბრისტების აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობამ ბევრი მათგანი საქართველოში გადმოასახლა. საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები – რაევსკი, ოდოევსკი, ბესტუჟევ-მარლინსკი და სხვები მოწინავე ქართველებს უახლოვდებოდნენ. ისინი დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისა და კულტურისადმი. გარდა ამისა, 20-იან წლებში საქართველოში დაბრუნდნენ ის ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც სწავლობდნენ მოსკოვის, პეტერბურგისა და რუსეთის იმპერიის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ეზიარნენ ევროპის მოწინავე იდეებს. ის პროცესები და ცვლილებები, რაც ხდე-

ბოდა რუსეთის საერთო ცხოვრებაში, ძალაუნებურად თავის შესაფერის გავლენას ახდენდა ამიერკავკასიის ცხოვრების განვითარებაზე. საქართველო არა მარტო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად და ეკონომიკურად დაემორჩილა რუსეთის გავლენას, არამედ კულტურულადაც რუსეთის ჩარჩოებში მოექცა და ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებაც სავსებით მოჰყვა რუსეთის აზროვნების გავლენის ქვეშ [ხუნდაძე, 1936: 6].

შეთქმულების უმთავრესი მიზანი იყო ცარიზმის უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლება და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ქართველი შეთქმულები, ისევე როგორც რუსი დეკაბრისტები, უმთავრესად თავადაზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი. ისინი ვარაუდობდნენ, რომ აჯანყების დროს მოახერხებდნენ მთავრობის პოლიტიკის წყალობით შევიწროებული გლეხობის მიმხრობას. ამიტომ 1832 წლის შეთქმულება ძირითადად თავადაზნაურთა ვიწრო წრის შეთქმულებად რჩებოდა. ამასთან, რაკი ქართველმა შეთქმულებმა იცოდნენ, რომ მათი მიზნის განსახორციელებლად საკუთარი ძალები არ ეყოფოდათ, ცდილობდნენ, დახმარება მიეღოთ გარედან.

გარეშე ძალთა შორის ქართველ შეთქმულთა გეგმებში საპატიო ადგილი ცარიზმის მიერ შევიწროებულ პოლონელებსაც ეკავათ.

გადმოსახლებულ პოლონელთა ურთიერთობა ქართველ შეთქმულებთან ფართო თემაა. მაგრამ ცალკე ყურადღების ღირსია საქართველოს ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორის პეტრე ზავილეისკის პიროვნება, რომლის მონაწილეობაზე შეთქმულებაში სხვადასხვა აზრი არსებობს. ქართველი შეთქმულები დაკითხვის დროს ხშირად ახსენებდნენ პოლონეთის აჯანყებას, მაგრამ ზოგიერთი შეთქმული საქმის არსს ისე წარმოგვიდგენდა, თითქოს პოლონეთის აჯანყების შესახებ დაწვრილებით არაფერი იციან და მხოლოდ ზერელე წარმოდგენა აქვთ მასზე. თუმცა, შეთქმულთა დაკითხვის ოქმებში დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ სხვათა შორის ნახსენებ „პოლონეთის აჯანყებასა“ და „პოლშის ბუნტში“, ამ მოვლენათა გამომწვევი მიზეზების საფუძ-

ვლიანი ცოდნა იმალება [გოზალიშვილი, I, 1935: 27-53; II, 1970: 22-24; სურგულაძე, 1968; ნიკოლაიშვილი, „მაცნე“ №2, 1967: 65-81]. ზოგიერთი მოსაზრება და მოღწეული ცნობა ისეთ სურათს სახავს, თითქოს პოლონელებთან შეთქმულთა ურთიერთობა საცილობელი არ უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა და აერთიანებდა მაშინდელი ქართველი თავადაზნაურობის საუკეთესო ნაწილს, მეფის მთავრობამ სულ ადვილად შეძლო ფარული საზოგადოების ორგანიზაციის განადგურება და ერთი დაკვრით ბოლო მოუღო შეთქმულთა ბრძოლას. იმისთვის, რომ დაეფარა მოძრაობის ნამდვილი მიზეზი – უკმაყოფილება და მღელვარება ქვეყნის შიგნით, მთავრობამ სიმძიმის ცენტრი რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილებზე გადაიტანა და ყველაფერი მათ მიაწერა, ხოლო ქართველ შეთქმულთა გულუბრყვილო, ურთიერთსაწინააღმდეგო საპირისპირო პასუხებს უყურადღებოდ სტოვებდა და ამით შეთქმულთა უმრავლესობას „თავის გამართლების“ საშუალებას აძლევდა. საკმაოდ ცნობილია სამხედრო მინისტრის ჩერნიშოვის წერილი ბარონი როზენისადმი: „განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მეხილა თქვენი დარწმუნება იმაში, რომ ქართველ თავადაზნაურობას არა აქვს მიდრეკილება ბოროტგანმზრახველობისადმი, რომელიც გამოიჩინეს დამნაშავეებმა მისი წრიდან და რჩება რა მთავრობისადმი სათანადო მორჩილებაში, გულმოდგინედ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ეჭვი არ არის, რომ თავადაზნაურობის საღად მოაზროვნე ნაწილს არ შეუძლია ისურვოს თავისი პოლიტიკური მდგომარეობის შებღალვა და ის გულწრფელად მადიდებელი უნდა იყვეს რუსეთისა“ [Акты VIII, 1881: 292-293]. ქართველ შეთქმულთა პოლონელებთან კავშირ-ურთიერთობაზე ეჭვი საგამომძიებლო კომისიასაც აღძვრია. დამნაშავეებისადმი დასმულ მრავალ სხვა კითხვასთან ერთად ერთერთი ასეთი კითხვაც იყო: „გამოაცხადეთ, რა კავშირი ჰქონდა ვარშავის, ან პოლონეთის მცხოვრებთან და სახელდობრ ვისთან“ [საქ. ცია, ფ. 1457, ს. 3: გვ. 372]. საგამომძიებლო კომისიის წევრის ჩავკინის დასკვნით, ქართველ შეთქმულებს

პოლონეთის აჯანყებულებთან არავითარი ორგანიზაციული კავშირი არ ჰქონიათ და თითქოს არც პოლონეთის აჯანყების ფაქტს ჰქონდა მნიშვნელობა შეთქმულთათვის.

მართალია, პოლონეთის აჯანყებასთან ორგანიზაციული კავშირის დამადასტურებელი პირდაპირი დოკუმენტები არ არსებობს, მაგრამ პოლონეთის აჯანყებასთან კავშირი სადავო არ უნდა იყოს. პოლონეთის აჯანყებისადმი ქართველ შეთქმულთა ყურადღება შემთხვევითი არ იყო. პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყებას უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. პროგრესულად მოაზროვნე ევროპა ამ აჯანყებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო პოლონელთა პირველი დიდი ემიგრაცია დასავლეთ ევროპაში. აჯანყების ლიდერები და მსხვილი შლიახტა საფრანგეთში გაიხიზნა [Польская эмиграция... 1866; Берг 187]. ნიკოლოზ I-მა შეპყრობილი აჯანყებულები რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებში გადაასახლა. გადასახლებულთა ადგილ-სამყოფელი რუსეთის აღმოსავლეთი გუბერნიები (ციმბირი, ჩრდ. ყაზახეთი) და კავკასია იყო [Вейденбаум 1801: 229]. აღმოსავლეთ გუბერნიებში გადმოსახლებულ პოლონელთა მოღვაწეობა არც საბჭოთა და არც პოლონურ ისტორიოგრაფიაში ჯერჯეობით სათანადოდ შესწავლილი არ არის [Сапаргалиев, Дояков 1971]. 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის ფონდში (საქ. ცია), მოსკოვის არქივებში (ЦГАОР, ЦГВИА), ლენინგრადის, ვილნიუსისა და სხვა ქალაქების ცენტრალურ ისტორიულ არქივებში გვხვდება ცნობები, რომლებიც გვაძლევენ საფუძველს, ვამტკიცოთ, რომ ქართველი შეთქმულები ცდილობდნენ აჯანყების დროს გადმოსახლებული პოლონელების გადმობირებას. გადმოსახლებულ პოლონელთა გარდა, თბილისში იყვნენ ის პოლონელებიც, რომლებიც რუსეთის ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატში მსახურობდნენ და ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავათ. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი პეტრე დემიანის ძე ზავილეისკი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართველი შეთქმულები საგამომძიებლო კომისიის წინაშე არა მარტო ზერელე, ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხებით კმაყოფილდებიან, არამედ ხშირად ერთი და იგივე პირის ერთ საკითხზე სხვადასხვა დროს გაცემული პასუხები ზოგიერთი დეტალის გარდა საკმაოდ განსხვავებულია. ამან განაპირობა 1832 წლის შეთქმულების შესახებ არსებული ურთიერთგამომრიცხავი და განსხვავებული შეხედულებების არსებობა.

მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ამსახველი სპეციალური გამოკვლევა არ არსებობს, მით უმეტეს არ არსებობს ცნობები პ. ზავილეისკის 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ [ნიკოლაიშვილი 1967]. მაგრამ ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი რამდენიმე წერილი და საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებული მონოგრაფიები შეიცავენ გარკვეულ მასალებსა და ცალკეულ მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინება თუნდაც ნეგატიურისა, გარკვეულწილად შუქს ჰფენს აღნიშნულ საკითხს. დახმარება გაგვიწია თვით ამ თვალსაზრისმაც კი, რადგან გვაიძულა მასალისათვის კრიტიკული თვალით შეგვეხედა. აქ, რა თქმა უნდა, 1832 წლის შეთქმულების ისტორიასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაო ლიტერატურა დაგვიგროვდა. თუმცა რევოლუციამდელ მკვლევარებს 1832 წლის შეთქმულების ისტორია საგანგებოდ არ შეუსწავლიათ, მაგრამ მაინც აქვთ გამოთქმული ცალკეული მოსაზრებანი ამ საკითხზე [ჭავჭავაძე III, 1953: 203-204; ჟორდანია 1922: 57; აბაშიძე, „მოამბე“ №1, 1905. ჯორჯაძე V, 1914: 199; Хаханов 1906: 29].

1933 წელს გამოვიდა ფ. მახარაძის „საქართველო XIX საუკუნეში (მოკლე ისტორიული ნარკვევი)“. ფ. მახარაძის ამ ნაშრომში 32-იანელთა გამოსვლა უარყოფითადაა შეფასებული და მიჩნეულია „ფეოდალური მონარქიზმის“ გამოვლინებად [Махарадзе 1933: 56]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფ. მახარაძის მცდარმა შეხედულებამ (იქნებ ნაწილობრივ ი. ბ. სტალინის წერილის უმართებულო გაგებამაც) განაპირობა შ. ჩხეტიას უმართებულო რეცენზია, რომელ-

შიც პროფ. გ. გოზალიშვილის „1832 წლის შეთქმულებას“ (ტ. 1) უმართებულო შეფასება მისცა, ხოლო უცხოელთა მონაწილეობის საკითხი ეჭვის ქვეშ დააყენა [ჩხეტია, „მნათობი“ №12, 1935: 236-244].

ფ. მახარაძისავე გავლენით ა. ქუთელია 1832 წლის შეთქმულებას „ანტიხალხურ, რეაქციულ შეთქმულებად“ აცხადებდა, ხოლო პოლონელ აჯანყებულებთან თუ გადმოსახლებულ აჯანყების მონაწილეებთან კავშირზე უარყოფითად პასუხობდა. მ. გოცაძე 1832 წლის შეთქმულებას „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის გამოვლინებად“ აცხადებდა. თუმცა ავტორმა საგანგებოდ გამოჰყო შეთქმულებიდან ს. დოდაშვილი, რომელიც დემოკრატად და რესპუბლიკური მმართველობის მომხრედ აღიარა. რაც შეეხება პ. ზავილეისკის, მას შეთქმულების წევრად არ თვლის. მისი აზრით, ის „პოლონეთის აჯანყების ხელმძღვანელთა რწმუნებულის როლს ასრულებდა. რამდენადაც პოლონეთის საქმეში საფრანგეთის აგენტურა იყო ჩართული, ფრანგების ქართველ შეთქმულებთან ურთიერთობით ქართველები შეიძლება პოლონელ შეთქმულებთანაც ყოფილიყვნენ დაკავშირებული“ [გოცაძე 1955].

მე-19 საუკუნის 30-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიას საყურადღებო ნაშრომი უძღვნა პროფ. ა. სურგულაძემ წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“. ამ წიგნში ცალკე თავი ეხება 1832 წლის შეთქმულებას. ავტორის მიერ მართებულადაა შეფასებული 32-იანელთა კრედო, რომელმაც მიუხედავად დამარცხებისა, ღრმა კვალი დატოვა ქართველი ეროვნული ინტელიგენციის ცხოვრებაში და რომელმაც სათავე დაუდო იმ მძლავრ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველი ხალხის იდეური ცხოვრების ნიშანსვეტი გახდა. პროფ. ა. სურგულაძე ვარაუდს გამოთქვამს, იმის თაობაზე, რომ ზავილეისკი, როგორც მაღალი თანამდებობის პირი, ცხადია, არ იყო გათქვეფილი შეთქმულთა მასაში და დაკავშირებული იყო მხოლოდ ხელმძღვანელ ბირთვთან [ხაჭაპურიძე II, 1958: 195; 1950: 147, 174].

გ. ხაჭაპურიძე თავგამოდებით ცდილობს უარყოს ქართველ შეთქმულებთან პ. ზავილეისკის კავშირი.

დასახელებულ ავტორთაგან მხოლოდ ზოგიერთი შეეხო ფართოდ ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობასთან პოლონელთა დამოკიდებულების საკითხს. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს გ. გოზალიშვილის სამტომიანი პუბლიკაცია და ნ. ნიკოლაიშვილის სტატია 1832 წლის შეთქმულების შესახებ.

როგორც ცნობილია, საგამომძიებლო კომისიამ გამოძიების პროცესში დაკითხულთაგან გამოჰყო 145 კაცი, რომლებიც დანაშაულის მიხედვით დაჰყო ათ ჯგუფად. მე-8 ჯგუფში სხვა პირებთან ერთად დასახელებულია საქართველოს ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი პ. ზავილეისკი. ეს ის პირები იყვნენ, „ვისზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა, რომ მათ ან იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ან მათ თანაუგრძნობდნენ“.

პ. ზავილეისკის ბიოგრაფიის შესახებ ჯერჯერობით სხვა ცნობები, გარდა 1832 წლის მასალებისა, არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე ცნობებს, რომლებიც ეხება მის საქართველოში ჩამოსვლას, სახაზინო ექსპედიციის უფროსად დანიშვნას და აქედან საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის პოსტზე დაწინაურებას [ცია ფ. 2, ს. 2102, ფ. 1-3; ს. 2129, ფ .1-5; ფნ. 2340, 1-12; კავ. არქ. კომ. აქტ, 1878: 19-20].

შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ალ. ორბელიანი (ქართველთა პესტელი) 1833 წლის 15 თებერვალს საგამომძიებლო კომისიას უჩვენებდა: „წარსულს 1831-სა წელსა, ოდესცა მოვიდა ანბავი პოლშამ იბუნტაო და რამოდენიმე ხანი გავიდა, გაზაფხული იწყებოდა, მაშინ, ერთ ღამეს, მეთერთმეტე საათი იქნებოდა, შინათგან კარზე გამოველ, საჭიროებისათვის, თულუფით და ოდესცა კიბიდგან ძირს ჩამოველ, ერთი ხმა მამესმა რუსულად, კნიაზი სოვეტნიკ ორბელიანოვი შინ არისო, მე უთხარი ვინა ხარ მეთქი, – ღუბერნატორმა დაგიბარაო – საჩქაროთ ჩავიცვი და წავედი. ოდესცა მივედი თავის სამწერლო სტოლს წინ უჯდა, მითხრა დაჯექიო,როცა მის სიახლოვეს დაუჯექი, – ლაპარ-

აკი დავიწყეთ – ლაპარაკს შორის მითხრა, საყვარელო ალექსანდრეო აქაც უნდა ეცადო, რომ ბუნტი მოხდესო, მე პირველად გამიკვირდა და შემდეგ, რადგანაც რომ მწყალობდა, დავიჯერე, მივუტევე კარგი მეთქი ვეცდები უთუოდ მეთქი და ავდექ წასასვლელად, მითხრა, წადით და ვინც შენიანი თავადები ან მოქალაქეები იყვნენ მოიხვიე და შემოიერთეო. მე ამის გამგონე ვიფიქრე, ამას უთუოდ ჩემგნითა სურს მოქმედება მეთქი, და წამოსვლის დროს მითხრა, მანამ აღარ დაგიბარო, ნუღარ მოხვალო – შემდეგ აღარც დავუბარებივარ და აღარც მივსულვარ“ [ცია, ფ. 1457, ს. 8: 1431; ЦГВИА ф. 1, д. 8504, ч: 103-104].

საგამომძიებლო კომისიას ალ. ორბელიანი თავს ისე უჩვენებს, თითქოს მან შეთქმულების შესახებ 1831 წლის გაზაფხულამდე არაფერი იცოდა და მხოლოდ ამ მომენტში შეატყობინა პ. ზავილეისკიმ. ცხადია, პ. ზავილეისკიმ იცოდა საქართველოში შეთქმულების მზადების შესახებ. ამიტომ მან პოლონეთის აჯანყების დროს დაავალა თავის ხელქვეითს ალ. ორბელიანს – „ბუნტი“ მოახდინეო, ვინც კი შენიანია, თავადები ან მოქალაქეები იყვნენ, მოიხვიე და შემოიერთეო.“ რა თქმა უნდა, ალექსანდრეს განცხადება, რომ მას პირველად გაუკვირდა თავისი უფროსის ეს საუბარი, მაგრამ რადგანაც სამსახურში სწყალობდა, ხათრი ვეღარ გაუტეხა და წინადადებაზე დათანხმდა. ეს „ქართველთა პესტელის“ მიერ თავის მოკატუნებას უფრო ჰგავს, ვიდრე გულახდილ აღსარებას. ასეთ საქმეზე „ხათრით“ არ თანხმდებიან. ალ. ორბელიანი არცთუ ისე გულუბრყვილო პიროვნება ჩანს, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლაზე ცარიზმის ოფიციალურ მოხელეს დათანხმებროდა, თუ ადრე კავშირი არ ექნებოდა. ძნელი დასაჯერებელია თვით ის ფაქტი, რომ მეფის გუბერნატორი თავის ხელქვეითებს ასეთ წინადადებას ასე ადვილად არ მისცემდა. საფიქრებელია, რომ პ. ზავილეისკისა და ალ. ორბელიანის (1832 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი) გაცნობა 1831 წლის გაზაფხულიდან კი არა, გაცილებით ადრე – 1828 წლიდანაა სავარაუდებელი, ე.ი. იმ დროიდან, როდესაც ზავილეისკი პირველად ჩამოვიდა საქართველოში.

განსაკუთრებით საინტერესოა ალ. ორბელიანის მეორე ჩვენება: „პირველად ამას წინათ, რომ მოვახსენე კომისიასა, მე და ზავილეისკის შეერთება, მე რომ დამიბარა, და რაც მითხრა – კვალად დავამატებ ამასთან ოდესცა ჩემი დეიდაშვილი გიორგი (გიორგი რევაზის ძე ერისთავი) მოვიდა პეტერბურგიდან, და მოსკოვში გამოველი, მაშინ ზავილეისკი ენახა და ლაპარაკს შორის ეთქო,მე მიკვირს ქართველებს ალ. ჭავჭავაძე არ უყვარსო, ასე ჰგონიათ რუსის სამსახურში არის და იმისათვის არ უყვარდეს თავისი მშობლის მამულიო, მე შენ გარწმუნებ კნიაზი რომ დიდი ერთგული და მოსიყვარულე არის თავის მშობლის მამულისაო, ეს გარემოება მე გიორგიმ მითხრა და ესეც თქო ხედავ ზავილეისკიმ რა მითხრაო, როგორ საგრძნობლად დამსცაო ამისი სიტყვამო. ოდესცა ჩემი დეიდაშვილი გიორგი ერისთავი მოვიდა ესეცა თქო, რომ ოქროპირ ბატონიშვილისა და ზავილეისკის დიდი ერთობა აქვთო, ასე რომ განუწყვეტლივ, ზავილეისკი ოქროპირ ბატონიშვილთან არისო“ [ЦГВИА, ф. 1, д. 8504: 87].

ასეთი შინაარსის წერილს წერს საგამომძიებლო კომისიის ერთ-ერთი წევრი – გრაფი ალექსანდრე ორლოვი სამხედრო მინისტრს, გრაფ ა. ი. ჩერნიშოვს [ЦГВИА, ф. 1, д. 8504: 87].

ოქროპირ ბატონიშვილი რომ შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, დღეს ლიტერატურაში ორი აზრი არ არსებობს. ეს კარგად იციან თვით საგამომძიებლო კომისიის წევრებმაც. იმავე საბუთში გრაფი ალ. ორლოვი ა. ჩერნიშოვს წერს: „კაპიტანი თავადი ჩოლოყაევი უჩვენებს, რომ მასწავლებელმა დოდაევმა განუცხადა მას, რომ შეთქმულების იდეა შთააგონა ოქროპირ ბატონიშვილმა“ [ЦГВИА, ф. 1, д. 8504: 86-87].

ოქროპირ ბატონიშვილი შეთქმულების მსვლელობისას მუდმივად მოსკოვში ცხოვრობდა. აქ გამვლელ-გამომვლელ შეთქმულებთან, ვისთანაც კი ახერხებდა, აწყობდა საუბრებს საქართველოს ბედისა და საიდუმლო ორგანიზაციის ირგვლივ. იმ ორგანიზაციის ზოგიერთ წევრს მეტად მნიშვნელოვან დარიგებას აძლევდა. ოქროპირი „დროებით“ ჩამოვიდა

თბილისში 1829 წელს და დიდმნიშვნელოვანი მუშაობა ჩააცარა შეთქმულების ორგანიზაციული და სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის. როგორც შეთქმულების მასალებით, ისევე სხვა საარქივო დოკუმენტებით მას ხელმძღვანელადაც თვლიან. საინტერესოა სწორედ ის ფაქტი, რომ პ. ზავილეისკი ახლო ურთიერთობაშია ოქროპირ ბატონიშვილთან და როგორც შეთქმულთა ჩვენებები ადასტურებენ სამსახურეობრივ საქმეებზე მიმავალი ზავილეისკი ყოველთვის ჩერდებოდა მოსკოვში, ოქროპირ ბატონიშვილთან და სხვა შეთქმულებთან თათბირობდა. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს ეჭვს – პ. ზავილეისკი მოსკოვში განგებ ხომ არ ჩერდებოდა ოქროპირ ბატონიშვილთან, როგორც ამას შეთქმულნი შვრებოდნენ. საკმაო საფუძველი არსებობს იმისა, რომ პ. ზავილეისკის შეთქმულთა მესვეურებთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში. ამიტომაა, რომ თუმცა შეთქმულთა უმეტესობა პ. ზავილეისკის პირადად არ იცნობდა, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ მისი განწყობილება.

როგორც შეთქმულების მასალებიდან ჩანს, ყოფილ თბილისის საფრანგეთის საკონსულოს მდივანს ლეტელიეს ქართველთა შეთქმულებაში თვალსაჩინო ადგილი ჰქონია. ის დაკითხული არ ყოფილა, რადგან შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე სამშობლოში წავიდა. ლეტელიეს შეთქმულებაში მონაწილეობას კი შეთქმულთა ჩვენებები ადასტურებენ. გიორგი ერისთავს ლეტელიე გაუცვნია ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთ-ერთი ყრილობის დროს, როდესაც ლეტელიე ქართულად ლაპარაკობდა საქართველოს უმწეო მდგომარეობის შესახებ და განთავისუფლებისაკენ მოუწოდებდა. მათ საიდუმლო საუბარს ესწრებოდა ერთი პოლონელი მოხელე [ЦГВИА ф. 1, д. 5404: 55-65; ция ф. 1457, ‍ س. 4: 1556]ция ф. 1457, س. 4: 1556], ხოლო დიმიტრი ორბელიანი უჩვენებს: „როდესაც გიორგი ერისთავი შვებულებაში მიემგზავრებოდა, წამოსვლის წინა დღეს ვიყავით კონსულის მდივან ფრანგ ლეტელიესთან, სადაც იგი პირველად გამაცნო გიორგიმ. მასთან იყო ერთი პოლონელთაგანი, არ ვიცი არც სახელი, არც გვარი. ეს ჩემი

პირველი შეხვედრა იყო პოლონელთან. დიდხანს გველა-პარაკა ლეტელიე ქართულად, გიორგი ერისთავს კი ფრან-გულად და საქართველოს შესახებ კი გვითხრა, რომ მთავრო-ბა მათ უსამართლოდ ექცევა, არც ცდილობს არაფრით მის განათლებას და ერთი სიტყვით სურს მისი დაქვეითება, რის გამოც საქართველომ უნდა ეცადოს თავი გაინთავისუფ-ლოს.“ [ცია ფ. 1457, ს. 4: 1556:, გოზალიშვილი 1, 1935: 46]. ზემოთ მოტანილი ცნობები ყურადღებას შემდეგ გარემოე-ბათა გამო იმსახურებენ: 1. ორივე შეთქმული, როგორც გიორგი ერისთავი, ისე დიმიტრი ორბელიანი, ხაზგასმით აღნიშნავს მოსკოვში ფარნაოზ ბატონიშვილის ბინაზე უცნობი პოლონელის თანდასწრებას მათ საუბარში. როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულების მოსამზადებელი პერი-ოდი, განსაკუთრებით კი მისი საორგანიზაციო ჯგუფის არსებობა, მეფის მთავრობამ მხოლოდ უკანასკნელ წუთს გამცემლობის შედეგად გაიგო. ასეთ საიდუმლო ორგანიზა-ციაში შეთქმულების მონაწილენი უცხო პირს არ დაისწრებდ-ნენ, და თუ ასეთი რამ მოხდებოდა, მაშინ სასაუბრო თემა აჯანყების ირგვლივ არ იქნებოდა. „ვიღაც პოლონელი მოხ-ელე“ რომ შეთქმულების მონაწილე იყო, ეჭვს გარეშეა. ესე იგი, „ვიღაც პოლონელი“ შეთქმულების აქტიური მონაწ-ილეა,რომელიც ეთანხმება „ბატონ ლეტელიეს მოსაზრებებს“ და თავისსავე აზრსაც გამოთქვამს საქართველოს შესახებ, მისი ბედისა და მომავალი აჯანყების გამო. რომ შეთქმულებ-ის აქტიური მონაწილეა, მიგვანიშნებს შემდეგი გარემოე-ბაც: საგულისხმოა, რომ შეთქმულები არ ასახელებენ „ვი-ღაც პოლონელის“ სახელსა და გვარს, ხოლო ლეტელი-ესთან საუბარში მის პიროვნებას სხვათაშორის დამსწრედ წარმოგვიდგენენ. ცნობილია, რომ შეთქმულების მონაწი-ლეებმა თავიანთ ჩვენებებში თითქმის დამალეს შეთქმულების მთავარი მომენტები და საგამომძიებლო კომისიას საქმე ისე წარმოუდგინეს, რომ თითქოს ეს შეთქმულება უნდა ყოფილიყო რეალურ შინაარსს მოკლებული აჯანყება და იგი ზერელე, ფუჭი ოცნება იყო. შესაძლებელია და დასაშ-ვები, რომ „ვიღაც პოლონელი“ (სხვათა შორის მოტანილ დოკუმენტებში გ. ერისთავისა და დ. ორბელიანის ჩვენებებ-

ში წინააღმდეგობებია) ან შეთქმულების ახალი უცნობი უცხოელი (პოლონელი) წევრია, ან პ. ზავილეისკი და „ვიღაც პოლონელი“ იდენტურები, ერთი და იგივე პირები არიან. ზავილეისკი უცხო პირი რომ იყოს და უცხო პირის თანდასწრებით აჯანყების მომზადებასა და გეგმების შესახებ ლაპარაკი რომ არ შეიძლება, ამას იგივე დიმიტრი ორბელიანის ერთ-ერთი პასუხი ამჟღავნებს: „მოსკოვში მე ვიყავი ზავილეისკისთან, ის აქებდა საქართველოსა და თავადიშვილებს, განსაკუთრებით კი ალ. ჭავჭავაძეს, რომ ის მისი მეგობარია და პატრიოტი... მან განაცხადა, რომ სურს ჩემთან გაცნობა, რადგან, როგორც ამბობდა, ჩემი ძმა ალექსანდრე მისი მეგობარია. საქართველოზე მეტი არაფერი უთქვამს, რადგან იქ უცხო პირი იყო.“

მეტად საინტერესოა პ. ზავილეისკისა და ალ. ჭავჭავაძის ურთიერთობა. რომანტიკოსი პოეტი არ უარყოფს პ. ზავილეისკისთან ურთიერთობას და მას მეგობრადაც კი აღიარებს „ყოფილ გუბერნატორ ზავილეისკის“ – აცხადებდა ალ. ჭავჭავაძე – ძალიან კარგად ვიცნობდი. პირველად ვნახე იგი კარანტინში, აბანოების კარებს იქით. გრაფ პასკევიჩის ქებამ მაფიქრებინა მისი ახლო გაცნობა და ბოლოს მასში ვპოვე რა თავისებურებანი საკადრისი კეთილშობილ და კეთილგონიერ ადამიანისა, მას საბოლოო დავუმეგობრდი“ [ცია ს. 5: ფ. 1372]. ალ. ჭავჭავაძე იმასაც აცხადებდა: „მე და ზავილეისკი მალე დავუახლოვდით ჩვენი აზრების მსგავსებისა გამო“ [ცია ს. 5: ფ. 870-876].

როგორც ცნობილია, შეთქმულებას შემუშავებული ჰქონდა აჯანყების დაწყებისა და განვითარების გეგმა, რომელსაც შეთქმულნი „პირველი ღამის განკარგულებას“ უწოდებდნენ. ეს გეგმა არის ერთადერთი გადარჩენილი საპროგრამო დოკუმენტი და იგი იასე ფალავანდიშვილის ჩვენებით შეუდგენია დიმიტრი ორბელიანს. გეგმის მიხედვით გადანაწილებული იყო საყარაულო და სხვა ადგილები, რომელიც უნდა დაეკავებინათ აჯანყების ხელმძღვანელებს თავიანთი რაზმებით. რაც შეეხება „პირველი ღამის განკარგულების“ მე-9 პუნქტს, იგი შესაკრებ ადგილად ნიშნავდა თათრის მოედანს, სადაც უნდა დაეკრა აზიურ

მუსიკას. აქ უნდა ყოფილიყვნენ: თავადი ლუარსაბ ორბელიანი, მარშალი დიმიტრი და მამუკა ორბელიანები, თავადი ლუარსაბ ერისთავი. აქვე უნდა ყოფილიყვნენ, გარდა ადგილებზე დანიშნულისა, ყველა ამ საქმის მონაწილენი. აქ უნდა შეყრილიყვნენ აგრეთვე პოლონელები – აზნაურებიცა და დაბალი წოდებისანიც და ისე უნდა ემოქმედათ, როგორც თვითონ საჭიროდ დაინახავდნენ [ცია, ფ. 1457, ს. 1: 10-12; გოზალიშვილი I, 1970; 1976]. ქართველთა შეთქმულებაში პოლონელთათვის ასეთი როლის მიკუთვნება და ნდობა სხვა არაფერია, თუ არა ქართველთა და პოლონელთა მიერ ერთობლივი აჯანყების მომზადება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრული საფუძველი არსებობს ჩაითვალოს, რომ პ. ზავილეისკი არა მარტო პირადად იყო დაკავშირებული შეთქმულებასთან, არამედ იგი უნდა ყოფილიყო საქართველოში გადმოსახლებული თუ აქ მეფის სამსახურში მყოფი პოლონელების საერთო იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელი, რომელიც აკავშირებდა პოლონელებს ქართველებთან.

პეტრე დამიანეს-ძე ზავილეისკი საქართველოში და საქართველოს გარეთ

1827 წლის მარტიდან იმპერატორმა ნიკოლოზ I საქართველოში გამოაგზავნა კოპწია მოპოლიტიკოსო გენერალი, წარმოშობით გარუსებული პოლონელი, გენერალი ივანე თევდორეს-ძე პასკევიჩი. პასკევიჩები წარმოშობით საშუალო აზნაურულ ფენას განეკუთვნებოდნენ. მოგილიოვის გუბერნიიდან საქართველოში ჩამოსვლის დროს ი. პასკევიჩი უკვე ინფანტერიის გენერალია და უმაღლეს მმართველობაში კარგი რეპუტაციით სარგებლობს [Берг 1873: 30]. სწორედ ამან განაპირობა მისი დანიშვნა ბობოქარი ერმოლოვის ადგილზე. ჩამოსვლისთანავე მან, როგორც ყველა დიქტატორმა, საკადრო ცვლილებებს მიმართა და თბილისური ადმინისტრაცია თავისი კადრებით გააძლიერა, რომელთა უმეტესობა წარმომავლობით პოლონელები იყვნენ. მათ შორის

აღმოჩნდა პ. ზავილეისკიც, ერთ-ერთი საინტერესო ფიგურა საქართველოს ისტორიაში. მის პიროვნებასთან დაკავშირებით მრავალი ფაქტი და მოქმედება ბურუსითაა მოსილი. თუმცა, რუსეთის იმპერიის ამ მაღალჩინოსნის მოღვაწეობა საქართველოში ბოლომდე არ არის შესწავლილი.

ქართველებზე და საქართველოზე შეყვარებული პიროვნება – ასე შეიძლება შეფასდეს მისი ადგილი და როლი საქართველოს ისტორიაში. ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომ, რისთვის ირჯებოდა რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსანი კონდოტიერი, რატომ აყენებდა თავის კარიერას ეჭვის ქვეშ, რატომ გაირთულა საქმე ბიუროკრატიულ აპარატთან, ან რატომ აღმოჩნდა ბოლოს სასამართლოს წნეხის ქვეშ. მართალია იგი გაამართლეს და ამ გამართლებას ადასტურებდა თვით ხელმწიფე იმპერატორი თავისი ხელმოწერით. ქართულმა ისტორიოგრაფიამ უმნიშვნელო როლი მიანიჭა პ. ზავილეისკის 1832 წლის შეთქმულებთან ურთიერთობაში, მკვლევართა უმეტესობამ კი იგი მექრთამედ და კარიერისტად გამოიყვანა, თუმცა რა გასაკვირია, მათი „შემოქმედებითი გენია“ მხოლოდ „მუშათა“ და „გლეხთა“ მზრუნველობაზე იყო გადასული და 1832 წლის შეთქმულება კი „ქარაფშუტა თავად-აზნაურულ შეთქმულებად“ უნდა მონათლულიყო. როგორც აღინიშნა, რუსული ადმინისტრაცია და ზედა ეშელონები გააოგნა ცნობამ თბილისში აჯანყების გახსნის თაობაზე. შეიქმნა საგამომძიებლო კომისია, რომელსაც გენერალ-მაიორი ჩევკინი თავმჯდომარეობდა. პეტერბურგიდან სპეციალურად გამოგზავნილი და სათანადო ინსტრუქტაჟით დამოძღვრილი პირი, საქართველოს მთავარმართებელი ბარონი როზენი 1832 წლის 14 დეკემბერს სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვს უგზავნის შემდეგი შინაარსის პატაკს: „აღნიშნული საქმე რამდენიმე პირის ბოროტ ზრახვას წარმოადგენს და არ ეხება მთელ თავად-აზნაურობას, რომელიც აღშფოთებულია იმით, რომ აიძულა ხელისუფლება მიეღო მკაცრი ზომები დატუსაღებულთა მიმართ“ [ЦГВИА ф 1, о. 1, д 1: 1-2]. ბარონი როზენი გამოცდილი ჩინოვნიკია. იგი არა მარტო რუსული კანონების ბრმად გამტარებელია, არამედ სამხრეთ კავკასიის ხალხთა

ფსიქოლოგიის კარგი მცოდნეც. ი. პასკევიჩისგან განსხვავებით, იგი დიპლომატიური თამაშით ცდილობს ქართველებთან კონტაქტის დამყარებას და პრაქტიკულად ახორციელებს მას. ბარონი როზენი მ. ვორონცოვის წინამორბედადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. იგი პირველი მმართველია, რომელიც ქართველებთან უშუალო კონტაქტებზე გავიდა და ამით ცდილობდა მხარდაჭერის მოპოვებას. 32-იანელთა საქმის წამყვანი რუსეთის უმაღლეს ინსტანციებში სხვადასხვაგვარ ინფორმაციებს გზავნის. სულ სხვაა საქართველოს ისტორიულ არქივში დაცული როზენის პატაკების პათოსი. უფრო ზუსტი და შემაშფოთებელია სამხედრო-ისტორიულ არქივში, ბარონ როზენის პირად ფონდში არსებული, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი გაგზავნილი პატაკები. როზენმა შესანიშნავად გაართვა თავი 32-იანელთა შეთქმულების საიდუმლოს. მაგრამ მას, როგორც ოფიციალურ პირს და ფაქტიურად თავმჯდომარეს, პეტერბურგიდან გამოგზავნილი ჩინოვნიკის – გენერალ ჩევკინის ინსტრუქციით უნდა ემოქმედა, იმიტომ რომ ასე იყო საჭირო. სიმართლე მხოლოდ არაოფიციალურად შიდა სამზარეულოს პროგატივას წარმოადგენდა და იგი ოფიციალურად არ უნდა გამჟღავნებულიყო. აი, საიდან მოდის ქართველი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილის თავქარიანობისა და ამდენად, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული „თავადაზნაურული ვიწრო წრის შეთქმულების“ წინასწარ გამიზნული და ჩამოყალიბებული, ბრმად მოცემული თეზისი. ქართველი ხალხის თავქარიანობის შესახებ იდეა შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებმა აიტაცეს და შესანიშნავად იყენებდნენ მას ქართველი ხალხის დასამცირებლად. ამ აზრს იმეორებენ როგორც მეფის რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფები, ასევე ბოლშევიკურ-საბჭოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებიც. საიდუმლო პატაკები, გაგზავნილი ძალოვანი მინისტრებისადმი, მრავალია და ინახება რუსეთის არქსაცავებში.

გამოძიებასთან დაკავშირებული მასალები, სიმწირის მიუხედავად, მაინც იძლევა გასაღებს, რათა ღრმად და ობიექტურად იქნეს წარმოჩენილი 1832 წლის შეთქმულებაში პ.

ზავილეისკის როლი და მოღვაწეობა საქართველოში ყოფნის პერიოდში 1827-1832 წლებში და ის, თუ რა ბედი ეწია მას საქართველოდან წასვლის შემდეგ.

როგორც აღინიშნა, პ. ზავილეისკი ი. პასკევიჩის გუნდის წევრია. იგი უნდა დაბადებულიყო 1798 წლის ახლო ხანებში. თავდაპირველად მას სამხედრო საქმისთვის ამზადებდნენ, მაგრამ „თავისიანების ინტერესთა გათვალისწინებით იგი გადავიდა სამოქალაქო საქმეებში და შევიდა ფინანსთა სამინისტროს უწყებაში, სადაც დაევალა კონტროლის ფუნქციები. ახალგაზრდა მოხელემ უცბად გამოამჟღავნა თავისი ნიჭი და პატიოსნება“ [Мемуары ... 1968]. ახალგაზრდა ზავილეისკიმ მუშაობის პერიოდში გამოიჩინა დიდი ნებისყოფა და ერთგულება, როდესაც მან გამოავლინა კონტრაბანდისტთა ბანდა, რომელიც მოქმედებდა რუსეთის სახელმწიფოს დასავლეთ საზღვარზე, ქ. რაძივილისა და ზელვახის მიდამოებში. „საიდუმლო ექსპედიციის“ უფროსად დანიშნულმა ახალგაზრდა პ. ზავილეისკიმ უმოკლეს დროში შეძლო კონტრაბანდისტების ნეიტრალიზაცია და სახელმწიფო ხაზინაში შეიტანა ორი მილიონი მანეთი. ამის გამო მებაჟეები და ვაჭრები, რომლებიც მდიდრდებოდნენ არაკანონიერი სავაჭრო ოპერაციებით, რამდენჯერმე ეცადნენ მის მოწამლვას. ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციამ დააფასა საქმის ერთგულად და უმწიკვლოდ დამთავრება და პ. ზავილეისკი ორდენითა და 300 ათასი მანეთით დააჯილდოვა. ეს მოხდა 1825 წელს [ზავილეისკი 1968: 232-233, ანდრონიკოვი 1968: 217:].

1827 წლიდან პ. ზავილეისკი უკვე საქართველოშია. მუშაობას იწყებს სახაზინო ექსპედიციის უფროსად. მან აქაც გამოამჟღავნა თავისი ნიჭი. ვ. ზავილეისკის მემუარების განხილვისას ირ. ანდრონიკაშვილის (ანდრონიკოვი) მოჰყავს საინტერესო ფაქტები პ. ზავილეისკის სახაზინო ექსპედიციის უფროსად მუშაობის შესახებ: „მემუარების ავტორი არ აგვიწერს ბიძის, პ. ზავილეისკის სახაზინო ექსპედიციაში მოღვაწეობას, მაგრამ ჩვენ დავადგინეთ სხვადასხვა წყაროთი და დოკუმენტით, რომ ეს იყო ჭაბუკი ზავილეისკის მეტად შრომატევადი სამუშაო სტატისტიკური

გაანგარიშებებითა და ამიერკავკასიის ფინანსური მოწესრიგების სფეროში. მან დაიწყო იმით, რომ მისდამი დაქვემდებარებულმა უწყებამ მთლიანად შეისწავლა საფინანსო და სტატისტიკური, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, ამიერკავკასიის პროვინციების კამერული აღწერა – ამით მას სურდა გამოერკვია მხარის ბუნებრივი რესურსები, პერსპექტივები, მათი ეკონომიკური განვითარების პირობები, ადგილობრივი მოსახლეობის რიცხობრიობა და მოთხოვნილება, სიღარიბის დაძლევის პერსპექტივები [ანდრონიკოვი 1968: 218; Колониальная политика... 1936, 1б: 247-248]. პ. ზავილეისკის ყოველივე ეს ზედმიწევნით ფართო მასშტაბურობითა და საქმისადმი დიდი ცოდნის მიდგომით გაუკეთებია. ამ საქმეს ზედამხედველობას უწევდა იმპერიის ფინანსთა მინისტრი – გრაფი კანკრინი [ცია. ფ. 2, № 1812; ანდრონიკოვი 1968: 217. Обозрение Росс. Влад... 1836:. 11, 14-15]. აღნიშნული ინიციატივის თანაავტორი იყო ალ. გრიბოედოვიც, რომელსაც პ. ზავილეისკი ხელმეორედ შეხვდა თბილისში. ისინი ჯერ კიდევ პეტერბურგში ფიქრობდნენ „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის“ გეგმაზე, რომელიც უფრო დეტალურად თბილისში განიხილეს [Нечкина 1951: 537-545; Маркова т. 6, 1951стр. 341]. აღნიშნული პროექტით კომპანიას უნდა დაეწყო ვაჭრობა რუსული და საზღვარგარეთული საქონლით და დაეარსებინა სამხრეთ კავკასიაში პირველი ფაბრიკა-ქარხნები – შაქრის, მაუდის, ტყავისა და შუშის ტარის; განევითარებინა მევენახეობა, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა; მოეყვანა ბამბა, თამბაქო და ა.შ. პროექტის ავტორები ითვალისწინებდნენ გზების გაყვანას, სკოლების გახსნას, სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვას. მათი აზრით, მთავრობას ამ პროექტისათვის უნდა გამოეყო 120 ათასი დესეტინა მიწა არენდით, შედავათიანი ტარიფით. კომპანიას უნდა მიეღო მონოპოლია თავისუფალ ნაოსნობაზე – ამისთვის რუსეთს თურქებისათვის უნდა ჩამოერთმიათ ბათუმი. დაპირისპირება მოხდა პროექტის ავტორებში სამუშაო ძალის საშუალებებთან დაკავშირებით. ა. გრიბოედოვის აზრით, რასაც იმპერიული აზრი და თვით

ი. პასკევიჩიც ეთანხმებოდა, სამუშაო ძალად უნდა გამოეყენებინათ გადმოსახლებული და საქართველოს ტერიტორიაზე ჩასახლებული სომხები, ასევე რუსი გლეხობა, რომლებიც განთავისუფლებული იყვნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, მაგრამ მათ ფულადი ანაზღაურებით კომპანიის სასარგებლოდ 50 წელი უნდა ემუშავათ. კომპანიის წესდება ითვალისწინებდა ადმინისტრაციული და დიპლომატიური სამართალის დაწესებას როგორც გზების უსაფრთხოებაზე, ასევე ბათუმის პორტზე უნდა შექმნილიყო სპეცრაზმი. აღნიშნული პროექტის ანალოგს წარმოადგენდა ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების აყვავებული ეკონომიკა. კომპანიას უნდა შეესრულებინა შუამავალის როლი მსოფლიო ვაჭრობაში ევროპასა და აზიას შორის. ალ. გრიბოედოვის აზრით, კომპანიის აქციონერები უნდა ყოფილიყვნენ სამხრეთ კავკასიის მემამულენი, ვაჭრები და რუსი ჩინოვნიკები, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გრიბოედოვ-ზავილეისკის პროექტით“ იცვლებოდა საქართველოსა და არა მარტო საქართველოს ეკონომიკური სურათი, რაც მისი საწარმოო ძალების განვითარებაზე მიუთითებდა. ყოველივე ეს გადმოცემული იყო „მჭერმეტყველებით და ამაღლებული კალმით“ [Грибоедов 1953: 614-620; Нечкина 1951: 537, 545; Муравьев-Карский 1, 1894: 891]. გრაფმა ი. პასკევიჩმა არ მიიღო ეს პროექტი, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა რუსული იმპერიალიზმისა და ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის ინტერესებს კავკასიაში არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. აღნიშნული კომპანიის მაგიერ თბილისში დაფუძნდა 1831 წლისთვის „ამიერკავკასიის სავაჭრო კომპანია“, რომელიც ვაჭრობდა სპარსეთთან და კავკასიის პროვინციებთან მხოლოდ რუსული საქონლით. ამ კომპანიაში პ. ზავილეისკი მცირე ხნით ირიცხებოდა მზრუნველზედამხედველად [თბილისის უწყებები 1831: №№ 12, 13, 24; Маркова 31951: 42; ანდრონიკოვი, 1968: 218]. არსებობს მოსაზრება, რომ თითქოს პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა ა. გრიბოედოვის სიკვდილმა და ის სპარსეთიდან ცოცხალი რომ დაბრუნებულიყო, პასკევიჩი პროექტს ხელს

მოაწერდა. მაგრამ ეს პროექტი ი. პასკევიჩ-გრიბოედოვის დონეზე არ წყდებოდა. რუსეთის ბიუროკრატია სრულებით არ ზრუნავდა მხარის აყვავების პერსპექტივებზე, სამაგიეროდ ახორციელებდა იმ პროექტებს, რომლებიც საქართველოს სამუდამო ჩამორჩენას უქადდა, რადგანაც მეფის ბიუროკრატია საქართველოს განიხილავდა, როგორც რუსეთის მრეწველობის ნედლეულის ბაზას. პ. ზავილეისკის კარიერა თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდებოდა: 1828 წლის 25 აპრილს ის დაუნიშნავთ ვიცე-გუბერნატორად საფინანსო ნაწილში [ცია ფ. 2, ს. 2340: ფურც. 1-16], ხოლო 1829 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებით საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ხოვენი გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან და მის მაგივრად პ. ზავილეისკი დაუნიშნავთ, ამავე დროს ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის ჩინიც უბოძებიათ [ცია ფ. 2, ს. 2340: 10]. პ. ზავილეისკის აჯანყებულებთან სავარაუდო კავშირი ზემოთ იყო წარმოდგენილი. იგი გვევლინება აჯანყების თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად, რასაც ადასტურებენ თავიანთ პატაკებში როგორც ბარონი როზენი, ასევე სანქტ-პეტერბურგიდან სპეციალური მისიით ჩამოსული გენერალი ჩევკინი. თბილისიდან გაგზავნილი პატაკების საფუძველზე მაშინდელი სამხედრო მინისტრი ა. ჩერნიშევი შემდეგი შინაარსის წერილს სწერდა ბარონ როზენს 1833 წლის 3 თებერვალს: „ხელმწიფე იმპერატორმა განიხილა რა თქვენს მიერ გადმოგზავნილი შეთქმულების მონაწილეთა ჩვენებები, ოქროპირ ბატონიშვილთან ერთად, რომელიც აღიარეს ქართველ შეთქმულთა მთავარ დამნაშავედ, ასევე ფეხოსანთა პოლკის პორუჩიკი თავადი გრიგოლ ორბელიანი, რომელშიაც იგი იღებდა მონაწილეობას. ამავე საქმეზე არიან მხილებულნი: დიმიტრი ბატონიშვილი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, ყოფილი გუბერნატორი პ. ზავილეისკი, მეხუთე დეპარტამენტის თანამშრომელი სახელმწიფო სენატში, კანცელარისტი დოდაშვილი და ფრანგი ლეტელიე. მისმა უმაღლესობამ ინება: სანქტ-პეტერბურგში მყოფი ზოგიერთი პირის მიმართ დაწესდეს საიდუმლო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნული იქნება გენერალ-ადიუტანტი

გრაფი ორლოვი“ [ЦГВИА 1., ს. 8504, ნ. 2, ფ 6]. როგორც ა. ჩერნიშევის წერილიდან ჩანს, პატაკებს ეცნობოდნენ უმაღლესი ჩინოსნები და თვით იმპერატორიც. წერილის შინაარსი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ის ნათელს ჰფენს მრავალი მკვლევარისთვის მეტად საჭოჭმანო საკითხს, თუ სად ჩამოყალიბდა შეთქმულება და ვინ შედიოდა მთავარ ბირთვში, ვინ აყალიბებდა შეთქმულთა იდეებს. აქ ნათლად გამოჩნდა პ. ზავილეისკის ფიგურა, რომლის შესახებ შეთქმულებაში მონაწილეობის ირგვლივ კარდინალურად განსხვავებული შეხედულებებია. მკვლევართა ნაწილი, რომელიც 32-იანელთა შეთქმულების საკითხებს შეეხო, პ. ზავილეისკიზე ან არაფერს წერდა, ან უარყოფით დახასიათებასთან ერთად გამორიცხავდა მის შეთქმულებთან კავშირს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სწორედ სამხედრო მინისტრის ამ წერილის შემდეგ იწყება შეთქმულთა მიმართ ლოიალური დამოკიდებულება და რაც მთავარია,ბრძოლა მათი გამართლებისთვის.

მკვლევარები სათუოდ ხდიან ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობას 1832 წლის შეთქმულებაში და ალ. ჭავჭავაძე-პ. ზავილეისკის თანამშრომლობა-მეგობრობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებენ. მათი ურთიერთობა და შეთქმულებთან კავშირი ნათლად ჩანს საქართველოს საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტებში და გ. გოზალიშვილის პუბლიკაციებში. ალ. ჭავჭავაძე რომ შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილეა და უშუალოდ ზავილეისკისთან აქვს კავშირი, ნათლად ჩანს ჟანდარმერიის შეფის, გრაფ ბენკენდორფისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსიდან: „გენერალი ჩევკინი თბილისიდან გამოგზავნილ რაპორტში იტყობინება, რომ თბილისში მიღებული ფოსტით, რომელიც თავად ალ. ჭავჭავაძის სახელზეა გამოგზავნილი, მოსკოვში მცხოვრები ვიღაც ქართველის – ავალოვისაგან, ჩანს, რომ მან წერილი მისწერა ზავილეისკის (კონვერტზე ავალოვის სახელია მითითებული) და ეს უკანასკნელი უგზავნის წერილს ალ. ჭავჭავაძეს. წერილში ბატ. ზავილეისკის სახელი უმნიშვნელოდ მოიხსენიება.

გენერალ-მაიორ ჩევკინის მოსაზრებით, ზავილეისკი ამ ფორმით აწარმოებდა მიმოწერას ჭავჭავაძესთან. მათ შორის შუამავალი ვიღაც ავალოვი იყო. კაპიტანმა ჩოლოყაშვილმა აჩვენა, რომ თბილისში დაბრუნებისას იმ წერილების ნუსხაში, რომლებიც მან ჩამოიტანა, იყო ჭავჭავაძის სახელზე გამოგზავნილი წერილიც, რომელიც მას გამოუგზავნა მოსკოვიდან ავალოვმა. „გაძლევთ რა აქ ცნობებს ზავილეისკის შესახებ, მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, რომ იცოდეს ეს თქვენმა კეთილშობილებამ“ – წერს სამხედრო მინისტრი, გრაფი ჩერნიშევი ჟანდარმერიას სანქტ-პეტერბურგში 1833 წლის 21 თებერვალს [ЦГИА ფ. 1, ს. 8504, ნაწ. 2: 91]. რატომ მოქმედებდა ასე კონსპირაციულად ალ. ჭავჭავაძე, ან რა საიდუმლო ჰქონდა ზავილეისკის ასეთი, რომ ალ. ჭავჭავაძესთან ურთიერთობა ვიღაც მოსკოველი ავალოვის შუამავლობით უხდებოდა? რა საჭირო იყო მათ შორის შუამავალი, როცა პ. ზავილეისკი ალ. ჭავჭავაძის მეზობლად ერთ სახლში, ერთ სართულზე ცხოვრობდნენ (დღევანდელი იუსტიციის სამინისტროს მიდამოებში). კითხვას სხვა პასუხი არ გააჩნია – მათი მიმოწერა შეთქმულებას შეეხებოდა. მოსკოვის სამხედრო-ისტორიული არქივის როზენის ფონდიდან ერთი საინტერესო ჩანაწერია ზავილეისკის შესახებ, რომელიც ჟანდარმერიიდან მოსულ მასალებიშია ჩართული. როგორც ჩანს, საგამომძიებლო კომისიამ მოსთხოვა ჟანდარმერიას პ. ზავილეისკის დოსიე. დოსიეში წერია: „ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი, 1829 წელს განმწესებული იქნა ამ თანამდებობაზე გრაფ პასკევიჩის რეკომენდაციით. 1831 წლის მაისში, მისი ბრწყინვალების წარდგენით გულმოდგინე სამსახურისთვის მიენიჭა ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის წოდება. ზავილეისკი არის პიროვნება ჭკვიანი და შემოქმედებითი, თავისი ერთგულებით მან სწრაფად დაიმსახურა პასკევიჩის მფარველობა. ის ძალიან კარგ დამოკიდებულებაში იმყოფება გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძესთან და, როგორც ლაპარაკობენ, ხელს სთხოვდა მის ქალიშვილს, გრიბოედოვის ქვრივს“ [ЦГИА ფ. 1, ს. 8504, ნაწ. 2: 34].

ჟანდარმერიის მიერ შექმნილ დოსიეში ფაქტიურად ზავილეისკის დანიშვნისა და განთავისუფლების ისტორიაა გადმოცემული. თანაც, ერთი მეტად საინტერესო ფაქტია მოცემული – ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას თაყვანისმცემელთა (ხელის მთხოვნელთა) სიას პ. ზავილეისკი მიემატა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პ. ზავილეისკის შეთქმულებაში ჩართვა ალ. ჭავჭავაძის ქალის, ნინოს სიყვარულის გამო ხომ არ მოხდა?! ამიტომ ხომ არ სჭირდებოდა შუამავლად ავალოვი? ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ სიყვარული და შეთქმულება განყენებული თემებია ერთი მეორისაგან და ერთმანეთთან არავითარი საერთო არ გააჩნია. ისეთი ფრიად ნიჭიერი და ორგანიზატორი პიროვნება, როგორც პ. ზავილეისკია, შეთქმულების ჩაშლისა და განსაკუთრებით ნინოს უარის შემდეგ ალ. ჭავჭავაძესთან მეგობრობას აღარ გააგრძელებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მივუბრუნდეთ ისევ პ. ზავილეისკის ძმისშვილის, ვასილი ზავილეისკის მოგონებებს. თავის მემუარებში ვასილი დიდად ემადლიერება ბიძამისს, რომელმაც უდიდესი ნაცნობობითა და ავტორიტეტით ხელი შეუწყო მის კარიერას. მალე საქართველოში გახსნილი იქნა ქართველ არისტოკრატთა შეთქმულება. დაპატიმრებულთა შორის იყო ალ. ჭავჭავაძეც. „იგიო – წერს ირ. ანდრონიკოვი – არ იზიარებდა შეთქმულთა ჩანაფიქრს, მაგრამ შეთქმულები გაეხსნენ მას. შეთქმულებს მან გააცნო იდეის უუნარობა და არწმუნებდა, თავი დაენებებინათ ამ უაზრო მოქმედებისათვის. თუმცა შეთქმულები მან არ გასცა. ამიტომ ის შეიყვანეს იმ სიაში, რომელიც საგამომძიებლო კომისიამ დააფიქსირა: „ვინც იცოდა შეთქმულთა ჩანაფიქრი, მაგრამ არ თანაუგრძნობდა მათ“. 1834 წელს, როცა დასრულდა შეთქმულთა გასამართლება, ალ. ჭავჭავაძე გადაასახლეს ტამბოვში ოთხი წლით და დაუწესეს ფარული მეთვალყურეობა“ [მაღლაკელიძე 1946 № 2: 245; ანდრონიკაშვილი 1968: 212; ცია, ფ. 1457, ჩვ. XVI: 525].

ამ დროისთვის პ. ზავილეისკი საქართველოდან წასული იყო. იგი პეტერბურგში იმყოფებოდა. როგორც მისი ახლო ნათესავის, ვასილი ზავილეისკის მემუარებიდან ირკვე-

ვა, 1834 წელს პეტერბურგში, თავისი ბიძის პეტრე ზავილეისკის სახლში გაუცვნია ალ. ჭავჭავაძე [ცია, ფ. 1457, ს. 164: 55-58; ზავილეისკი 1968: 212]. ისმის კითხვა: თუ ალ. ჭავჭავაძე 1834 წელს თბილისში გაასამართლეს და საგამომძიებლო კომისიამ მას ოთხი წლით გადასახლება მიუსაჯა ტამბოვში, ვ. ზავილეისკი თავის მემუარებში ან ქრონოლოგიურად ცდება, რასაც იმეორებს ირ. ანდრონიკოვი ხსენებულ სტატიაში. შეუსაბამობა გამოდის იმ მარტივი ლოგიკით, რომ 1834 წლის 18 თებერვლიდან საარქივო მონაცემებისა და ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფების გათვლით, უკვე ტამბოვში იმყოფება. გადასახლების ფურცელს ხელს აწერს თავად იმპერატორი ნიკოლოზ I [ცია, ფ. 1457, ფ. 58]. როგორ ხდება, რომ ჯერ 1834 წელს ვ. ზავილეისკი ხვდება ალ. ჭავჭავაძეს თავისი ბიძის სახლში პეტერბურგში, ხოლო 1837 წელს მ. ლერმონტოვი უკვე თბილისში მყოფი ხვდება ალ. ჭავჭავაძეს თავისსავე სახლში? საქმე შემდეგშია: ალ. ჭავჭავაძე 1834 წლის 18 თებერვალს ჩავიდა ტამბოვში და იმავე წლის მაისის დასაწყისში პეტერბურგს გაემგზავრა.

გადასახლებული კაცი ჩადის დედაქალაქში – სანკტ-პეტერბურგში. რატომ, რის საფუძველზე? – იმპერატორის დასტურით! რუსეთის არქსაცავებიდან ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძემ გადასახლებაში ყოფნის დროს ტამბოვიდან წერილი გაუგზავნა ვარშავაში მყოფ ივ. პასკევიჩს, რათა მას იმპერატორ ნიკოლოზ I-თან გაეწია რეკომენდაცია სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით. გრაფი ივ. პასკევიჩი კარგად იცნობდა ალ. ჭავჭავაძეს თბილისიდან, როგორც წესიერსა და კარგ გენერალს. მის მიერ გაგზავნილ სარეკომენდაციო წერილს იმპერატორმა ნიკოლოზმა ხელი მოაწერა, დააკმაყოფილა ადრესატის თხოვნა. ალ. ჭავჭავაძე გამოძახებულ იქნა დედაქალაქში იმპერატორთან შესახვედრად, რის შემდეგაც ის ტამბოვში დაბრუნებულა. ტამბოვიდან ჩამოსული ალ. ჭავჭავაძე ჩადის პეტერბურგში და ჩერდება პ. ზავილეისკის ბინაზე. პოეტი აფასებდა პ. ზავილეისკის ნიჭსა და პატიოსნებას „ის ყველას უყვარდა, განურჩევლად წარმომავლობისა. მას ჰქონდა საქართველოზე ყველაზე სწორი შეხედულება. მე მას დავუმეგობრდი,“ – წერს ალ.

ჭავჭავაძე [ცია, ფ. 1457, რვ. V, ფურ. 870; აქტები, VIII. 391]. როგორც ჩანს, პ. ზავილეისკი და ალ. ჭავჭავაძე ერთნაირი იდეური მრწამსის ადამიანები იყვნენ და ბევრ წამოწყებასა და პროექტში ეთანხმებოდნენ გუბერნატორს.

1829 წელს პ. ზავილეისკი სამოქალაქო გუბერნატორია. ამ დროისთვის ის ჯერ კიდევ 30 წლისაც არ იყო. მაშინდელ პირობებში საშუალო ფენის ჩინოვნიკისათვის ეს იყო თავბრუდამხვევი კარიერა. მაგრამ ორი წლის შემდეგ მოხდა საშინელი „კატასტროფა“ – „მისი უდიდებულესობის“ განკარგულებით იგი გაათავისუფლეს პოსტიდან და სასამართლოს გადასცეს [აქტები VIII, 1881: 25; ზავილეისკი : 235]. მემუარების ავტორს, ვ. ზავილეისკის მიაჩნია, რომ გუბერნატორის განთავისუფლება გამოწვეული იყო შურით და ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გენერლის პანკრატიევის დასმენით. ირ. ანდრონიკოვი ამ ვერსიას არ ეთანხმება და პ. ზავილეისკის განთავისუფლებას მის საქმიანობაში ხედავს. ივ. პასკევიჩის პოლონეთში წასვლის შემდეგ მისმა მტრებმა გაილაღეს. სწორედ ამ დროს აჯანყდა პოლონეთი. ზავილეისკი პოლონელია. მის დამბეზღებლებს ეჩვენებათ, რომ ის სპეციალურად განაწყობს ხალხს საქართველოში, რათა დააჩქაროს პოლონეთის განთავისუფლება [Колониальная политика... I, 1936: стр. 245;] პ. ზავილეისკის განთავისუფლება ფაქტიურად განაპირობა მის მიერ გაგზავნილმა მოხსენებითმა ბარათმა (რაპორტმა). რაპორტში მოცემულია ამიერკავკასიის ეკონომიკის დაცემა 1801 წლიდან და გამოთქმულია მოსაზრებები მის გასაუმჯობესებლად. პ. ზავილეისკის კავკასიური პერიოდი დამთავრდა. მისი საქმე გადაეცა სენატს. პეტერბურგში იგი გადაწყვეტილებას ელოდება. ამავე დროს საქართველოში გაიხსნა 32-იანელთა საქმე, რომელშიც ერთ-ერთ მოქმედ პირად ყოფილი გუბერნატორიცაა დასახელებული. ახალი მთავარმართებელი, ბარონი გრ. როზენი თავის გამოსაჩენად და რეპუტაციის ამაღლების მიზნით იწყებს პასკევიჩის გუნდის კრიტიკას, განსაკუთრებით მძაფრია ბარონის დამოკიდებულება გრიბოედოვ-ზავილეისკის „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის“ მიმართ. ამ კომპანიას როზენი პირდაპირ უკავშირებს

შეთქმულებას: „თუ რომ დამტკიცებულიყო გრიბოედოვ-ზავილეისკის პროექტი, მაშინ აქ, საქართველოში იქნებოდა ახალი ამერიკის შეერთებული შტატები“.. განსაკუთრებით მაშინ, თუკი მთავრობა გამოუყოფდა 120 ათას დესეტინა მიწას, როგორც ისინი ვარაუდობდნენ“. ბარონ როზენს ნაადრევად მიაჩნია კამერალური აღწერაც, რასაც უშუალოდ უკავშირებს შეთქმულების აღმოცენებას [Колониальная политика... I, 1936: стр. 245;]. საერთო დასკვნით, „პროექტი“ არის ეკონომიკური საფუძველი აჯანყებისა, ხოლო გრიბოედოვი, ალ. ჭავჭავაძე, პ. ზავილეისკი – შეთქმულების ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები. პეტერბურგში დანიშნულმა საგანგებო კომისიამ პ. ზავილეისკი გაამართლა და იგი კვლავ აღდგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროს უწყებაში, რის შემდეგ გაგზავნილ იქნა ციმბირის გუბერნიების შესასწავლად. 1834 წელს ზავილეისკი ბრუნდება პეტერბურგში და სახლს ყიდულობს ქალაქის ცენტრში („Возле церкви всех скорбящих“ – დღევანდელი ჩერნიშევსკისა და ვოინოვის ქუჩების გადაკვეთაზე). სწორედ აქ დადიოდა სტუმრად ალ. ჭავჭავაძე. ვასილი ზავილეისკის ამ სახლში გაუცვნია ჩვენი პოეტი: „...ამ სახლში კვირაობით ვსადილობდით ხოლმე. აქ გავიცანი იმპერიის გამოჩენილი პირები... თავადი ალ. ჭავჭავაძე – ქართველი გენერალი და კახეთის მფლობელი, ვასილი სიმონის ძე ლეგკობიტოვი და ნიკოლოზ კალინოვსკი, ასევე მწერალი გრიგორიევი და ლისენკო და სხვა პირებიც, რომლებიც მსახურობდნენ, ან იცნობდნენ ბიძაჩემს, როცა ის იყო საქართველოს გუბერნატორი“.

ვასილი სიმონის-ძე ლეგკობიტოვის ახალგაზრდობიდანვე მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში. შემდეგ ის გაგზავნეს საქართველოში, სადაც იყო სახაზინო ექსპედიციაში მრჩევლად. მან აღწერა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პროვინციები [Месяцеслов საქ. ცია, ფ. 149/99 აღწ. 1, ს. 1891]. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ იგი შეუდგა ზემოაღნიშნული მასალების დამუშავება-დალაგებას და გამოუშვა ოთხტომიანი ნაშრომი 1836 წელს – „რუსეთის მფლობელობაში მყოფი კავკასიის მხარის აღწერილობა სტატისტიკურ, ეთნოგრაფი-

ულ, ტოპოგრაფიულ და ფინანსურ ურთიერთობაში“ [Обозрение российских владений... 1836: ч. I-IV].

ოთხტომეული მრავალი ათეული წელი ითვლებოდა უმნიშვნელოვანეს ნაშრომად კავკასიის ეკონომიკაში.

ივანე ნიკოლოზის-ძე კალინოვსკი იყო პ. ზავილეისკის მეგობარი და თანამშრომელი ფინანსთა სამინისტროდან. ისინი ერთად იბრძოდნენ კონტრაბანდისტთა წინააღმდეგ, ერთად ჩავიდნენ საქართველოში. პ. ზავილეისკის სამოქალაქო გუბერნატორის პოსტზე დაწინაურების შემდეგ მან დაიკავა პ. ზავილეისკის ადგილი სახაზინო ექსპედიციაში და იყო გუბერნატორის მოადგილე. ბარონი როზენის მოსვლის შემდეგ ისიც განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან და 1833 წელს დაბრუნდა პეტერბურგში [ცია, ფ. 254/99, აღწ. 1, ს. 20708].

ვასილი ნიკიფორეს ძე გრიგორიევმა დაამთავრა პეტერბურგის გიმნაზია, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. გაიცნო და დაუმეგობრდა კ. რილეევს. მისი ლექსები გამოქვეყნებულია რილეევის და ბესტუჟევის ალმანახში „Полярная звезда“ [Пиксанов 1925: № 1; Шадури 1958: 345-352]. გრიგორიევსაც იგივე ბედი ეწია, რაც ზემოაღნიშნულ პიროვნებებს – ეგრეთწოდებულ „პ. ზავილეისკის წრეს“. ბარონი როზენის ეჭვიანობის ნიადაგზე ისიც გაათავისუფლეს სამსახურიდან და დაუწესეს მეთვალყურეობა.

1834 წელს პეტერბურგელმა გამომცემელმა ა. პლუსჩარმა გადაწყვიტა გამოეცა „ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო იმდროინდელმა რუსულმა სამეცნიერო ელიტამ. მთავარ რედაქტორად აირჩიეს ნიკოლოზ ივანეს-ძე გრეჩი. პირველი ტომი გამოვიდა 1835 წელს. თვით „ლექსიკონი“ ფართოდ ეხება რუსულ ისტორიას, გეოგრაფიას და ა.შ. საყურადღებოა ამ კრებულში მოთავსებული სტატიები კავკასიის შესახებ. იქ კი პირდაპირ წერია: „სტატიები კავკასიის შესახებ გადმოცემულია ვ. გრიგორიევისა და ვ. ლეგკობიტოვის მიხედვით, რომლებიც იკვლევდნენ და აღწერეს კავკასია უფროსების დავალებით“. ესე იგი ლექსიკონის შედგენა დაწყებულა 1834 წელს და გამოიცა 1835 წელს. იბადება კითხვა: გრიგორიევსა

და ლეგკობიტოვს, რომლებიც ყოველ კვირას ხვდებოდნენ ერთმანეთს პ. ზავილეისკის სახლში, ალ. ჭავჭავაძე ხომ არ უწევდა კონსულტაციებს კავკასიის შესახებ დაწერილ სტატიებში?

ქ. ტორუნში კოპერნიკის ძეგლის ისტორიისათვის

1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდგომი პერიოდი ილიას გამოჩენამდე საზოგადოებრივ ასპარეზზე მიჩნეულია საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, როგორც ეროვნულობის გაუფასურებისა და ნიჰილიზმის პერიოდი. ქართული არისტოკრატიის უმაღლესმა ელიტამ დიდი სულიერი დეპრესია განიცადა. რუსეთის შემოსვლამ და რუსული მმართველობის დამყარებამ ღრმა კვალი დაამჩნია დამარცხებული შეთქმულების მონაწილეებს. შეთქმულთა უმრავლესობამ სამშობლოს თავისუფლების დაკარგვა სამუდამოდ გულში ჩაიმარხა და სასოწარკვეთიდან გამოსავალი ორთავიანი არწივის დროშის სამსახურში გადაიტანა.

„შერყეული რეპუტაციის“ აღსადგენად ქართველებმა რუსეთის საშინაო თუ საგარეო ომებში ისახელეს თავი. ყველა ფრონტზე, მრისხანე შამილის დამარცხებაშიც ქართველებმა შეასრულეს დიდი როლი. „უმადური ქართველების“ იმპერატორის მიერ შეწყალება, მისი ჰუმანურობით ვერ აიხსნება. საკმარისია გავიხსენოთ 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყების მონაწილეთა მიმართ მის მიერ გატარებული რეპრესიები, ან 1837 წელს ვარშავაში სტუმრობის დროს პოლონეთის მცხოვრებლებისადმი მისი მიმართვა. ნიკოლოზ I დესპოტი, ნამდვილი დიქტატორი იყო და ამავე დროს ისეთი პოლიტიკოსიც, რომელმაც კარგად იცოდა ქართველების ფსიქიკა, რომელიც გამოადგებოდა მას ჩრდილო კავკასიაში აზვირთებული ეროვნული მოძრაობის ჩასახშობად. ქართველების სულიერი დეპრესიისგან განკურნება შეეძლო ორ რამეს – დროსა და მეგობრობას. დრო რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს, ხოლო მეგობარი, როგორც ასეთი, რომელმაც ქართველის სულში ჩაიხედა

და თავისი თავი დაინახა, იყო ასევე დაჩაგრული, დამცირებული, დამარცხებული პოლონელი ერი.

ერის გამოსაფხიზლებლად დრო იძლევა გარკვეულ იმპულსებს. 1841 წლის 5 აპრილს შინაგან საქმეთა უწყების პირველი კაცი – გრაფი სტროგანოვი რუსეთის იმპერიის დედაქალაქიდან საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს, გენერალ-მაიორ კოხანოვს უგზავნის მითითებას, რომ ქ. ტორუნში კოპერნიკის ძეგლის დასადგმელად საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის ყველა გუბერნიაში, დაიწყოს შემოწირულობების შეგროვება...

ამით რუსეთის იმპერატორს სურდა საზოგადოების თვალში გამოევლინა ლიბერალიზმი და ტოლერანტობა ხელოვნებისა თუ მეცნიერების მიმართ, ეჩვენებინა ევროპისა და პოლონეთის საზოგადოებისთვის, თითქოს იგი ნ. კოპერნიკის იდეების თაყვანისმცემელია და რუსეთის იმპერიისადმი პოლონეთის ერთგულების ნიშნად გადადგა ასეთი ნაბიჯი. საქმის ვითარება შემდეგშია: 1841 წელს შამილმა მთიელი ხალხის ისტორიაში პირველი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო – შამილის იმამატი შექმნა. ამ ხალხის წინააღმდეგ გადმოსახლებული პოლონელებიც იბრძოდნენ. როგორც წყაროებში მიუთითებენ, პოლონელები მთელი რუსული არმიის 15-20% შეადგენდნენ [Radriejowski 1973: 43]. პოლონური არისტოკრატიის თავის მოსაქონად ნიკოლოზ I კოპერნიკის სახელს ამოეფარა, რითაც უნდოდა პოლონელი ხალხის გულის მოგება. 1843 წლის 24 მაისს სრულდებოდა ნ. კოპერნიკის გარდაცვალებიდან 300 წელი. სწორედ ამიტომ ამ „ინიციატივის“ ვადა განისაზღვრა ერთი წლით [სცსა ფ. 16,ს. 6519: ფ. 4]. ბუნებისმეტყველების დიდი რევოლუციონერის – ნიკოლო კოპერნიკის გენიალური იდეების ჩამოყალიბებამ გარკვეული ადგილი დაუმკვიდრა დედამიწას სამყაროს სივრცეში, წინ წამოსწია ჰელიოცენტრისტული თეორია – საფუძველი თანამედროვე პროგრესული ასტრონომიისა.

ნ. კოპერნიკის მოძღვრება მართლაც იყო რევოლუციური აქტი, რომლითაც ბუნების კვლევამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამით სიკვდილის სარეცელზე მყოფმა კოპ-

ერნიკმა საბრძოლველად გამოიწვია ეკლესიის ავტორიტეტი ბუნების საკითხში. სწორედ აქედან იწყება ბუნების კვლევის თეოლოგიისგან განთავისუფლების დროის ათვლა.

კოპერნიკის მოძღვრება აღორძინების ეპოქის ყველაზე დიდი და რევოლუციური მოძღვრებაა, რომელიც შეეხო რელიგიურ შეხედულებებს და მისი მსოფლმხედველობის ყველაზე მტკივნეულ ადგილს – სამყაროს აგებულების საკითხს. ამით კოპერნიკმა დაარღვია მანამდე გაბატონებული შუა საუკუნეობრივ-რელიგიური მსოფლმხედველობა. ნ. კოპერნიკის ჰელიოცენტრისტული სისტემის ფილოსოფიური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიყვანა ღედამიწა მზის სისტემის ერთ-ერთ პლანეტამდე. მაგრამ კოპერნიკის მოძღვრების საშიშროება მას შემდეგ დაინახეს ეკლესიის მამებმა, როცა კოპერნიკი ცოცხალი აღარ იყო, ხოლო კოპერნიკის მოძღვრება თანდათან ვრცელდებოდა და მტკიცდებოდა მსოფლიო ცივილიზებულ ხალხებში. ნ. კოპერნიკის მოძღვრების დამცველებად გამოვიდნენ ჯორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი, იოჰან კეპლერი და სხვანი. კოპერნიკის იდეის გამავრცელებელი ჯ. ბრუნო გასცდა ჰელიოცენტრიზმის საფუძვლებს, რომლის მიხედვით მზე სამყაროს ერთადერთ ცენტრად იყო მიჩნეული. ჯ. ბრუნომ წარმოადგინა მოსაზრება, რომ მზე ჩვეულებრივი ვარსკვლავია და არსებობს ჩვენი მზის მსგავსი სხეულების უსასრულო რაოდენობა, რომელთაგან არც ერთი მათგანი სამყაროს ცენტრში არ იმყოფება, რადგან „სამყაროს არა აქვს კიდე და განი“. ეკლესიამ ნ. კოპერნიკის მოძღვრებაში დაინახა საშინელი საფრთხე თავისი ავტორიტეტისათვის და მთელი სიმკაცრით გაილაშქრა მის წინააღმდეგ. 1616 წლის ინკვიზიციის დეკრეტით კოპერნიკის ნაშრომები შეიტანეს აკრძალულ წიგნთა სიაში. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1822 წლამდე.

რა თქმა უნდა, ნ. კოპერნიკის საერთო აღიარება დაიწყო მოგვიანებით. მისი აღიარების ერთ-ერთ ფაქტს უნდა მივაკუთვნოთ სამშობლოში – პოლონეთში ძეგლის აგება (ნიკოლაი კოპერნიკი დაიბადა 1473 წლის 19 თებერვალს ქ. ტორუნში).

როგორც ცნობილია, კრაკოვში წმ. ანას ტაძარში 1823 წელს დაიდგა კოპერნიკის ბრინჯაოს ბიუსტი, ხოლო 1889 წლის 11 მაისს ვარშავაში გაიხსნა დიდი ასტრონომის ბრინჯაოს ძეგლი. მის მშობლიურ ქალაქ ტორუნში კი ძეგლი დაიდგა 1853 წლის 25 ოქტომბერს. ქანდაკებას მარცხენა ხელში უკავია სამყაროს სფერო [Вейнберг 1873: 117].

როგორც საარქივო მასალები მოწმობენ, ქ. ტორუნში ქანდაკების აგებაში თავისი წვლილი შეუტანიათ რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვადასხვა ხალხებსა და მათ შორის, ქართველებს.

საქართველოს საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტებში მითითებულია აღნიშნული ძეგლის ასაგები შემოწირულობების შეგროვების მთელი პროცედურა [სცსა, ფ. 16: 5, 11, 13, 17, 8]. გუბერნატორ კოხანოვისა და თბილისის მთავარ პოლიცმეისტერის მიერ გამოგზავნილ პატაკებს გამოეხმაურნენ მაზრის უფროსები. მაზრის უფროსები სხვადასხვანაირად ატყობინებენ საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს მითითების მიღებისა და სისრულეში მოყვანის შესაძლებლობას. მაგალითად, გურიის მაზრის უფროსმა პირველი შეტყობინება ოზურგეთიდან 1841 წლის 6 მაისს გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ მან „უკვე გასცა განკარგულება“ [სცსა, ფ. 16: 1].

თბილისის პოლიცმეისტერი 1841 წლის 27 მაისს წერდა, რომ მან დაუგზავნა მითითებები „ყველა ცალკეულ პრისტავს“ და თავის თავზე იღებს „ყოველგვარ პასუხისმგებლობას, [სცსა ფ. 16: 5], რომ თბილისის მაზრის უფროსს უპატაკებს, რომ ამის შესახებ შესრულება „დაავალა უბნის რწმუნებულებს“, [სცსა, ფ. 16: 12]. თელავის მაზრის უფროსი უპატაკებს, რომ „გავეცი ბრძანება უბნის რწმუნებულებზე, რომ მოიწვიონ მხარის საიმედო პირნი და თავადაზნაურობა ხელმოწერაზე“ [სცსა, ფ. 16: 13]. და ა.შ.

ქ. გორიდან შეწირულობანი შეიტანეს პრაპორშჩიკმა ფურძელაძემ, მაზრის მოსამართლე დროზდოვმა [სცსა, ფ. 16: 14-15] ქ. ახალციხიდან აფანასიევმა, კოლეგიის მდივანმა ბეჟანოვმა (ბეჟანიშვილი), ხერთვისიდან არღუთინ-ანისონოვმა, ხერთვისელმა სულეიმან-აღა-კამალ-ოღლიმ, პორუჩიკმა დადაბენ-ბეფა-ბმა ოღლიმ და სხვებმა [სცსა, ფ. 16: 18-19].

თანხის შეგროვება დიდი პოლონელი მოაზროვნის – ნ. კოპერნიკის ძეგლის ასაგებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია არა მარტო ნ. კოპერნიკისადმი გამოხატული სიმპათიისა, არამედ მისი მშობელი ერის პატივისცემის და სიყვარულისა, რომელიც ქართველმა ხალხმა გამოამჟღავნა.

თადეუშ ლადა ზაბლოცკი და საქართველო

XIX ს. 20-იანი წლებიდან რუსეთში იწყება რევოლუციური აღმავლობა.რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ მდგომი ერები იწყებენ ბრძოლას ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. 1830-1831 წლების აჯანყება პოლონეთში და 1832 წლის აჯანყება საქართველოში. თუმცა შეთქმულება აჯანყებამდე გაიცა, მონაწილენი საქართველოში გადმოასახლეს და 1832 წლის შეთქმულებაში იყვნენ ჩაბმულნი და მონაწილეობას იღებდნენ მასში.

1832 წლის შეთქმულების გაცემა და მონაწილეთა სასამართლოში გადაცემა, ქართველი ხალხსის უდიდესი ტრაგედია იყო. ახალდფეხთადმულმა ქართულმა ინტელიგენციამ სულიერი ტრავმა განიცადა.ქართველებში შიშმა და მატერიალურმა ინტერესებმა დაიმკვიდრა ადგილი. მათ შინაგანი იმპულსი უკარნახებს ითანამშრომლონ, რამდენადაც სთავაზობენ შემოსავლიან განსაკუთრებით სამხედრო თანამდებობებს. ისინი უკვე ბაძავენ თავიანთ თანამოძმეთა უმრავლესობას, რომლებმაც იმთავითვე თავი ამოყვეს ორთვიანი არწივის ფრთის ქვეშ. თავადაზნაურობის უმრავლესობა კომერციული თაოსნობის სომხობასთან ერთად ცარიზმის ურყევ საყრდენს წარმოადგნენდა. ისინი მონაწილეობენ, როგორც ქართველი, ისე სხივი გლეხობის აჯანყებების, შეთქმულების ჩაქრობისა და მეზბელ ტომების დაპყრობის საქმეში. კავკასიაში ცარიზმის შემდგომი ექსპანსიისა და განმტკიცების საქმეს ემსახურებიან, ასეთ, უდიდესი სულიერი ტრაგედიის ვითარებაში ქართველი ინტელიგენციის მცირე ნაწილი ცდილობს შეინარჩუნოს ეროვნულობა და დაძლიოს სულიერი დეპრესია.

1931 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გრაფმა ი. პასკევიჩმა გადმოგზავნა საქართველოში სამი ათასი პოლონელი, აქედან კი მთელ ამიერკავკასიაში მიმოფანტეს ისინი. თანამედროვე პოლონელი ისტორიკოსი ვლადისლავ კარბოვსკი, ეყურდნობა მატეუშ გრალევსკის [1]. მოგონებებს კავკასიაში 12 წლიანი გადმოსახლების პერიოდს და ვარაუდობს, რომ 1812 წლიდან 1857 წლამდე, კავკასიაში გადმოსახდელი ყოფილა 30000 პოლონელი [2; 31].

ქართველი ხალხისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიას. გიმნაზიის მოსწავლეთა გათვიცნობიერებასა და მათ შეგნებაში ეროვნული გრძნობის გაღვიძების საქმეში უდიდესი ღვაწლი დადეს ქართველთაგან ს.დოდაშვილმა, ხოლო რუსთაგან დემენტიევმა. გათვითცნობიერებული მოსწავლე ახალგაზრდობა სწრაფად დაეწაფა რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიიისა და პოლონეთის მოწინავე მწერალთა შემოქმედებას. გოეთე და ბაირონი, სტენდალი და ბალზაკი, პუშკინი და ლერმონტოვი, მიცკევიჩი და გრიბოედოვი – თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთათვის საყვარელი მწერლები გახდნენ. ამ პერიოდის გიმნაზიელთაგან ყველაზე ნათელი ფიგურები გახდნენ ნ. ბარათაშვილი და მ. თუმანიშვილი – გამოჩენილი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. პოლონელთა შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო „კავკასიელ პოეტთა ჯგუფმა“, როგორც მას პოლონეთში უწოდებენ. თანამედროვე პოლონეთში დიდი ძვრები მოხდა არა მარტო ეკონომიკის, არამედ კულტურის დარგშიც. ეს ძვრები შეეხო იმ დავიწყებულ პოეტებსაც, რომლებიც ბედის უკუღმართობამ მოსწყვიტა თავის მშობლიურ მიწას და შორეულ საქართველოში გადმოსახლდა. „კავკასიელ პოეტთა ჯგუფში“ გაერთიანებული იყვნენ 1830-31 წლების აჯანყებისა და 40-იანი წლების იატაქვეშა ორგანიზაციების წევრები, რომლებიც საქართველოში მსახურობდნენ მეფის არმიაში. მასში შედიოდნენ: ტ. ლადა- ზაბლოცკი, ვ. სტრჟელნიცკი, ლ. იანიშევსკი, სტანისლავ ვინიცკი და სხვ. ზოგიერთი მათგანი გაერთიანებული და დაკავშირებული იყვნენ პირადი კონტაქტებით, მაგრამ მათ ვერ შექმნეს ერთიანი ლიტერატურული სკოლა [3; 540]. უნდა აღინიშნოს, რომ

ქართველი საზოგადოება პოლონურ პოეზიას ადამ მიცკევიჩით გაეცნო. 1831 წელს სოლ. რაზმაძემ თარგმნა ა. მიცკევიჩის ლექსი „ფარისი“ – რომანტიკული ნაწარმოები აღმოსავლურ თემაზე. ლექსის თემაა ადამიანის მისწრაფება პიროვნების თავისუფლებისაკენ. სოლ. რაზმაძე (1797-1860) მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-19ს. 30-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა იმ პლეადისა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1832 წლის შეთქმულებაში. შესანიშნავად სცოდნია რუსული და ფრანგული ენები. ა. მიცკევიჩის „ფარისი“ სოლომონს უთარგმნია რუსულიდან. ამას ამტკიცებს ქართული თარგმანის შეჯერება რუსულთან და დიმ. ყიფიანის მოგონების ერთი ადგილი, რომელიც 1831 წლის ამბებს ეხება [4; 60]. 1831 წლისათვის არსებობდა „ფარისის“ სამი რუსული თარგმანი: პირველი – ვ. შჩასტინის, პ. მანასეინის და გ. სიანოვის. სოლომონ რაზმაძის თარგმანი არის სახელდახელო თარგმანი და იგი შესრულებული უნდა იყოს იმ რუსული თარგმანიდან, რომელიც გამოაქვეყნა „Сын Отечества”, 1829, т. 1, №5 „ვით მხიარულად ახსნილი, ხომალდი დირაგიანი, მივა ყარყანტებრ მიასიიალებს მილამაზდება ზედან სპეკალისა“ [5; 157].

„კავკასიური სკოლის“ წარმომადგენლები საქართველოში სხვადასხვა მიზეზების გამო აღმოჩნდნენ. ერთი ჯგუფი (ვ. პოტოცკი, ლ. იანიშევსკი, გ.ჩეპლინსკი, ფ.ორდინსკი) 1830-31 წლების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ აღმოჩნდა საქართველოში, ხოლო მეორენი შიმონ კონარსკის საქმეზე (ვ. სტრჟელნიცკი, ტ. ლადა-ზაბლოცკი, კ.პეტრაშკევიჩი, ფ. ზელინსკი, ვ.იუროვსკი). ზემოთ დასახელებული პოეტებიდან ყველაზე ნათელი ფიგურა ტ. ლადა-ზაბოლოცკი. გადმოსახლებულ პოლონელთა პირველი ჯგუფი საქართველოში, ჯერ კიდევ მე-19 ს. ათიან წლებში შემოსულა. ნაპოლეონის კამპანიის დროს, ის პოლონელები, რომლებიც რუსებს ტყვედ ჩაუვარდა ალექსანდრე პირველმა კავკასიაში, „თბილ ციმბირში“ გადმოისროლა. ბევრმა მათგანმა შემდგომ გამოაქვეყნა მოგონებები, რომლებიც საქართველოში გატარებულ წლებსაც ეხება.

ტადეუშ ლადა- ზაბლოცკი დაბადებულა 1813 წელს ვიტებსკის გუბერნიაში. 1950 წლის, მ.ი. პოლიაკოვის სტატი-

ის „Студетческие годы Белинского” [6] გამოქვეყნებამდე პოეტის დაბადების თარიღი დაზუსტებული არ ყოფილა. მაგ. ი.კ. ენიკოლოფოვი წიგნში „Современники о Бакихнове” (Баку, 1959 г.) მითითებულია 1809 წელი, ხოლო ვ. გურიანოვი და ვ.სოროკინი ცნობარში („Биографический словарь университетских товарищей Белинского”) პოეტის დაბადების თარიღად ასახელებდნენ 1811 წელს. ვიტებსკის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის, როგორც სამაგალითო და წარჩინებული მოსწავლე სახელმწიფოს ხარჯზე წარიგზავნა მოსკოვის უნივერსიტეტში. მოსკოვის უნივერსიტეტში გაგზავნისათვის საჭირო იყო განათლების მინისტრის თანხმობა, როგორც პოლონელისათვის. მაგრამ ის ფაქტი, რომ მას რეკომენდაცია ბელორუსიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა გ. ი. კარტაშევსკიმ მისცა, ტ. ლადა-ზაბლოცკის მონაცემების აღიარება იყო [6].

1831 წლის 20 ოქტომბერს ტ. ლადა-ზაბლოცკი დასახლდა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენთა პანსიონში და 26 ოქტომბერს ჩაირიცხა პირველ კურსზე. მისი უახლოესი მეგობრები ამ დროს გახდნენ აღმოსაცლეთმცოდნე იან სავინიჩი, მიცკევიჩის მეგობარი პოეტი იან კერნიკოვსკი და აღმოსავლეთმცოდნე კაეტან კოსსოვიჩი. ამ წრეში გამორჩეული ფიგურა იყო იან სავინიჩი. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი სტატიები პოლონურ ლიტერატურაზე, ცნობილი ისტორიკოსის ი. ლელეველის,ადამ მიცკევიჩი,ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნა. მის კალამს ეკუთვნის „პოლონური ენის გრამატიკა“, რომელიც 1833 წელს პეტერბურგში გამოვიდა და რუსულ-პოლონური ლექსიკონი. 1831-1832 წლებში ტ. ლადა-ზაბლოცკი იან სავინიჩთან ერთად აყალიბებს „მშობლიური სიტყვიერების მოყვარულთა“ წრეს. წრის პროგრამა რევოლუციურია. 1835 წელს ვიტებსკში გაჩხრიკეს პოლიტიკურად ეჭვმიტანილი პირის ზენონ მიხაილოვსკის ბინა, სადაც იპოვეს მთავრობის საწინააღმდეგო ლექსი, რომლის ავტორად დადგინდა ტ. ლადა-ზაბლოცკი. ვიტებსკის ჟანდარმერიამ პოლიტიკური ლექსი გადასცა მოსკოვის სამხედრო გენერალ გუბერნატორს, თავად დ. ვ. გოლიცინს, რომლის განკარგულებითაც 1833 წლის 29

ივნისს სხვა წევრებთან ერთად ტ. ლადა-ზაბლოცკიც დაიჭირეს. გასამართლება მოეწყო ვიტებსკში 1835 წელს, ხოლო 1837 წელს საქმე გადაეცა სენატს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი და ხელმოსაწერად გადასცა იმპერატორს. ნიკოლოზ I-მა ხელი მოაწერა განაჩენს 1837 წლის 28 მაისს, რომლის მიხედვითაც „პირველი სამი“ (ტ.ლადა-ზაბლოცკი, ზენონ მიახაილოვსკი და ეგორ სმოლში) განამწესეს კავკასიის კორპუსის სხვადასხვა ბატალიონში.

1837 წელს ლადა-ზაბოლოცკი გადააგზავნეს ტაგანროგში, სადაც მან დაწერა ლექსი „აზოვის ზღვასთან“, აქედან კი კავკასიაში. ზაბოლოცკის საქართველოში ყოფნა და მისი სამხედრო სამსაზური, შემდეგ თადარიგში გადასვლა, გადმოცემულია თვით პოეტის კორესპონდენციებში, რომელიც დაგზავნილია საქართველოდან და თვით საქართველოში სხვადასხვა პირებისადმი. ჩვენს დრომდე შემორჩენილია სამი წერილი (რუსულ ენაზე), გაგზავნილი მიხეილ თუმანიშვილისადმი [7], ცხრა წერილი, გაგზავნილი პოლონელი პოეტის იუზეფ იგნაციუს კრაშევსკისადმი და ერთი წერილი რომუალდ პოდბერეზსკისადმი დაბეჭდილი “Literacki”-ში. ტ. ლადა-ზაბლოცკი საქართველოში უნდა ჩამოსულიყო 1837 წელსვე, საქართველოს სამხედრო გზით. პოეტის ჩამოსვლა არ უნდა შეფერხებულიყო, რადგან 1837 წელს თბილისში იმყოფებოდა იმპერატორი ნიკოლოზ I და იმავე წელს, საქართველოს სამზედრო გზით დაბრუნდა პეტერბურგში [8; 103]. თბილისში ლადა-ზაბლოცკი უნდა დარჩენილიყო 1838 წლის ზაფხულამდე, რადგანაც მის მიერ დაწერილი ლქსი „КМ...граф Б”. დათარიღებულია 1837 წლის 13 მარტით, ხოლო „ღამის ვარსკვლავი“ – მაისით. ტ. ლადა-ზაბლოცკის თბილისში გაუცვნია და ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მიხეილ თუმანიშვილთან. როგორც ჩანს მას შეუსწავლია ქართული ენა და გადაუთარგმნია კიდევაც მისი ერთ-ერთი ლექსია „ფიალა“. მიხეილ თუმანიშვილი მე-19 ს. 30-40-იანი წლების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა. იგი დაიბადა 1818 წლის 19 მაისს, გორის მაზრის, სოფელ ხულთუბანში. 1831 წწ იგი თბილისის გიმნაზიაში ჩაირ-

იცხა. 1833 წელს მიხეილმა შეადგინა ხელნაწერი ანთოლოგია (ალმანახი) ორიგინალური და ნათარგმნი ლექსებით [9]. 1835-1836 წლებში მიხ. თუმანიშვილის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით გამოდის ლიტერატურული წრის ორგანო, „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“. 1830 წელს იგი გიმნაციას ამთავრებს, მაგრამ უნივერსიტეტში შესვლისათვის საჭირო თანხები არ გააჩნია და მუშაობას იწყებს სახაზინო ექსპედიციაში. ამ პერიოდში ქართველი ინტელიგენციის შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა მ. ორბელიანის ცნობილი სალონი. ამ სალონის ხშირი სტუმარი იყო ნ. ბარათაშვილიც. იონა მეუნარგია, ნ. ბარათაშვილის შესახებ წერს: „მწერლობის სიყვარული პოეტს ცხოვრებაში გამოჰყვა. სკოლის ამხანაგების მაგივრობას აქ უწევდნენ პირნი, რომლებიც ხვდებოდნენ სხვადასხვა დროს. ესენი იყვნენ: ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, მიხ. თუმანიშვილი, გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალ. ორბელიანი, ზოგიერთი ქართველი მწერლების მოყვარე პოლონელი,როგორიც იყო ლადა ზაბლოცკი სხვ.“ როგორც ჩანს ტ. ლადა-ზაბლოცკი მ. თუმანიშვილის მეშვეობით შესულა კონტაქტში ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. მ. თუმანიშვილს ტ. ლადა-ზაბლოცკი „დედოფლის წყაროში“ გაუცვნია, სადაც ქართველი პოეტი ისვენებდა 1938 წ. მ. თუმანიშვილს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დასჯილ და იძულებით უცხოეთში გადმოხვეწილ პოლონელ პოეტზე. სწორედ მ. თუმანიშვილის წყალობითა და სიყვარულით გაეცნ პოლონელი პოეტი ქართულ ლიტერატურას და მის ისტორიას. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 1838 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში [10] მ. თუმანიშვილს წერს: „თქვენი ლექსი „ფიალა“ გადავთარგმნე პოლონურად და როგორც მგონია საკმაოდ მარჯვედ. თუ ინებებთ, შემდეგი წერილით გამოგიგზავნით უეჭველად“. „ფიალას“ თარგმანი - პოლონურად „ჩაშა“ – შევიდა ლადა-ზაბლოცკის კრებულში, რომელიც პეტერბურგში გამოვიდა. ეპიგრაფად ლექსს წამძღვარებული აქვს „მიყარს პიალა ბროლისა, როს ნაპიერცკალი ჰწინისა“. მ. თუმანიშვილის რჩეული

ლექსების 1881 წლის გამოცემაში მითითებულია, რომ: ეს ლექსი – „ფიალა“ 1838 წლის 3 ივნისს გადათარგმნილია პოლშურს ენაზე ლადო ზაბლოცკისაგან და დაბეჭდილია მის ლექსებში [11].

მ. თუმანიშვილს „გასალდათებული“ ზაბლოცკისათვის მიუწერია წერილი, რომელშიც ახალგაზრდა მ. თუმანიშვილი ამჟღავნებს მეგობრულ დამოკიდებულებას ზაბლოცკის მიმართ. ტ. ლადა-ზაბლოცკი დაინტერესებულა საქართველოს ისტორიით,ქართული ენითა და ლიტერატურით. ამის გამო მას აღეძრა სურვილი დაეწერა ქართული ლიტერატურის ისტორია. ამ საქმეში მას მიხ. თუმანიშვილი ეხმარებოდა. იგი სისტემატურად უგზავნიდა მასალას როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე, რათა ზაბლოცკის თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

ტ. ლადა-ზავლოცკი ახლო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ნ. ბარათაშვილთან; ეს კარგად ჩანს არა მარტო მ. თუმანიშვილისადმი გაგზავნილ წერილებში, არამედ მის შემოქმედებაშიც. სტ. რავიჩს შენიშნული აქვს, რომ ნ. ბარათაშვილთან მეგობრობის შედეგი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ ზაბლოცკის ლექსი „დამის ვარსკვლავი“ ნ. ბარათაშვილის ლექსის „ჩემი ვარსკვლავის“ გავლენითაა დაწერილი,ხოლო ამ ლექსის სიტყვიერი ქსოვილი თითქმის მთლიანად ემთხვევა „ფარისისა“ და „მერანის“ სიტყვიერ ქსოვილს. ტ. ლადა-ზაბლოცკიმ თავისი ლექსის „ალაზნის ველის“ კომენტარებში დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს ისტორიულ წარსულს. ზაბლოცკის ეს ლექსი უთარგმნია მიხ. თუმანიშვილს. ამის შესახებ ზაბლოცკის მიუწერია რ. პოდბერეზკისათვის: „ჩვენი ლიტერატურით დაინტერესდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, თავადმა თუმანიშვილმა თარგმნა ჩემი ლექსი „ალაზნის ველი“. 1847 წლისათვის ზაბლოცკი გაიწვიეს საქართველოდან კულფაში – მარილის სარეწებზე სამუშაოდ. თბილისიდან წასვლის შემდეგ მან მთელი თავისი წიგნები გადასცა თბილისის ბიბლიოთეკას. ამის შესახებ 1847 წლის 4 იანვარს გაზეთი „Кавказ”-ი იტყობინებოდა. ტ. ლადა-ზაბლოცკი გარდაიცვალა კულფაში 1847 წელს. გაზეთი „Кавказ”-ი 1847 წლის

16 აგვისტოს იტყობინებოდა, თბილისში ქოლერისაგან გარდაიცვალა თბილისის სამედიცინო უპრავის ინსპექტორი განფი. კულფაში – კულფის მარილის სარეწების მმართველი ტ. ლადა-ზაბლოცკი დაჯილდოებული საოცარი პოეტური ნიჭით.

ამრიგად საქართველოში პოლონელმა პოლიტიკურმა პატიმრებმა საქართველოში შემოიტანეს არა მართო დასავლეთ ევროპის კერძოდ, საფრანგეთის რევოლუციის და ფრანგი განმათავისუფლებლების იდეები, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებაც.

დასკვნები:

1. ამრიგად, XV საუკუნის მე-2 ნახევრიდან საქართველოს ბედი ორმა დიდმა მოვლენამ განსაზღვრა, ერთი იყო სამეფო-სამთავროებად დაშლა, ხოლო მეორე – მტრული გარემოცვის რკალში მოხვედრა. ქართველთა ყველა ცდა, მონაწილეობა მიეღოთ თურქეთის წინააღმდეგ მოწყობილ მთელ რიგ კოალიციებში, ან თვით შეეკრათ ასეთი კოალიცია, მარცხით დამთავრდა. მოვლენების შემდგომი განვითარებით ამ მტრული გარემოცვიდან თავის დაღწევის სამი გზა დაისახა: საკუთარი ძალებით, თურქეთ-ყირიმის სახანოს ვასალებითა და ერთმორწმუნე რუსეთის ან კათოლიკური ევროპის მფარველობაში შესვლით.

2. საკუთარი ძალებით ქვეყნის გაერთიანება და მტრული გარემოცვიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი გახდა.

თურქეთ-ყირიმის ან ირანის გენოციდური პოლიტიკის წყალობით გამორიცხული იყო მათი ვასალობაც.

კათოლიკურმა ევროპამ საკუთარი გზა იპოვა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წყალობით აღმოსავლეთს სხვა გზებით დაუკავშირდა და საქართველო „დაივიწყა“. შექმნილ ისტორიულ ვითარებაში მხოლოდ რუსეთი აღმოჩნდა ასეთი ძალა, რომ „ბარბაროსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ პროგრესისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხები საბოლოო იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ“ (ნ. ბერძენიშვილი). აღნიშნული დებულება ახალი დასკვნის საშუალებას გვაძლებს, კერძოდ კი საგარეო ურთიერთობების ძირითადი მიმართულება რუსეთის იმპერიული პოლიტიკის პარალელურად იხილებოდა და რუსეთის შემოსვლა-დამკვიდრებას ქართული ისტორიული სკოლის წარმომადგენლები ამ პრიორიტეტში განიხილავენ.

როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახეს ეს გზაც ილუზიური აღმოჩნდა, რამდენადაც ჯერ მოსკოვის სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიის მესვეურებმა სამი საუკუნე მოანდომეს თურქეთ-ირანის განდევნას კავკასიიდან.

ამ ისტორიული ჟამის განმავლობაში ქართულ სამეფოებთან არა ერთი ხელშეკრულება იქნა გაფორმებული, მაგრამ ქართული დიპლომატია ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, რათა გაეანალიზებინა რუსული დიპლომატიის მცდელობა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ვერ დაენახა ის საშიშროება, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. ერთმორწმუნეობა მხოლოდ ხაფანგი აღმოჩნდა ქართული დიპლომატიისათვის, დადებული ხელშეკრულებები საბაბი თვალის ასახვევად, ხოლო საბოლოო შედეგი – ტრაგედია ქართველი ხალხისათვის და არა მარტო საქართველოსათვის, არამედ სრულიად კავკასიისათვის.

3. XIX ს. დასაწყისში უდიდესი ცვლილებები მოხდა – იწყება მსოფლიო კოლონიური სისტემების ჩამოყალიბება (გლობალიზაცია). პოლიტიკურ რუკაზე ძირითადად სამი ფერი დომინირებს. ზუსტდება ყველა მატერიკის გარშემოწერილობა და იმ ფერს იღებს, რომელი სახელმწიფოს ეგიდის ქვეშაც მოექცევიან. საუკუნეების მიღმა კაცობრიობის წარსულში არსებული „ზღაპრული“ სახელმწიფოები რეალურნი ხდებიან, ხოლო არარსებულნი – „ველურნი“, რომლის შესახებაც მაშინდელ რეალურ მსოფლიოს მითოსურად გააზრებულიც კი არ ჰქონდა რომ ევროპელთა ეგიდის ქვეშ ცივილიზაციის ანბანს ეზიარნენ და ზოგადად, კულტურათა ურთიერთშერწყმის საფუძველზე კაცობრიობის საერთო განვითარების ფერხულში ჩადგნენ. ევროპაში პირიქითაც მოხდა – კულტურული ერები მასზე დაბალი განვითარების ხალხის კოლონიური საკუთრება გახდა XIX ს-ის დასაწყისში. აი, რა საერთო აქვს პოლონელ და ქართველ ხალხებს. საქართველოსა და პოლონეთის ისტორიაში ბევრი თანმხვედრი მომენტია, ისტორიული რეალობით თუ შინაგანი ბედოვლათობის წყალობით გამოწვეული.

4. XIX ს-ის პირველ მესამედში რუსულმა ადმინისტრაციამ კავკასიაში გარკვეული ყურადღება დაუთმო რომის კურიის კათოლიკურ მისიას. ეს ყურადღება უფრო პრაქტიკულ-პრაგ-

მატული მოსაზრებიდან გამომდინარეობდა, ვიდრე კაცთმოყვარულობის პრინციპებიდან. ამ პერიოდში კავკასიაში გადმოსახლებული არაერთი პოლონელი, რომელთა უმეტესობა კათოლიკე იყო, რუსეთის არმიაში სარეკრუტო წესით აღმოჩნდა გაწვეული. ამავე დროს, კათოლიკე მისიონერები შესანიშნავი მკურნალი ექიმები იყვნენ, რომელთა ნაკლებობასაც ჩვენი მხარე მწვავედ განიცდიდა.

5. საქართველოს სამხედრო გზაზე აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად მეფის რუსეთის ადმინისტრაციამ შექმნა „სპეციალური რაზმი“ ტყვედ ჩავარდნილი ოფიცრებისაგან, რომლებიც ძირითადად სამხედრო ინჟინრები იყვნენ. 500 პოლონელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, 1815 წლის 3 დეკემბერს სამუშაო დაასრულეს და შეთანხმების თანახმად სამშობლოში დაბრუნდნენ. მცირე ნაწილი ტყვე პოლონელებისა საქართველოში დარჩა. უმეტესობამ შეითვისა ქართული ტრადიციები – გაქართველდნენ და ქართული კულტურის პროპაგანდისტები გახდნენ.

6. XIX ს-ის 20-30-იანი წლების საზოგადოებრივ მოძრაობაში 1832 წლის შეთქმულების ისტორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. შეთქმულება მზადდებოდა ხანგრძლივად და მისი ორგანიზაცია აერთიანებდა მაშინდელი ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს. მკვლევართა უმეტესობა ეჭვის თვალით უყურებდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის პ. ზავილეისკის შეთქმულებაში მონაწილეობის საკითხს. ჩვენს მიერ მოსკოვის არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტების ანალიზიდან ირკვევა, პ. ზავილეისკი არათუ მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულთა საქმეებში, არამედ აჯანყების ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო.

From the History of Relations between Georgian and Poland

1. From the second half of the XV century the faith of Georgia was stipulated by two great events: the first one was disintegration of the country into kingdoms-provinces and the second - hostile environment around Georgia. The attempts of Georgians to take part in number of coalitions organized against Turkey or to establish such coalition themselves failed; further development of the events with the purpose to get rid of this hostile environment imposed three ways: to achieve the goal by its own forces; to do this through the vassalage to Turkey-Crimea Khanate or acceptance of the patronage of Catholic Europe or the Orthodox Russia.

2. Integration of the country by the own forces and deliverance from the hostile environment became almost impossible; due to the genocide policy of Turkey-Crimea or Iran the factor of vassalage was excluded as well.

Catholic Europe found its way; thanks to a great geographical discovery it managed to connect with the East by other ways and "forgot" Georgia; in the created historical situation it seemed Russia was the only force and "Final hope of Caucasian people fighting for the progress against barbarous feudalism was to establish the contacts with Russia" (N.Berdzenishvili). The mentioned enables us to make a new conclusion, in particular it may be concluded that the issue of major trends of foreign relations was reviewed in parallel with the imperialistic policy of Russia, so the issue of entrance and settlement of Russia was discussed specifically in this context by the representatives of Georgian historical school.

s the further developed events proved this way too appeared to be an illusion as the leaders of Moscow‘s reign at first and then the Empire of Russia spent three centuries to expulse Turkey-Iran form the country.

During this historical period numerous treaties were concluded with Georgian kingdoms, but due to lack of the appropriate capacities Georgian diplomacy failed to make analysis of the attempt by Russian di-

plomacy oriented only on their (Russian) interests and find out the threat from the North. Common Faith appeared to be the trap for Georgian diplomacy, the treaties above revealed to be only the deception, consequently the final result was the tragedy for Georgian people, not only for Georgia but for the Caucasus entirely.

3. In the beginning of the XIX century the world faced great changes – the process of establishment of the world colonial systems commenced (globalization); political map manifested three major colours; the circumferences of all continents were specified, consequently these continents gained the colours of the states under the aegis of which they entered; the "improbable" states being "fairy-tales" during the centuries became real while "non-existent-wild" countries, existence of which was not realized by then actual world even in mythos shared the civilization alphabet and engaged in the process of global development of population on the basis of cultures merging. Europe faced the contrary events as well – cultural nations became the colonial property of less developed people in the beginning of the XIX century – that is the general and common characteristic point for Polish and Georgian nation. There are many similar moments in the history of Georgia and Poland, resulted in historic reality or internal extravagance and wastefulness.

4. In the first third of the XIX century Russian administration paid special attention to the catholic mission of Roman curia in the Caucasus; such attention was based mainly on practical-pragmatic consideration rather than the principle of philanthropy. In that period numerous Polish citizens were exiled from Poland to the Caucasus, majority of such exiles were Catholics, recruited to Russian army. At the same time these Catholic missioners were excellent physicians, the deficit of which was the great issue for our country y then.

5. For rehabilitation works on the military road of Georgia the administration of Russia created the "Special Group" staffed by the captive officers; majority of these officers were military engineers. 500 Polish

soldiers and officers faithfully fulfilled their obligation – they completed work by December 3, 1815 and returned their homeland as per the agreement; small part of Polish prisoners stayed in Georgia; most of them learned Georgian tradition, they became Georgianized and the propagandists of Georgian culture.

6. The conspiracy of 1832 of the most significant event in the 20-30-ies of the XIX century; this plot had been prepared for a long time; its organization integrated the best part of Georgian society of those time. The issue of participation by P.Zavileisky – the civil Governor of Georgia remains under suspicious by the majority of researchers; the analysis of the documents discovered by us in Moscow archives shows that P.Zavileisky not only participated by he was one of the initiators and leader of the revolt.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. წყაროები

ა) საარქივო მასალები

1. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ისტორიული არქივი. ფონდი 1457, აღწერილობა – 1, რვეულები №№ 1-34

2. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 1457, აღწერილობა – 1, საქმე 32, რვეული 3. ამონაწერები შეთქმულთა პირადი საქმეებიდან საგამომძიებლო კომისიის მასალებიდან, შედგენილი გენერალ-მაიორ მ. ჩევკინის მიერ. ყოფილ სამოქალაქო გუბერნატორ პეტრე დემინის-ძე ზავილეისკის შესახებ. გვ. 6-53

3. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 10, საქმე 6519, ფურცელი 1-52, საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარია

4. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ისტორიული არქივი. „ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლის კანცელარია“ ფონდი 2, აღწერილობა – 1, წიგნი 1.
ა) საარქივო № 2099
ბ) საარქივო № 2102
გ) საარქივო № 2129
დ) საარქივო № 2340

ფონდი 2, აღწერილობა – 1, წიგნი 2.
ა) საარქივო № 2671
ბ) საარქივო № 3226
გ) საარქივო № 3229
დ) საარქივო № 3809
ე) საარქივო № 4296
ვ) საარქივო № 4507

5. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ისტორიული არქივი. „ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლის კანცელარია“ ფონდი 16, საქმე 6249, ფურცელი 1-52

6. Центральный Государственный Военно-Исторический Архив Р.Ф. (Москва), Фонд ВУА, дело 1167, лл. 1-32

7. Центральный Государственный Военно-Исторический Архив Р.Ф. фонд 1, опись 1, дело 8485, лл. 1-8.

8. Центральный Государственный Военно-Исторический Архив Р.Ф. Канцелярия Военного Министерства. Фонд 1, опись 1, дело 8504. Фонд барона Родена Григория Владимировича, по отношению ген.-ад. баронза Розена об открытом в Грузии заговореб часть 1-4, лл. 1-869

9. Центральный Государственный Архив России (Москва) фонд 109, опись 6, дело 528, лл. 1-67

10. Центральный Государственный Исторический Архив РФ, Санкт-Петербург. Личный фонд Ив. Федоровича Пацкевича-Эриванского. Фонд 1018, опись 1-10, дело 112, 113, 133, 141, 188, 228, 233, 237, 395, 396.

ბ) გამოქვეყნებული წყაროები

11. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I-II, თბ., 1955.

12. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი შეადგინეს, კომენტარები და ლექსიკონი დაურთეს მანანა სანაძემ და ნოდარ შოშიაშვილმა, ტ. 1-2, თბილისი, 1994-1998.

13. „ივერია“, 1879 წ. №2.

14. იტალიელი მოგზაურები საქართველოში (ამბროზიო კონტარინი) – ჟურნალი „მოამბე“, 1894 წ. №XI.

15. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფილისი 1835; ტ. 2, თბილისი 1970; ტ. 3, თბილისი 1976.

16. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией главного управления наместника Кавказского, под ред. А. Берже,

т. II, Тифлис 1868; т. III , 1869; т. IV, 1870, т. V, 1873; т. VI, 1875; т. VII, 1878; т. VIII, 1881.

17. С. А. Белокуров. Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел, вып. I, 1578-1613 гг. М., 1889.

18. П.Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 гг. СПб, 1869, чч. I-III.

19. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под ред. А.А. Цагарели, СПб, 1891, т. 1.

20. Е. Г. Скржинская, Барбаро и Контарини о России. М., 1971.

2. ლიტერატურა

21. კ. აბაშიძე. პოლიტიკური რომანტიზმი, ჟურნალი „მოამბე“, 1905 წ. №1.

22. ი. ანთელავა. რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორია, თბ., 1971.

23. ლ. ასათიანი. ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1955

24. ლ. ბარამია. დეკაბრისტები საქართველოში, თბ., 1955

25. ლ. ბარამია. დეკაბრისტი განგებლოვი, თბ., 1956

26. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965, ტ. II; თბ., 19 ტ. V.

27. ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.

28. ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები), წიგნში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი I, თბ., 1937.

29. თ. ბოცვაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში XV-XVIII სს., თბ., 1990

30. ა. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1922 წწ., თბ., 1980.

31. ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958.

32. ვ. გაბაშვილი. იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისთვის, თსუ „შრომები“, №116, თბ., 1965

33. მ. გოცაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, თბ., 1954.

34. მ. გოცაძე. სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1955.

35. ს. დოდაშვილი. ლოგიკა, ალ. ქუთელის რედაქციით, თბ., 1949.

36. ფრ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954.

37. გ. ზედგენიძე. პოლონეთ-რუსეთის ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (ბოგდან გურჯიცკის მოღვაწეობა), თბ., 1971.

38. გ. ზედგენიძე. ქართველი დიპლომატი ბოგდან გურჯიცკი. ჟურნალი „მნათობი“, №12, 1965.

39. მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.

40. მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, ზაზა ალექსიძისა და ჯუმბერ ოდიშელის თარგმანი ფრანგულიდან. თბ., 1995

41. პ. ინგოროყვა. თხზ., ტ. 1, თბ., 1963

42. ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954

43. ს. მაკალათია. ხევი, თბ., 1934

44. ე. მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XV ს. II ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1961

45. ს. მაღლაკელიძე. მასალები ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისთვის. „საისტორიო მოამბე“, №2, თბ., 1946

46. ვ. მაჭარაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1983

47. ნ. ნიკოლაიშვილი. 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყება და საქართველოს მოწინავე საზოგადოება. ჟურნალი „მაცნე“ (ისტორიის სერია) №2, თბ., 1967

48. გრ. ორბელიანი. წერილები, ტ 1-2, აკ. გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936

49. ო. ჟუჟუნაძე. XV საუკუნის I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის. წიგნში: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, ტ. 1, თბ., 1922

50. ნ. ჟორდანია. ეროვნული კითხვა, თბ., 1922

51. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ტომის რედაქტორი პროფ. ზ. ანჩაბაძე, თბ., 1974; ტ. IV, ტომის რედაქტორი პროფ. მ. დუმბაძე, თბ., 1973

52. საქართველოს ისტორია, ტ. 1, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958

53. მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობათა ისტორიიდან XVI-XVIII სს., თბ., 1973

54. მ. სვანიძე. ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.), თბ., 1999

55. ა. სურგულაძე. საქართველოს შეერთება რუსეთთან, თბ., 1977

56. ა. სურგულაძე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968

57. ბ. სოხვაძე. დეკაბრისტული მოძრაობა და ქართული საზოგადოება, თბ., 1976

58. ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972

59. ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს. მეორე ნახევარში, თბ., 1979

60. ვ. ტოგონიძე. ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება, თბ., 1951

61. შ. ჩხეტია. გ. გოზალიშვილი – 1832 წლის შეთქმულება. ჟურნ. „მნათობი“, №12, 1936

62. ი. ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობისათვის, თბ., 1966

63. ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან X-XVI სს., თბ., 1956

64. ი. ცინცაძე. აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969

65. ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატები, თბ., 19

66. ჯ. ჭელიძე. ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები, თბ., 1975

67. ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 3, თბ., 1953

68. ალ. ჭავჭავაძე. თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ., 1940

69. ალ. ჭავჭავაძე (საიუბილეო კრებული), გიორგი აბაშიძის რედაქციით, თბ., 1986

70. ზ. ჭიჭინაძე. ს. დოდაშვილი და ისტორია ფარული საზოგადოებისა, ტფილისი, 1893

71. გ. ხაჭაპურიძე. შრომები, ტ. II, თბ., 1958

72. ს. ხუნდაძე. დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1936

73. ს. ხუნდაძე. ნარკვევები, თბ., 1941

74. ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967

75. ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII ს. II ნახევარსა და XIX ს., ტფილისი, 1919

76. ს. ჯანაშია. შრომები, ტ. II, თბ., 1989

77. ა. ჯორჯაძე. თავდაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება XIX საუკუნეში, თხზ., ტ. II, თბ., 1941

78. Ир. Андроников. Тетрадь Василия Завелейского. “Прометей”, № 5, М., 1968

79. С. Анисимов. Военно-Грузинская дорога, М., 1936

80. Ш. Ашкенази. Царство Польское 1815-1830 гг., с предисловием А. А. Кизеветера, перевод с польского В. Высоцкого, М., 1915

81. Sï. Askenazy. Lukasinski, Warszawa, 1908

82. К. Базилевич. Внешняя политика русского централизованного государства (вторая половина XV века), М., 1962

83. Н. Б. Берг. Записки Берга о польских договорах и восстания 1831-1863 гг., Вильно, 1866

84. Н. Брежнев. Литовская метрика как источник, т. I, М., 1948

85. B. Baranowski. Polskie zainteresowania z XVIII I XIX wieku I kultura Gruzji, Lydz, 1982

86. B. Baranowski. W soldaty na Kaukaz; Institut Historii Uniwersitet Lydzki, Vol. XXXVII, № 15, 1982

87. B. Baranowski, Kaz. Baranowski. Polakщw Kaukaskie drogi, Lydz, 1985

88. A. Bergson. Two Sources of morality and Religion, London, 1955

89. M. Brosset. Histoire moderne de la Georgie, addimio premiere

90. В. Грабенский. История польского народа, под ред. Н. Ястребова, СПб., 1910

91. Ван-Гален. Мемуары, т. II, Брюссель, 1867

92. В. Гомулицкий. Польская революция 1830-1831 гг. перевод с польского с предисловием и примечаниями Е. Чернского, СПб., 1906

93. А.С. Грибоедов, соч., под ред. Вл. Орлова, М., 1953

94. Z. Gerszewski. Pamiatnik z niewoli, Poznzn, 1862

95. В. Долидзе, Р. Шмерлинг. Военно-Грузинская дорога, Тб., 1956

96. Н. Дубровин. Закавказье от 1803-1806 гг., СПб., 1866

97. И. А. Джавахишвили. Политическое и социальное движение в Грузии XIX в., Тифлис, 1906

98. Ф. Энгельс. Внешняя политика русского царизма; К. Маркс и Ф. Энгельс, соч., изд. 2-е, т. 22, М., 1962

99. Гр. Де-Волан. История общественных и революционных движений в связи с культурным развитием Русского государства, часть I, т. 1, М., 1913

100. К. Валишевский. Марысенка, Королева Польши, М., 1912

101. Я. Вейнберг. Николай Коперник и его учение, СПб., 1873

102. Е. Вейденбаум. Кавказские этюды, Тифлис, 1891

103. Е. Вейденбаум. Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1884

104. История Польши в трех томах, т. II, под ред. И. Милера и А. Хренова, М., 1955

105. В. Н. Иваненко. Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901

106. Я. Ст. Копчевский. Тадеуш Костюшко, Варшава, 1972

107. Н. И. Костомаров. Последние годы Речи Посполитой, т. 1-2, М., 1886

108. С. К. Кеневич, Лелевель, М., 1970

109. Колониальная политика российского царизма в Азербайджане в 20-60-х годах XIX века. ч. 1, М.-Л., 1936

110. Ю. Ю. Качарава. Политическое положение Грузии и вопросы взаимоотношения с Россией (II половина XVII в.), Автореферат, Тб., 1968

111. St. Ko□iabkovski. L'Iran et la Pologne a travers les siècles, Teheran, 1943

112. W. Kubacki. Maivy na Kaukazie, Wars., 1969

113. И. Лелевель. Краткие очерки истории польского народа Иоахима Лелевеля, перевод Я. Ивановского, СПб., 1862

114. А. Я. Манусевич. Очерки по истории Польши, М., 1953

115. Ф. Махарадзе. Грузия в XIX столетии (краткий исторический очерк), Тб., 1933

116. Ш. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959

117. "Месяцеслов и общий штат Российской империи на 1830, 1831, 1832, 1833 годы."

118. Н. Н. Муравьев-Карский. Записки "Русский архив", т.1, М., 1894

119. О. Маркова. Новые материалы о проекте "Российской закавказской компании" А.С. Грибоедова и П.Д. Завилейского, "Исторический архив", т. 6, М., 1951

120. М. Нечкина. Грибоедов и декабристы, изд. 2-е, М., 1951

121. St. Nowacki. Podryze do Georgii w czasie mojej niewoli w Rosji odbywate wr. 1813, 1814, 1815. Poznan, 1833

122. “Обозрение российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях”, СПб., 1836-1840, ч. I-IV.

123. Очерки истории СССР. XVIII век, М., 1956

124. Н. Оцхели. Польско-Грузинские литературные связи в XIX веке. М., 1975

125. Н.К. Пиксанов. Русские писатели в неизданных воспоминаниях В. Н. Григорьева, жур. “Современник”, № 1, М., 1925

126. Г. Панчадзе. Русско-Грузинские политические отношения в первой половине XVIII в., Тб., 1976

127. А. Погодин. История польского народа XIX века, М., 1915

128. М. Полиевктов. Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе, М., 1920

129. К. Попер. Открытое общество и его враги, т. I-II, М., 1992

130. Г. Жордания. Очерки из истории франко-русских отношений, Тб., 1956

131. Ст. Равич. Жизнь и творчество Польского поэта Тадеуша Лада-Заблоцкого в Грузии, Тб., 1971

132. М. Рожкова. Экономическая политика царского правительства на среднем востоке во второй четверти XIX века и русская буржуазия. М., 1949

133. J. Radijowski. Pamietnik powstanca 1831. Wars., 1973

134. Jan Reychman. Podryanicy Polscy na bliskim w□chodzie w XIX w. Wars., 1972

135. Г. С. Сапаргалиев, В. А. Дьяков. Общественно-политическая деятельность ссыльных поляков в дореволюционном Казахстане. Алма-Ата, 1971

136. С. Соловьев. История падения Польши. М., 1883

137. Н. Смирнов. Политика России на Кавказе в XV-XIX вв. М., 1958

138. П. Сорокин. Человек, цивилизация, общество. М., 1992

139. M. Tamarati. L'Eglise Georgienne des Jusquia nos joirs, Rome, 1910.

140. В. Уляницкий. Дарданеллы, Босфор и Черное море в XVIII веке. М., 1883

141. А. В. Фадеев. Россия и Кавказ в первой трети XIX века. М., 1960

142. А. Фурер. Профессиональная и общественная деятельность поляков в Грузии во второй половине XIX века. Автореферат, Тб., 1991

143. Н. П. Шавров. Новая угроза русскому делу в Закавказье. СПб., 1911

144. В. Шадури. Декабристская литература и грузинская общественность. Тб., 1958

145. А. Чарторийский. Мемуары князя Адама Чарторийского и его переписка с императором Александром I. пер. с французского А. Дмитриевой, ред. А. Кизеветер, т. II, М., 1913

146. Г. Хачапуридзе. К истории Грузии первой половины XIX века, т. 1, Тб., 1950

147. Г. Хачапуридзе. Дворянское движение в Грузии в 30-х годах XIX столетия, жур. "Вопросы истории", № 7, М., 1950

148. А. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности (литература XIX века). Тифлис, 1906

149. Historia Polski. t. II, czк□ж I, nod redaccia Stefana Kieniwicza I Witolda Kuli. Warszawa, 1958.

150. К. Ясперс. Смысл и назначение истории. М., 1991.